პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 მაისი **ხუთშაბათი** 2014
**№097 (14 318)** ფასი 80 თეთრი

# ჩისკომ თასიდან შამპანური...



# გადმოთადინამო

2



გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

## დინამოს ორმაგი დუბლი: 11 თასი, 15 ჩემპიონატი

ინგლისი ჩემპიონია



## აწმყო თუ არ გწყალობს...

გუშინ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ტა ქალიზე“ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებები წარდგნენ. შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (1:1), პენალტების სერიაში კი ალბიონელები გაცილებით უკეთესები აღმოჩდნენ - 4:1 და ინგლისის ნაკრები, რომელსაც **ჯონ პიკოკი** წვრთნის, ევროპის ჩემპიონია. ამ ასაკში ეს ინგლისელთა მეორე ტრიუმფია ისტორიაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

11



ყველა ქართველი კალათბურთელის ოცნება იყო „დინამოში“ მოხვედრა. მეც ბედის კმაყოფილი ვარ. იქ გატარებული ყოველი წუთი სასიამოვნო მოგონებად დამრჩა.

21.05. თბილისი. მ.მესხი
4000 მაყურებელი

DINAMO TBILISI 1925

დინამო (თბ) **2**

ჩიხურა **1**

1:0 ჩისკო (22), 1:1 დათუნაიშვილი (49), 2:1 მარცვალაძე (59)

დინამო (4-3-2-1): ლორია - ხურცილავა, გველესიანი, რეხვიაშვილი, კვირკველია - ძარია, ცინცაძე პაპუნაშვილი (24. ხიდეშელი) - ჩისკო (90. გორგიაშვილი), მერებაშვილი (70. პაპავა) - მარცვალაძე.

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, მოდებაძე, ჯანელიძე, გოგა.

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ჩიხურა (4-5-1): სომხიშვილი - ოდიკაძე, ჭელიძე, კაშია, ქიმაძე - ლომია (78. ჩიკვაიძე), ბეჭვაია (87. ლომაშვილი), ხმალაძე, დათუნაიშვილი, ჯილაური (52. დეკანოიძე) - გაბედავა.

*სათადარიგოები:* თევდორაძე, ივანიშვილი, იაკობაშვილი, ნადირაძე.

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ჯილაური (42), ხიდეშელი (52), გაბედავა (57), დეკანოიძე (66), დათუნაიშვილი (78)

გაძევება: რეხვიაშვილი (20)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# კლასი და თასი

## დინამომ ჩიხურას თამაში და ანგარიში დააფიწყა




ჩიხურა კაცნაკლულ დინამოსთან ვერაფერს გახდა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„ჩიხურას" არც წლეულს ეწერა საქართველოს თასის ალმართვა. საჩხერელთა მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** მატჩამდე საკმაოდ იმედიანად კი იყო და ფინალში მისი გუნდის შესაძლო წარმატება რაღაც ცრურწმენასაც დაუკავშირა, მაგრამ... იმერულ კლუბს თბილისის „დინამოსთან" არც მწვრთნელის შთაგონებამ უშველა, არც ფეხბურთელთა მონდომებამ, რიცხვმრავლობამ თუ საჩხერიდან ჩამოსულმა რამდენიმე ასეულმა ქომაგმა. „დინამომ" გუშინდელ ფინალშიც დაადასტურა, რომ წლეულს არც თასის გათამაშებაში და, მით უმეტეს, არც ჩემპიონატში ბადალი არ ჰყავდა. „დინამომ" „ჩიხურა" არც ამჯერად (შარშანდელ ფინალში დინამოელებმა საჩხერელები 3:1 დაამარცხეს) გაახარა - როცა ყველაზე მეტად დასჭირდა, გოლებიც სწორედ მაშინ გაუტანა...

არადა, „ჩიხურამ" მატჩი საბრძოლო და ნაცადი შემადგენლობით დაიწყო. საფიქრალი იყო, რომ ძალიან მძიმე, დაუნდობელი და მწვრთნელთა მიერ ჩახლართული ტაქტიკური ვარიანტებით სავსე მატჩს ვიხილავდით... მაგრამ, ნურას უკაცრავად - ყველა წინა 23 ფინალთან შედარებით, ეს მატჩი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე არასანახაობრივი გამოდგა.

არბიტრმა **თორნიკე გვანცელაძემ** თბილისელთა ცენტრალური მცველი **გიორგი რეხვიაშვილი** უკვე მე-20 წუთზე გააძევა. დინამოელებმა ჯერ მოედნის შუაგულში დაჰკარგეს ბურთი, ხოლო შემდეგ ცენტრალურმა მცველმა **გიორგი გველესიანმა** ვერ ივარგა და ბურთი „ჩიხურას" ფორვარდ **გიორგი გაბედავას** ჩააბარა. ამ უკანასკნელს ზედ საჯარიმოს ხაზთან რეხვიაშვილი დაეჯახა. არბიტრმა, ვფიქრობთ სრულიად მართებულად, ეს ეპიზოდი ბოლო იმედის ჯარიმად შეაფასა და დინამოელი მოედნიდან დაითხოვა.

„დინამოსაც" მეტოქეზე ზეწოლის ძალა აღარ ედგა - საკუთარი კარის მისადგომებთან გამაგრდა და ერთი უხეში შეცდომის გამო გაშვებულ გოლსა და ერთ სახიფათოდ დარტყმულს თუ არ ჩავთვლით, „ჩიხურას" ღირებული არაფერი გააკეთებინა.

„დინამოს" პირველი გოლი ყველაზე მეტად სწორედ რეხვიაშვილის წითელი ბარათის შემდეგ დასჭირდა და გაიტანა კიდეც - გაძევებიდან ორ წუთში ჩისკომ მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა და თავისიანები დააწინაურა.

ამ გოლის შემდეგ თბილისელთა მწვრთნელ **მალხაზ ჟვანიას** შეცვლაც დასჭირდა - ნახევარმცველ **გიორგი პაპუნაშვილის** ნაცვლად ცენტრალურ მცველ **გიორგი ხიდეშელს** უხმო. სხვა გზა არც იყო - კაცნაკლულ და დაწინაურებულ გუნდს ორი ცენტრალური მცველი სჭირდებოდა, მით უმეტეს, იმ გუნდის წინააღმდეგ, რომლის თავდამსხმელი გიორგი გაბედავა მცველებისთვის ძნელად მოსახელთებელი და კარზე დაგეშილია...

პირველი ტაიმი ისე ჩამთავრდა, „ჩიხურა" მეტოქის კარს, ფაქტობრივად, არც გაჰკარებია, ერთი-ორი ძალზე უზუსტო დარტყმა, ცხადია, სათვალავში ჩასაგდები არ არის.

შესვენებისას, საჩხერელთა მწვრთნელმა **სოსო ფრუიძემ** შეგირდებს, ეტყობა, ძალიან შეუფუცხუნა. ისინიც, გასახდელიდან ისეთი დამუხტულები გამოვიდნენ, მტრისას. მეორე ტაიმის საწყის ხუთ წუთში საჩხერელებმა შტურმით სცადეს „დინამოს" კარის აღება და ბოლოს გამოუვიდათ კიდეც - **გიორგი ქიმაძემ** კარის გასწვრივ დაბალზე ჩააწოდა, მაგრამ ვერც მცველები და ვერც მეკარე ბურთს ვერ შესწვდნენ, საპირისპირო ფლანგიდან კი გაბედავამ ბურთი ისევ საჯარიმოში შეაბრუნა, სადაც თბილისელები ისევ სტატისტებად დარჩნენ - **გიორგი დათუნაიშვილს** ახლოდან ზუსტად დარტყმა აღარ გასჭირვებია.

ანგარიში გათანაბრდა და „ჩიხურაც" თითქოს მოფერიანდა. **დავით ოდიკაძემ** საჯარიმო დარტყმა შეასრულა და „დინამო" გოლისგან ძელმა იხსნა. იმ დროისთვის, თბილისელები უკვე წინ იგებდნენ. როგორც კი ჟვანიას გუნდმა მეტოქის საგრძნობი გააქტიურება საკუთარ თავზე იწვნია, მალევე შეუდგა მეორე გოლის ორგანიზებას და ათ წუთში ბურთს **გიორგი სომხიშვილის** კარში მიუჩინა ადგილი. ისევ და ისევ ჩისკოს ჩინებული პასი **ოთარ მარცვალაძემ** შესაბამისად დააფასა - პასის ჩასაჭრელად კარიდან მეკარე კი გამოვიდა, მაგრამ მარცვალაძე მას იოლად და ტექნიკურად გაუსწორდა.

მატჩის შემდეგ „ჩიხურას" მწვრთნელმა ფრუიძემ თქვა, ეს თამაში „დინამოს" ფეხბურთელების მაღალმა კლასმა მოიგოო და ძნელია, არ დაეთანხმო. საჩხერელთა თავკაცს აღარ დაუკონკრეტებია, თუმცა ეჭვი არაა, პირველ ყოვლისა, სწორედ ჩისკოსა და მარცვალაძეს გულისხმობდა...

მეორე გოლის შემდეგ „დინამო" ისევ მასირებულ დაცვაზე გადავიდა და მეტოქისგან ხიფათის შექმნის მცდელობაც კი მინიმალური გახადა. თბილისელებს მწვავე კონტრშეტევების ორგანიზება რომ ეხერხებათ, ადრეც დაუმტკიცებიათ, თუმცა ფინალში უფრო ფრთხილობდნენ და ძალიანაც აღარ იკლავდნენ თავს იერიშებით, არადა, შეტევაში უფრო თამამად რომ წასულიყვნენ, მეტოქეს გოლებით კიდევ „დაასაჩუქრებდნენ". გუნდი 10 ფეხბურთელით იყო, მოგებით კი ისე მოიგო, კაცს სალაპარაკო არ დაუტოვა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი მეთერთმეტედ ჩაიბარა. გუნდის კაპიტან **გიორგი ლორიას** თასი დავით ყიფიანის ვაჟმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ჩააბარეს...

ნამატჩევს, „ჩიხურას" მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ, „დინამოს" კლასს რომ საგანგებოდ გაუსვა ხაზი, მერე ესეც დასძინა:

*„ვალდებულები ვიყავით, რიცხვობრივი უპირატესობა გამოგვეყენებინა და უკეთ გვეთამაშა, თუმცა კონცენტრაცია დავკარგეთ და ისე ველარ გავისარჯეთ, როგორც შეგვეძლია. „დინამომ" კი ეს არ გვაპატია. ვულოცავ თბილისელებს თასის ზედიზედ მეორედ მოგებას! „დინამოს" მართლაც კარგი გუნდი ჰყავს. ჩვენ კი შემოქმედებითი თამაში ვერ შევძელით, მაშინ, როცა მეტოქემ, ოსტატობის ხარჯზე, ყველაფერი კარგად გააკეთა".*

**კობა ინასარიძე**

## მატჩის შემდეგ

### ლევან ხმალაძე რატომღაც, რიცხვობრივმა უპირატესობამ უფრო შეგვბოჭა

**ჩისკო** (დინამო): *„ეს იყო ურთულესი მატჩი. დასაწყისში რეხვიაშვილი რომ გაგვიძევეს, „ჩიხურამ" ძალიან დიდი უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ, ძალიან აზრიანად ვითამაშეთ, ვიბრძოლეთ და უზომოდ გახარებული ვარ, „დინამომ" და მე მორიგი ტიტული რომ მოვიპოვეთ. ისიც მიხარია, ამ წარმატებაში ჩემი წვლილი რომ შევიტანე".*

**გიორგი ლორია** (დინამო): *„კაცნაკლულად თამაში ძალიან რთული იყო. სხვათა შორის, ასე მოხდა 2009 წლის ფინალშიც, როცა რუსთავის „მეტალურგს" ვხვდებოდით. მაშინ გურამ კაშია ძირითადი დროის ბოლო წუთზე გაგვიგდეს და დამატებითში 10 კაცით ვითამაშეთ, მაგრამ მაშინაც მოვიგეთ. ახლა კი რეხვიაშვილის არყოფნა დაგვეტყო, ისე ვერ ვუტევდით, როგორც საჭირო იყო და დაცვიდან თამაში მოგვიხდა. არადა, „მეორე ნომრად" თამაშს არ ვაპირებდით. შესვენების შემდეგ მწვრთნელმა ტაქტიკაში კორექტივები შეიტანა და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა. თასი დამსახურებულად მოვიგეთ".*

**გიორგი მერებაშვილი** (დინამო): *„ეს წარმატება არის არა მხოლოდ გუნდის, არამედ ჩვენი გულშემატკივრების დამსახურება, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველთვის და ყველგან ვგრძნობთ. დღესაც ასე მოხდა, ყველაზე მძიმე მომენტში, როცა რეხვიაშვილი გაგვიგდეს, ისეთი ქომაგობა დაიწყო, ყველას ძალა შეგვემატა".*



დინამოელთა ზეიმი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**დავით კვირკველია** (დინამო): *„სასიხარულოა, რომ ჩემპიონობის შემდეგ თასსაც დავეუფლეთ და დუბლი შევასრულეთ. ძალიან მძიმე ეპიზოდი იყო, როცა 10 კაცით დავრჩით. საჩხერელებმაც კარგად ითამაშეს და დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. მაგრამ ბიჭები ერთმანეთს გვერდში დავუდექით. ასე მგონია, ჩვენ უფრო გვსურდა თასის აღება და წარმატებაც ამიტომ ვიზეიმეთ".*

**გიორგი დათუნაიშვილი** (ჩიხურა): *„ძალიან კარგი შანსი გვქონდა, მით უფრო, რომ „დინამო" 10 ფეხბურთელით გვეთამაშებოდა და იმიტომაც, რომ მეორე ტაიმში ანგარიში გავათანაბრეთ. მაგრამ ბავშვური შეცდომები დავუშვით და „დინამომ" დამსახურებულად გვაჯობა".*

**ლევან ხმალაძე** (ჩიხურა): *„ყველაფერი ჩვენი ბრალია. ნაცვლად იმისა, რომ რეხვიაშვილის გაგდების შემდეგ უფრო თამამად და აგრესიულად გვეთამაშა, რატომღაც, უფრო შევიბოჭეთ და შანსი ხელიდან გავუშვით. გაორებული გრძნობა დამრჩა - მწუხარება წაგების გამო და სიხარული იმიტომ, რომ ჩემმა ყოფილმა კლუბმა და მისმა გულშემატკივრემა გაიხარეს".*

**გიგა ბეჟვაია** (ჩიხურა): *„ძალიან გვინდოდა მოგება და შანსიც გვქონდა, მაგრამ ისეთი შეცდომები დავუშვით, რასაც „დინამო", ცხადი იყო, არ გვაპატიებდა. სამწუხაროა, რომ ისევ დავმარცხდით".*

### მალხაზ ჟვანია ეს დინამოში ჩემი ბოლო მატჩი იყო

„დინამოს" მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია გუნდს თავაწეული ტოვებს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა დუბლი შეასრულა. გუშინ, სათასო ფინალის შემდეგ ჟვანიამ „ლელოსთან" ინტერვიუში დაადასტურა, რომ გუნდს ტოვებს:

**- თქვენი აზრით, კაცნაკლულმა „დინამომ" რის ხარჯზე გაიმარჯვა?**

- სასიხარულოა, რომ გუნდმა ხასიათი გამოავლინა და ამისთვის ყველას დიდი მადლობა ეკუთვნის - სწორედ ეს არის გამარჯვებულის თვისება. ბიჭებმა 90 წუთი იომეს და თასის მოსაგებად ყველაფერი გაიღეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკვე მე-19 წუთზე რეხვიაშვილი გაგვიგდეს და მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მაგრამ უფრო კრიტიკული მომენტი 49-ე წუთზე გვქონდა, როცა დათუნაიშვილმა ანგარიში გაგვითანაბრა. რადგან კაცნაკლულნი ვიყავით, თამაშში გარდატეხის შეტანა ძალიან რთული იყო. თუმცა „დინამო" იმიტომაც არის „დინამო", რომ ასეთი მძიმე მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვიდეს და გაიმარჯვოს.

**- ადასტურებთ, რომ ეს თქვენი ბოლო მატჩი იყო „დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში?**

- დიახ, ასეა და მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ფეხბურთელს, ერთად გაწეული დიდი შრომისთვის, ასევე კლუბის ხელმძღვანელებს, რომლებიც გვერდში მედგნენ. სწორედ ამის შედეგია, რომ დუბლი შევასრულეთ. ახლა გუნდს სხვა სპეციალისტი ჩაიბარებს.

**- „დინამოს" სტრუქტურაში დარჩებით თუ სხვა გუნდს გაწვრთნით?**

- ჯერ არაფერი ვიცი. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# ვინ დაეხმარება სიონს?

## ბოლნისელები, შესაძლოა, ევროპის მიღმა დარჩნენ

ევროსარბიელზე გამოსვლისთვის საქართველოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ბოლნისის „სიონი" სპორტის სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას ფინანსურ დახმარებას სთხოვს. შესაბამისი შინაარსის წერილი ბოლნისის გამგეობამ, როგორც სამინისტროში, ისე ფედერაციაში, უკვე აფრინა. მთელი ქალაქი ახლა პასუხის მოლოდინშია. უარის შემთხვევაში კი მოვლენები შესაძლოა ისე განვითარდეს, რომ ბოლნისურმა კლუბმა ევროპა ლიგის მატჩებზე გამგზავრებაც ვერ მოახერხოს.

არა, არც მთლად ისეა საქმე, თითქოს „სიონში" დიდი ფინანსური პრობლემებია და გუნდი ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე იდგეს. ფული არის და კლუბს დეკემბრამდე არაფერი ემუქრება, თუმცა ეს არის სწორედ დეკემბრამდე განერილი თანხა, რომლის დაანგარიშების დროს არ გაუთვალისწინებიათ, რომ „სიონი" ევროსარბიელზე მონაწილეობის უფლებას მიიღებდა.

„როცა კლუბის ბიუჯეტი დამტკიცდა, იქ გათვალისწინებული არ იყო ის, რომ გუნდს ევროთასებზე ასპარეზობა მოუწევდა. დეკემბრამდე, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი თითოეული კაპიკი განერილია და ამ თანხას ვერაფერს მოვაკლებთ. ადგილობრივი არჩევნებია მოახლოებული და სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები კანონდარღვევა იქნება. ამიტომაც ვთხოვთ სპორტის სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას, თუ არის საშუალება, დაგვეხმარონ. ბოლნისის გამგეობამ სამინისტროსა და ფედერაციას წერილი უკვე გაუგზავნა. ვნახოთ... ჯერ არც ერთისგან და არც მეორისგან პასუხი არ მიგვიღია", - გვითხრა ბოლნისის „სიონის" გენერალურმა დირექტორმა და მწვრთნელმა **ლადო ბურდულმა,** ვისი ხელმძღვანელობითაც კლუბმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე 10 თამაშიდან ზედიზედ 7 მოიგო და დამსახურებულ მესამე ადგილზე გავიდა.

თითქმის ანალოგიური პრობლემა წინა ჩემპიონატის ბოლოს გორის „დილასაც" შეექმნა და მაშინ გორელებს სწორედ სახელმწიფომ უპატრონა - 2 მილიონი ლარი მისცა, რითიც „დილამ" კინაღამ მცირე სასწაული მოახდინა და ევროპის ლიგის ჯგუფში შესვლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. ევროპაში წარმატების გარკვეული შანსი ახლა „სიონსაც" აქვს, მაგრამ ელემენტარულად, მგზავრობისა და ერთი შეკრების ფული თუ ვერ იშოვა, შანსი კი არა, თავად ტურნირიც უკან დარჩებათ.

„სახელმწიფოსა და ფედერაციას მილიონებს არ ვთხოვთ. ევროსარბიელზე მონაწილეობისთვის მინიმალური თანხაა საჭირო, ანუ იმდენი, რამდენიც მგზავრობისთვის, რამდენიმედღიანი შეკრების, სტუმარი გუნდის დახვედრისთვის და ეკიპირებისთვის იქნება საკმარისი. ყველაფერი ზუსტად გვაქვს დათვლილი, რაც გამგეობის მიერ სამინისტროსა და ფედერაციისთვის გაგზავნილ წერილშიცაა ასახული. დამეთანხმებით, არც ჩვენ, არც თქვენ და არც სახელმწიფოს არ სურს, რომ „სიონი" ევროსარბიელზე შერცხვეს. ამიტომ, ვთხოვთ შესაბამის სტრუქტურებს, შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეხმარონ", - ამბობს ბურდული.



ლადო ბურდული

არის მეორე გამოსავალიც - ევროპა ლიგის დაწყებამდე „სიონმა" სპონსორი მოიძიოს და დაფინანსებაც მისგან მიიღოს, თუმცა, ბურდულის თქმით...

„დიახ, სპონსორებზე ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ჯერ არავინ ჩანს და არ ვარ დარწმუნებული, რომ ევროტურნირებამდე ვინმე გამოჩნდება. თუმცა, ცხადია, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ და სპონსორებზე მუშაობას აქტიურად ვაგრძელებთ".

**კობა ინასარიძე**

სტატისტიკა

# უცნაური სეზონის ციფრული მოზაიკა

თასის ფინალის გუშინდელი მატჩით 2013/14 წლების ქართული საფეხბურთო სეზონი დასრულდა. დღეს აღარ დავიწყებთ იმის „შეხსენებას", თუ როგორი „უცნაური" გამოდგა წინა კვირაში დასრულებული საიუბილეო, XXV ჩემპიონატი; სამწუხაროდ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ: რაც დრო გადის, ჩვენს ჩემპიონატში „უცნაურობებიც" მატულობს, სამაგიეროდ, გულშემატკივართა რაოდენობა კლებულობს.

იმავეს თქმა შეიძლება ბოლო პერიოდში დამკვიდრებულ კიდევ ერთ უცნაურობაზე: სეზონი ოფიციალურად კი დამთავრდა, მაგრამ 100-პროცენტით ვერავინ იტყვის, თუ რამდენი გუნდი იასპარეზებს მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში. ჰო, ასეთი რამ ხომ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს: ორი დღის წინ ვწერდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეგლამენტის დარღვევას არ აპირებდა და ჩვენი ვარაუდით, მომავალი სეზონისათვის უმაღლესი ლიგის დაკომპლექტებაც სპორტული პრინციპების დაცვით უნდა მომხდარიყო.

თუმცა, მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება და ნურავის გაუკვირდეს, რომ სავარაუდოდ მაისის ბოლოსთვის „საზეიმოდ" გამოგვიცხადონ უმაღლეს ლიგაში გუნდების 16-მდე გაზრდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებაც! ოღონდ, ამ შემთხვევაში „სხვა", კერძოდ, პოლიტიკურ ფაქტორებსაც ნუ გამოვრიცხავთ: მოგეხსენებათ სულ მალე საქართველოში ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარდეს და კონკრეტული რაიონის (გნებავთ - რეგიონის) მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება სწორედაც რომ აქტუალურზე-აქტუალური იქნება.

ანუ, შესაძლოა, ესა თუ ის გუნდი უმაღლესი ლიგისათვის საჭირო თუ აუცილებელ კრიტერიუმებს (უპირველეს ყოვლისა, ლიცენზირებას ვგულისხმობთ) ვერ აკმაყოფილებდეს, მაგრამ არჩევნების წინ ამ პირობების „გადახედვა" არ უნდა გამოვრიცხოთ; ისე როგორც უმაღლესი ლიგიდან უკვე „ოფიციალურად" გავარდნილი „ზუგდიდისა" თუ „მერანის" კვლავაც უძლიერესთა შორის ხილვა და ამ შემთხვევაშიც წინასაარჩევნო პერიოდი მჭიდროდ იქნება „დაკავშირებული" ქართულ საკლუბო ფეხბურთთან...

...სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ზემოთქმული, რბილად რომ ვთქვათ, „არახალი თემაა": სხვა მთავრობის დროსაც არაერთხელ მომხდარა „ზემოდან" წამოსული დირექტივის მიხედვით საქართველოს ჩემპიონატის რეგლამენტის დარღვევა და, წესითა და რიგით, უახლოეს პერიოდში არც გუნდების რაოდენობის გაზრდა უნდა გაგვიკვირდეს და არც რომელიმე რეგიონის გუნდების „ამნისტიაც". თანაც, ეს ის შემთხვევებია, როცა მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისკენ არ უნდა გავიშვიროთ ხელი...

ახლა კი ალბათ დროა, რომ ავად თუ კარგად ჩატარებული XXV ჩემპიონატი გავიხსენოთ; „ლელოს" ხვალინდელ ნომერში ჩემპიონატის ნომინანტებსა და სეზონის სიმბოლურ ნაკრებს შემოგთავაზებთ; დღეს კი გვინდა ახლახან დასრულებული ჩემპიონატი შევაჯამოთ და კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, თუ რამდენჯერ მოხვდა „ტურის სიმბოლურ ნაკრებში" ესა თუ ის მწვრთნელი, მეკარე, მცველი, ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი; წარმოგიდგენთ, საერთოდ, ყველა მეგოლეს და „ჰეთ-თრიქისა" თუ „დუბლების" ავტორს; არც ის ერთადერთი „პოკეროსანი" უნდა გამოგვრჩეს და არც სხვა „ნომინანტები".

მაშ ასე, XXV ჩემპიონატი ციფრებში...



სეზონის ერთადერთი პოკერი ოთარ კვერნაძემ შეასრულა
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ვინ რამდენჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში

### მწვრთნელები

ლადო ბურდული (სიონი)-6, მალხაზ ჟვანია (დინამო)-3, ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია)-3, სოსო ფრუიძე (ჩიხურა)-3, რამაზ სოლოლაშვილი (დილა)-3, დავით მახარაძე (გურია)-3, გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)-2, დუშან უპრინი (დინამო)-2, გიორგი დარასელია (ზუგდიდი)-2, გელა სანაია (მეტალურგი)-2, ჟერარდ სარაგოსა (ტორპედო)-2, რატკო დოსტანიჩი (ზესტაფონი)-1, რომან პოკორა (გურია)-1, ვარლამ კილასონია (მეტალურგი)-1, გიორგი დევდარიანი (დილა)-1, გურამ ასპინძელაშვილი (ზესტაფონი)-1, რევაზ ძოძუაშვილი (ტორპედო)-1;

### მეკარეები

გიორგი ლორია (დინამო)-8, მინდია ბობლიაშვილი (გურია)-4, როინ კვასხვაძე (ზესტაფონი/ტორპედო)-3, მირზა მერლანი (სიონი)-3, გიორგი სომხიშვილი (ჩიხურა)-3, მაქსიმე ქვილითაია (ტორპედო)-3, ნუკრი რევიშვილი (დილა)-2, გიორგი ნადირაძე (სპარტაკი)-2, გრიგოლ ბედიაშვილი (მეტალურგი)-2.

### მცველები

თენგიზ ჩიკვილაძე (გურია/ტორპედო)-6, დავით კვირკველია (დინამო)-5, გიორგი გველესიანი (დინამო)-5, დავით ოდიკაძე (ჩიხურა)-5, თეიმურაზ ღონღაძე (ზესტაფონი)-5, გულვერდ თომაშვილი (დილა)-4, არნო ჩუენსუ (გურია)-4, რენე ფერეირა (ზესტაფონი)-4, ვალერი აბრამიძე (სიონი)-4, ლაშა თოთაძე (სიონი)-4, გიორგი რეხვიაშვილი (ჩიხურა/დინამო)-4, კიჟი მელიავა (მერანი)-4, გიორგი ხიდეშელი (ტორპედო/დინამო)-3, სევასტი თოდუა (ტორპედო)-2, ვაჟა ტაბატაძე (ტორპედო)-2, შოთა კაშია (ჩიხურა)-2, ლაშა კასრაძე (ვიტ ჯორჯია)-2, ვალერი იობაშვილი (გურია-მერანი)-2, ვარლამ კილასონია (მეტალურგი)-2, გიგა ჭეიშვილი (გურია)-1, ლაშა ჭელიძე (ჩიხურა)-1, ლაშა ჩიკვაიძე (ჩიხურა)-1, გიორგი სეთურიძე (მეტალურგი)-1, დაჩი ცნობილაძე (მეტალურგი)-1, დავით საჯაია (მეტალურგი)-1, სერგი ორბელაძე (მეტალურგი)-1, გიორგი გავაშელიშვილი (მეტალურგი)-1, მიხეილ მახვილაძე (მეტალურგი)-1, დარკო გლიშიჩი (დინამო)-1, გივი კვარაცხელია (დინამო)-1, გურამ ადამაძე (ვიტ ჯორჯია)-1, გიორგი კალანდია (ვიტ ჯორჯია)-1, გიორგი მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია)-1, დავით იმედაშვილი (სიონი)-1, დავით სვანიძე (სიონი)-1, არჩილ ტვილდიანი (სიონი)-1, კახა ალადაშვილი (დილა)-1, ალექსანდრე კვახაძე (დილა)-1, ოთარ ხიზანეიშვილი (დილა)-1, ნიკა ჯიშკარიანი (გურია/დილა)-1, თედორე გრიგალაშვილი (ზესტაფონი)-1, თორნიკე გრიგალაშვილი (ზესტაფონი)-1, ნიკა აფაქიძე (ზუგდიდი)-1, გიორგი პაჭკორია (ზუგდიდი)-1, ლევან კაკუბავა (სპარტაკი), ნიკა მგელაძე (სპარტაკი)-1, ლევან გეგეჭკორი (მერანი)-1, იგორ სავჩენკოვსი (ტორპედო)-1;

### ნახევარმცველები

გრიგოლ დოლიძე (დილა/ზესტაფონი)-7, გიორგი მერებაშვილი (დინამო)-7, დავით კირკიტაძე (მეტალურგი/ზუგდიდი)-6, ალექსანდრე გოგობერიშვილი (სიონი)-5, რევაზ გეწაძე (მეტალურგი/ზესტაფონი)-5, გიორგი კორიფაძე (ვიტ ჯორჯია)-5, ბესიკ დეკანოიძე (ჩიხურა)-4, გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია)-4, ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზესტაფონი)-4, ალექსანდრე შენგელია (გურია)-4, ზვიად ლობჟანიძე (სიონი-)4, კობა შალამბერიძე (გურია)-3, ალექსანდრე კოშკაძე (გურია)-3, გიორგი კუხიანიძე (ტორპედო/ზესტაფონი)-3, გიორგი დათუნაიშვილი (ჩიხურა)-3, გიორგი თექთურმანიძე (სპარტაკი)-3, გიორგი ჭანკოტაძე (ზესტაფონი)-3, შოთა ბაბუნაშვილი (მერანი)-2, აკაკი შულაია (მერანი)-2, პაპუნა ფონიავა (მერანი)-2, გიორგი კახელიშვილი (სიონი)-2, გიორგი ქიმაძე (ჩიხურა)-2, დენის დობროვოლსკი (ზუგდიდი)-2,

მე-4 გვერდზე »

პროტესტი

# ბათუმი: ყველა საბუთი მოწესრიგებულია!

**„სამტრედია" და ბათუმის „დინამო" ბრძოლას აგრძელებენ. როგორც ცნობილია, ლიცენზიის არქონის გამო, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში თამაშის უფლება პირველი ლიგის B ჯგუფის არც ერთ გამარჯვებულს არ მისცეს.**

**იმედი ბოლოს კვდებაო, ნათქვამია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდმა ფეხბურთელები სახლში გაუშვა, ლიცენზირებაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას აპირებენ. საამისოდ, ბოლო ვადა 22 მაისია, ხოლო აპელაციაზე პასუხი 29 მაისს გახდება ცნობილი...**

„თუ პროტესტი შედეგს არ გამოიღებს, სხვა ზომებს მივმართავთ. რით ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ სამტრედიაში ფეხბურთი რელიგიის დონეზეა. საპროტესტო აქცია რომ გაიმართა, ფეხბურთელები სახლში ტაშით გავაცილეთ, ბევრმა გულშემატკივარმა კი ცრემლები ვერ შეიკავა. მთელი სამტრედია ერთად იყო - გულშემატკივარიც, გუნდიც, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. სამტრედიელებს, პროფილის სურათად, კლუბის ლოგო აქვთ დადებული. გამოსავალი არის, დავირაზმოთ მთელი ქალაქი და თბილისში გავცეთ პასუხი ამ უსამართლობას. სამტრედიელებო, გავერთიანდეთ და თავი არავის დავაჩაგვრინოთ", - აი, ასეთი ემოციური კომენტარი იყო სოციალურ ქსელში „სამტრედიის" ფანების გვერდზე.

ქალაქის საკრებულოს სპორტის სამსახურის უფროსის, **ზაზა ნიკურაძის** თქმით, კლუბი მზადაა, ლიცენზირებაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად გადაიხადოს საკმაოდ დიდი თანხა - 15 ათასი ლარი, მოპოვებული უფლებისა და პირველი ლიგის B ჯგუფის ჩემპიონობის დათმობას კი არ აპირებს.

ამასობაში, განცხადება გაავრცელა ბათუმის „დინამომ": „კლუბი ემიჯნება ყოველგვარ პოლიტიკურ პროცესს და მზადაა, ნებისმიერ გულშემატკივართან ურთიერთობისთვის. კლუბი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეროვნული ლიცენზია მოიპოვოს. კიდევ ერთხელ გვსურს, ავხსნათ დეტალურად, რა ხდება ლიცენზირებასთან დაკავშირებით: სააპელაციო ორგანომ საკმარისად არ მიიჩნია ბათუმის მერიის 1,37-მილიონლარიანი საგარანტიო წერილი, არც ტექნიკურ სპონსორთან ხელშეკრულების ასლი და საბანკო ამონაწერი მოითხოვა, რასაც დათქმულ ვადაში, 22 მაისამდე წარვადგენთ. საბუთების რელევანტურობის შემთხვევაში, სააპელაციო ორგანო რეკომენდაციით მიმართავს ტრიბუნალს, რომ ავტომატურად გასცეს ეროვნული ლიცენზია. კლუბში ლიცენზირების პირობების მიხედვით მოთხოვნილი ყველა ასაკობრივი გუნდი ფუნქციონირებს (მოთხოვნა 4 ასაკობრივი გუნდის არსებობაა, როცა ფუნქციონირებს - 9). მოთხოვნაა, რომ კლუბში იყოს A კატეგორიის 4 ლიცენზირებული მწვრთნელი, როცა ჩვენ 7 გვყავს. ასევე მოთხოვნილზე მეტი - 11 B ლიცენზიის მქონე სპეციალისტი გვყავს. ამოქმედებულია ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაც. კლუბი მთელი სეზონის განმავლობაში იცავდა სპორტული სამართლიანობის, სუფთა ფეხბურთის პრინციპებს და მომავალშიც ასე გააგრძელებს. ვიბრძოლებთ და დავიცავთ საკუთარ ღირსებას მინდორზეც და მის გარეთაც. გვსურს, კიდევ ერთხელ დავამშვიდოთ ჩვენი გულშემატკივარი და დავარწმუნოთ - ბათუმის „დინამოს" ყველა საჭირო საბუთი წესრიგში აქვს".

კომენტარისთვის ბათუმელთა პრესატაშე **ამირან მამალაძეს** დავუკავშირდით: „ყველა საბუთი მზად გვაქვს და 22 მაისს ფედერაციაში მოთხოვნილ დოკუმენტსა და გარანტიას მივიტანთ. ბათუმის მერიის გარანტია 2017 წლის ჩათვლით წარვადგინეთ და არასაკმარისად ჩათვალეს. სპონსორთან 50 ათას ლარზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლიც მივიტანეთ და დამატებით ამონაწერი მოითხოვეს. ამ ამონაწერსაც მივიტანთ, ხელშეკრულების ასლსაც და აპელაციასაც ვაახლებთ. ახლა, როცა სუფთად ვთამაშობთ, დავალიანებები არ გვაქვს, მერია 1,37 მილიონით გვაფინანსებს და ფედერაცია ლიცენზიას მაინც არ გვაძლევს. არ ვიცით, რა უნდა ვთქვათ".

„სამტრედიას", ბათუმის „დინამოსა" და მათ გულშემატკივრებს მხოლოდ იმ ხმების რეალურობის იმედი დარჩათ, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთის ფედერაცია უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდას აპირებს. ვნახოთ, 2 ივნისიც მალე მოვა...




ბათუმის დინამოს ფანები

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკა



ჩისკოს (თეთრ მაისურში) აქტივში სამი პეთ-თრიკაა
ფოტო: fcdinamo.ge

# უცნაური სეზონის ციფრული მოზაიკა

მე-3 გვერდიდან

თორნიკე თუხარელი (სპარტაკი)-2, ირაკლი სამხარაძე (სიონი)-2, ნიკა მაისურაძე (ვიტ ჯორჯია)-2, შოთა ლომია (ზუგდიდი)-2, ზვიად სიხარულია (ზუგდიდი)-2, კახა კაკაშვილი (სპარტაკი/მეტალურგი)-2, თორნიკე აფციაური (სიონი)-1, ერეკლე კილაძე (გურია)-1, ნიკა კილაძე (გურია)-1, ნოდარ გაჩეჩილაძე (გურია)-1, ლევან ხმალაძე (დინამო)-1, ირაკლი ძარია (დინამო)-1, გიორგი პაპუნაშვილი (დინამო)-1, მათე ცინცაძე (ტორპედო)-1, ლევან შარიქაძე (ზესტაფონი)-1, ლევან კუტალია (ზესტაფონი)-1, ავთანდილ ებრალიძე (ზესტაფონი)-1, გურამ სამუშია (ზესტაფონი)-1, ირაკლი მაისურაძე (დილა)-1, ლაშა გვალია (დილა)-1, დავით რაჟამაშვილი (დილა)-1, ლევან კორლალიძე (მეტალურგი)-1, ივანე ხაბელაშვილი (მეტალურგი)-1, გიორგი ცხადაია (სიონი)-1, თეიმურაზ შონია (სპარტაკი)-1, ლაშა ჩაფიძე (სპარტაკი)-1, ვაკო ტყემალაძე (სპარტაკი)-1, ლაშა პარუნაშვილი (სიონი)-1, ბექა ციკოლია (მერანი)-1, ნიკა კვასხვაძე (ჩიხურა)-1, ირაკლი შალიკაშვილი (ზუგდიდი)-1, პავლე ხორგუაშვილი (გურია)-1, ბადრი დემეტრაშვილი (ვიტ ჯორჯია)-1, თეიმურაზ მარკოზაშვილი (ტორპედო)-1.

## თავდამსხმელები

ჩისკო (დინამო)-11, დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა)-5, ვილი ისიანი (გურია)-5, თორნიკე კაპანაძე (ტორპედო/ზესტაფონი)-5, ოთარ მარცვალაძე (დინამო)-4, ირაკლი მოდებაძე (დილა)-4, ნიკა საბანაძე (ტორპედო/ზესტაფონი)-3, ოთარ კვერნაძე (ტორპედო)-3, გიორგი გაბედავა (ჩიხურა)-3, ირაკლი ეხვიაია (ზუგდიდი/სპარტაკი)-3, გიორგი ჩირგაძე (მეტალურგი)-3, დორინ გოგა (დინამო)-3, ელგუჯა ლობჯანიძე (ვიტ ჯორჯია)-3, ჯაბა დვალი (დინამო)-2, ირაკლი ქობალია (ზესტაფონი)-2, გიორგი ქვილითაია (დილა)-2, გოგა ფიფია (მეტალურგი)-2, გიორგი ბერიაშვილი (მეტალურგი/დილა)-2, ბექა ტუღუში (ტორპედო)-2, მამუკა ლონლაძე (ტორპედო)-1, ლადო ახალაია (სიონი)-1, ჯაბა უგულავა (სიონი)-1, გიორგი ილურიძე (დილა)-1, დავით გელაშვილი (სპარტაკი)-1, გიგა კვერენჩხილაძე (გურია)-1, გიორგი ბულია (ზუგდიდი)-1, ოთარ კიტეიშვილი (მეტალურგი)-1, მათე კვირკვია (ვიტ ჯორჯია)-1.

## ჩემპიონატის ყველა გოლი

### დინამო (67)

ჩისკო-12, დორინ გოგა-9, გიორგი მერებაშვილი-7, ოთარ მარცვალაძე-6, ჯაბა დვალი-5, გიორგი გველესიანი-3, დარკო გლიშიჩი-3, დავით კვირკველია-2, ირაკლი ძარია-2, გიორგი პაპუნაშვილი-2, ელგუჯა გრიგალაშვილი-2, ლევან ხმალაძე-2, პატრიკ ვუო-2.

*XXI ტურის მატჩში „დინამოს" ტექნიკური მოგება (3:0) ჩაეთვალა „ტორპედოსთან"*

### ჩიხურა (56)

დიმიტრი ტატანაშვილი-12, გიორგი გაბედავა-11, ჯაბა ჯილაური-7, ბესიკ დეკანოიძე-5, ლაშა ჭელიძე-5, ნიკა კვასხვაძე-4, გიორგი დათუნაიშვილი-3, დავით ოდიკაძე-3, გიორგი რეხვიაშვილი-2, რატი ნინამძღვრიშვილი-2, ვაჟა ლომაშვილი-1, გივი კვარაცხელია („დინამო" - საკუთარ კარში).

### ზესტაფონი (48)

ნიკა საბანაძე-8, რევაზ გენაძე-6, ვახტანგ ჭანტურიშვილი-4, ირაკლი ქობალია-4, საბა ლომია-4, თორნიკე კაპანაძე-3, დიმიტრი ტატანაშვილი-3, ლევან შარიქაძე-2, გიორგი ადამია-2, გიორგი ჭანკოტაძე-2, გიორგი კუხიანიძე-2, გრიგოლ დოლიძე-1, გიორგი ფანცულაია-1, ავთანდილ ენდელიძე-1, რენე ფერეირა-1, ზაზა ჭელიძე-1, გიორგი კაჭკაჭიშვილი-1, ლევან ქურდაძე („გურია"-საკუთარ კარში), გიორგი ხიდეშელი („ტორპედო"-საკუთარ კარში).

### დილა (44)

ირაკლი მოდებაძე-9, გიორგი ქვილითაია-6, გრიგოლ დოლიძე-4, დავით ბოლქვაძე-4, ლუკა რაზმაძე-4, გიორგი ბერიაშვილი-4, მიხაილ გორელიშვილი-2, დავით რაჟამაშვილი-2, ნიკოლოზ სადალაშვილი-2, კობა შალამბერიძე-2, ილია ლომიძე-2, ვახტანგ კვარაცხელია-1, თეიმურაზ ლონლაძე-1, ოთარ ხიზანეიშვილი-1.

### ტორპედო(43)

ოთარ კვერნაძე-7, თორნიკე კაპანაძე-6, მამუკა ლონლაძე-4, ნიკა საბანაძე-3, ირაკლი ლექვთაძე-3, გიორგი კუხიანიძე-2, გიორგი ხიდეშელი-2, თენგიზ ჩიკვილაძე-2, იგორ სავჩენკოვსი-2, დავით ხურციძე-2, თეიმურაზ მარკოზაშვილი-2, ბექა ტუღუში-2, მერაბ გიგაური-1, მათე ცინცაძე-1, გიორგი ფანცულაია-1, რევაზ ბარაბაძე-1, მამია გავაშელიშვილი-1, ზაზა ჭელიძე-1.

### ვიტ ჯორჯია (41)

გიორგი კორიფაძე-8, ელგუჯა ლობჯანიძე-7, შოთა დავლაშელიძე-4, ნიკა სიჭინავა-3, გიორგი ჯანელიძე-3, ლევან კუხალეიშვილი-3, ნიკა მაისურაძე-3, ლაშა კასრაძე-2, ოთარ ჯავაშვილი-1, ირაკლი ღიბრაძე-1, ნოდარ იაშვილი-1, გიორგი გეთიაშვილი-1, გიორგი კალანდია-1, მათე კვირკვია-1, ბადრი დემეტრაშვილი-1, ოთარ ჯავაშვილი („ზუგდიდი"- საკუთარ კარში)

### სიონი (41)

გიორგი კახელიშვილი-6, ჯაბა უგულავა-5, ზვიად ლობჯანიძე-4, ლადო ახალაია-4, ვალერი აბრამიძე-4, ირაკლი სამხარაძე-4, ლაშა თოთაძე-3, ალექსანდრე გოგობერიშვილი-3, თორნიკე აფციაური-2, გიორგი განუგრავა-2, კოკა მიკუჩაძე-2, დავით სვანიძე-1, ვარლამ კილასონია („მეტალურგი", საკუთარ კარში).

### მეტალურგი (35)

გიორგი ჩირგაძე-4, დავით კირკიტაძე-3, დავით საჯაია-3, ლუკა რაზმაძე-3, გიორგი ბერიაშვილი-2, გოგა ფიფია-2, ლევან კორლალიძე-2, რევაზ გენაძე-2, მერაბ გიგაური-2, ვარლამ კილასონია-2, ლევან კაკუბავა-1, დენის დობროვოლსკი-1, გიორგი გავაშელიშვილი-1, კახა კაკაშვილი-1, შალვა ექვთიმიშვილი-1, ბესიკ ჩიმაკაძე-1, გიორგი მიქაბერიძე-1, ივანე ხაბელაშვილი-1, ოთარ კიტეიშვილი-1, გიორგი რეხვიაშვილი („ჩიხურა", საკუთარ კარში)

### სპარტაკი (33)

ზვიად მეტრეველი-5, თორნიკე თუხარელი-5, თეიმურაზ შონია-5, ირაკლი ეხვაია-3, ლაშა პარუნაშვილი-2, ლაშა ჩაფიძე-2, კახა კაკაშვილი-1, ნიკა კვეკვესკირი-1, გიორგი თექთურმანიძე-1, კონსტანტინე ხიზანეიშვილი-1, დავით გელაშვილი-1, უჩა ბურძენაძე-1, ლაშა კემუხტაშვილი-1, ლევან კაკუბავა-1, ვაკო ტყემალაძე-1, პაპუნა ფონიავა („მერანი", საკუთარ კარში), ნოდარ ნოზაძე („დილა", საკუთარ კარში)

### გურია (31)

ვილი ისიანი-12, თენგიზ ჩიკვილაძე-4, ალექსანდრე კოშკაძე-4, ალექსანდრე შენგელია-3, კობა შალამბერიძე-2, ზურაბ ძამსაშვილი-2, მამუკა ტორონჯაძე-1, პავლე ხორგუაშვილი-1, გიგა კვერენჩხილაძე-1, გიორგი ნიქაბაძე-1.

### ზუგდიდი (26)

დავით კირკიტაძე-5, ლუკა გუგუჩია-4, ზვიად სიხარულია-3, ირაკლი ეხვაია-3, გურამ სამუშია-3, ნიკა აფაქიძე-2, გიორგი ბულია-2, შოთა ლომია-1, ოთარ ჯავაშვილი-1, კობა ნიტაიშვილი-1, ბაქარ მირცხულავა-1.

### მერანი (21)

ლაშა კუჭუხიძე-3, შოთა ბაბუნაშვილი-3, დავით ციცხვაია-3, აკაკი შულაია-2, ბექა ციკოლია-2, პაპუნა ფონიავა-2, ლაშა ლონლაძე-1, გიორგი მელქაძე-1, თეიმურაზ ფარულავა-1, ალექსი ბენაშვილი-1, კიჭი მელიავა-1, ლევან გეგეჭკორი-1.

### პოკერი

| | |
|---|---|
| ოთარ კვერნაძე (ტორპედო), XXXI ტური | |
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 6:1 |

### ჰეთ-თრიქი

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო), IX ტური: დინამო-ჩიხურა | 6:1 |
| ჩისკო (დინამო), XX ტური: ჩიხურა-დინამო | 1:5 |
| დორინ გოგა (დინამო), VIII ტური: სიონი-დინამო | 1:4 |
| ნიკა საბანაძე (ზესტაფონი), XIX ტური: ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 |
| რევაზ გენაძე (ზესტაფონი), XXX ტური: გურია-ზესტაფონი | 0:5 |

### დუბლი

ირაკლი მოდებაძე (დილა)-3, დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა-)2, ელგუჯა ლობჯანიძე (ვიტ ჯორჯია)-2, გიორგი კორიფაძე (ვიტ ჯორჯია)-2, ჩისკო (დინამო)-2, გიორგი ქვილითაია (დილა)-2, ირაკლი ეხვაია (ზუგდიდი/სპარტაკი)-2, გრიგოლ დოლიძე (დილა-)1, ნიკა საბანაძე (ტორპედო)-1, ირაკლი ქობალია (ზესტაფონი)-1, დავით კვირკველია (დინამო)-1, ჯაბა დვალი (დინამო)-1, საბა ლომია (ზესტაფონი)-1, ბესიკ დეკანოიძე (ჩიხურა)-1, ალექსანდრე კოშკაძე (გურია)-1, გიორგი ჩირგაძე (მეტალურგი)-1, გიორგი კუხიანიძე (ზესტაფონი)-1, ვალერი აბრამიძე (სიონი)-1, გიორგი ბერიაშვილი (დილა)-1, ოთარ კვერნაძე (ტორპედო)-1, თეიმურაზ მარკოზაშვილი (ტორპედო)-1, ზვიად ლობჯანიძე (სიონი)-1, ბექა ტუღუში (ტორპედო-)1, ვილი ისიანი (გურია)-1.

**გია ტუხაშვილი**

ამხანაგური მატჩების წინ

# ქეცბაიამ ესპანეთამდე ნაკრები შეცვალა

საუდის არაბეთთან 29 მაისის და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ამხანაგური მატჩებისთვის მოსამზადებელ შემადგენლობაში, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** რამდენიმე იძულებითი შეცვლა გააკეთა: ტრავმების გამო, ეროვნულ გუნდს უკრაინული „ილიჩევეცისა" და პორტუგალიური „ჟილ ვისენტეს" ნახევარმცველები, შესაბამისად, **დავით თარგამაძე** და **ავთანდილ ებრალიძე** გამოაკლდნენ, ხოლო პოლონური „იაგელონიას" მცველი **გიორგი ფოფხაძე**, კლუბის თხოვნით, უახლოეს ორ სანაკრებო მატჩში არ ითამაშებს. საქმე ისაა, რომ „იაგელონიას" პოლონეთის ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩები ელის, ჩვენებური კი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ყოფილა.

ხსენებული ტრიოს ნაცვლად, ქეცბაიამ კვიპროსის „ანორთოსისიდან" **შოთა გრიგალაშვილს**, ხოლო თბილისის „დინამოდან" **გიორგი ხიდეშელს** უხმო, კიდევ ერთი ფეხბურთელის ვინაობას კი ნაკრების თავკაცი, სავარაუდოდ, საქართველოს თასის ფინალის შემდეგ დაასახელებს. სადღეისოდ, ეროვნული გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება:



გიორგი ფოფხაძე იაგელონიას სჭირდება

მეკარეები - **გიორგი ლორია** (დინამო თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (ვალეტა, მალტა), **როინ კვასხვაძე** (ტორპედო ქუთაისი);

მცველები - **უჩა ლობჟანიძე** (დნიპრო, უკრაინა), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ლაშა სალუქვაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **გია გრიგალავა** (ანჟი, რუსეთი), **დავით კვირკველია** (დინამო თბილისი), **ლევან კაკუბავა** (სპარტაკი ცხინვალი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **გიორგი ხიდეშელი** (დინამო თბილისი);

ნახევარმცველები - **ჯაბა კანკავა**, **ალექსანდრე კობახიძე** (ორივე - დნიპრო, უკრაინა), **ირაკლი ძარია** (დინამო თბილისი), **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **თორნიკე ოქრიაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ვალერი ყაზაიშვილი** (ვიტესი, ჰოლანდია), **შოთა გრიგალაშვილი** (ანორთოსისი, კვიპროსი);

თავდამსხმელები - **ნიკოლოზ გელაშვილი** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), **ბაჩანა ცხადაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **ოთარ მარცვალაძე** (დინამო თბილისი).

საქართველოს ეროვნული გუნდი ესპანურ შეკრებაზე 23 მაისს გაემგზავრება. საუდის არაბეთს ჩვენები ხერესში დაუპირისპირდებიან, ხოლო საამიროებს - შვეიცარიაში, ოღონდ, მატჩის გასამართი ადგილი ჯერჯერობით უცნობია.

**კობა ინასარიძე**

ლეგიონერი

## ნუკრი რევიშვილი

# არ ვიცი, რატომ ვართ გამონაკლისი?

## რევიშვილი რუსეთის პირველ დივიზიონზეც თანახმაა



ნუკრი რევიშვილი

**ნუკრი რევიშვილი**, ირაკლი მაისურაძე და საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, „გაგრას" თავდამსხმელი აბაიომო სეუნი ოვონიკოკო „ვალეტაში" მალტის ჩემპიონები გახდნენ. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ რევიშვილი ამ ქვეყანაში დროებით წავიდა და ამ კუნძულოვან ქვეყანაში კარიერის გაგრძელებას არ აპირებდა.

მაგრამ სად ითამაშებს ახალი სეზონიდან საქართველოს ნაკრების მეკარე? ცოტა ხნის წინათ, გამოცემა „ტაიმს ოფ მალტასთან" მან განაცხადა, რომ ერთ-ერთ რუსულ კლუბში გადასვლას აპირებდა, „ლელოსთან" კი დააზუსტა, რომ ტრანსფერის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო.

გუშინ **ნუკრი რევიშვილს** კიდევ ერთხელ დავუკავშირდით: *„ცოტა ხანს დავისვენებ და მაისის შემდეგ გაირკვევა, რომელ გუნდში ვითამაშებ. კლუბს ჩემი მენეჯერი მამუკა ჯუღელი ეძებს. იმედია, რუსეთში დავბრუნდები, რადგან იქაურ ფეხბურთს შევეგუე. ვარიანტებიც გამოჩნდა - როგორც პრემიერლიგაში, ასევე პირველ დივიზიონში. მირჩევნია, ისეთ კლუბში ჩავირიცხო, სადაც უკეთესად ვიქნები და ვითამაშებ. გაურკვევლობაში მყოფ კლუბთან მოლაპარაკებას არ დავიწყებ. საერთოდ, ევროპაში თამაში მირჩევნია, მაგრამ იქ ქართველებზე მოთხოვნა ძალიან მცირეა და მაჩანჩალა გუნდში მოხვედრას, ისევ რუსეთის პირველი ლიგის ამბიციურ გუნდში თამაში მიჯობს. ვთქვათ, პირველი დივიზიონის ამბიციური კლუბი თუ გამოჩნდება, რომელსაც პრემიერლიგაში გადასვლის პრეტენზია ექნება, უარს არ ვიტყვი. ხაბაროვსკის „სკა ენერგია"? არა, ეს ვარიანტი გამორიცხულია".*

*საქართველოში მალტურ ფეხბურთს აგდებით უყურებენ. როგორც ჩანს, ჩვენ მიმართ მალტელებსაც იგივე დამოკიდებულება აქვთ: „ეს ჩვენთან ხდება, როცა საკუთარ ჩემპიონატზე მეტად სხვისი აინტერესებთ. მალტა არაა მსოფლიოს ფეხბურთის გრანდი ქვეყანა, თან იტალია, საფრანგეთი და ესპანეთი კუნძულთან ახლოსაა, მაგრამ ჩვენსავით ხბოს აღტკინებით არ უყურებენ მათ ჩემპიონატებს - საკუთარს მეტ ყურადღებას აქცევენ. მით უფრო, არ აინტერესებთ საქართველოს ჩემპიონატი და ჩვენი ფეხბურთელები. საშუალო დონეს თუ ავიღებთ, ჩვენთან ის გაცილებით უკეთესია, მაგრამ მალტაში დაახლოებით ისეთი პირობებია, როგორც შარშან გორის „დილაში" იყო. თანაც, ევროპასთან ახლოს რომ არის, ფეხბურთელებს უფრო იოლად იწვევენ. მიხარია, რომ უკვე ორი ქვეყნის ჩემპიონი ვარ. პირველად, ეს ტიტული ყაზანის „რუბინში" მოვიპოვე, მაგრამ მაშინ 3 თამაში ჩავატარე, სათადარიგო მეკარე ვიყავი, „ვალეტას" ჩემპიონობაში კი ჩემი პატარა წვლილი შევიტანე".*

რევიშვილმა ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზეც ილაპარაკა: *„რაც დღეს ჩვენთან ხდება, ასეთ პირობებში წარმოუდგენელია, ფეხბურთი განვითარდეს. რუსეთშიც მითამაშია და იქაურ პირობებზე არაფერს ვიტყვი. ჩვენზე დაბალი დონის ჩემპიონატია მალტაში, მაგრამ განვითარებას იქაც ცდილობენ და საამისოდ, კონკრეტული გეგმაც აქვთ. ჩვენთანაც ასე თუ არ მოხდა, მალე უარეს დღეში აღმოვჩნდებით. ამიტომ არის აუცილებელი სახელმწიფოს დახმარება. მალტაშიც, კლუბებს უმთავრესად კერძო მფლობელები ჰყავთ, ჩვენთან კი ჯერ ამ დონემდე არ მისულვართ. საქმე ისაა, რომ იქ ბიზნესმენებს ფეხბურთში ფულის ჩადების სტიმული სახელმწიფომ მისცა, რადგან თავად ხელისუფლებაა ფეხბურთის განვითარებით დაინტერესებული - ასე ხომ ბიუჯეტიც იღებს შემოსავალს. მთელ მსოფლიოში ასეა და არ ვიცი, რატომ ვართ ჩვენ გამონაკლისი. ერთი და ორწლიანი გუნდებით შორს ვერ გავფრინდებით".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ვარსკვლავი

# რიბერის ბოლო მუნდიალი



ფრანკ რიბერი

**ფრანკ რიბერის** განცხადებით, 2014 წლის ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატი მისი ბოლო მუნდიალი იქნება. მიუნხენის „ბაიერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა „მამლების“ გეგმებზეც ისაუბრა.

*„ეს ჩემი უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. გეგმა მარტივია, წარმატების მიღწევა უნდა ვცადოთ, მუნდიალის მოგება“.*

შეგახსენებთ, რომ რიბერიმ მუნდიალზე პირველად 2006 წელს ითამაშა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგ იყო 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ფრანგების ფიასკოთი დასრულდა. გემახსოვრებათ **ნიკოლა ანელკას** და შემდგომ თითქმის მთელი გუნდის კონფლიქტი მწვრთნელ **რაიმონ დომენეკთან**. **პატრის ევრას** უთანხმოება ფიზმომზადების მწვრთნელთან **რობერ დუვერნთან**. თავად რიბერის კი შელაპარაკება მექსიკასთან წაგების შემდეგ **იოან გურკუფთან** მოუვიდა.

31 წლის ფეხბურთელმა კი თქვა, რომ ეს მისი ბოლო მუნდიალი იქნება, მაგრამ მას არ დაუკონკრეტებია, დაასრულებს თუ არა სანაკრებო კარიერას ამ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე. ასე რომ, ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე, რომელსაც სწორედ საფრანგეთი მასპინძლობს, „ნაიარევი სახე“ შესაძლოა, ვიხილოთ.

მონაკო

# ჟარდიმი გადაწყვეტილია

გადაწყვეტილია, რომ „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი **ლეონარდო ჟარდიმი** გახდება. ეს ინფორმაცია ოფიციალურად უახლოეს დღეებში უნდა დადასტურდეს. 39 წლის სპეციალისტმა წინა სეზონი ლისაბონის „სპორტინგში“ გაატარა და შესანიშნავი შედეგი აჩვენა - გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოუტანა „ლომებს“, რომლებიც ბოლო წლებში სერიოზულ კრიზისში იყვნენ. მიუხედავად მწვრთნელისათვის ახალგაზრდული ასაკისა, ჟარდიმმა უკვე არაერთი გუნდის გამოცვლა მოასწრო და ყველგან კარგი მაჩვენებელი ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ მონტეკარლოელები ლიგა ორიდან **კლაუდიო რანიერიმ** ამოიყვანა და ამ სეზონში მეორე ადგილზეც გაიყვანა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემდეგ უკვე იტალიელის მუშაობით ხელმძღვანელები ბოლომდე კმაყოფილები არ არიან და სამომავლო პერსპექტივებისთვის სხვა სპეციალისტები ურჩევნიათ.


ლეონარდო ჟარდიმი

*„საკმაოდ კარგი შედეგი ვაჩვენეთ, ლიგა ორიდან ამოსული გუნდისთვის უმალვე მეორე ადგილზე გასვლა იოლი არ გახლდათ. თუმცა თასზე უკეთესი თამაში შეგვეძლო. რანიერის დიდ მადლობას ვუხდით, მან ჩინებული სამუშაო გასწია და მისი გაშვება არ იყო ადვილი გადაწყვეტილება. ადამიანური და პროფესიონალური კუთხით ყველაფერი წესრიგში გახლდათ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ახლა ჩვენს პროექტს მეტი დინამიკა სჭირდება. „მონაკო“ უფრო შემტევ და უკეთეს ფეხბურთს უნდა თამაშობდეს და გულშემატკივრებს ახარებდეს“* - განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ვადიმ ვასილიევმა**.

პსჟ

# პსჟ-ს მადა: დანი ალვეში, პედრო, აზარი, პოგბა

## პარიზელებს ჯარიმა არ აცდებათ

დიდიშანსია, უეფამ „პარი-სენ-ჟერმენი“ დააჯარიმოს. საქმე ის არის, რომ „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩისას პარიზელი ქომაგების ნაწილი რასისტული გამოხტომებით გამოირჩა და ამ საკითხზე უკვე ჩატარდა გამოძიება, ხოლო მოსმენა უეფას კომიტეტმა 17 ივლისს დანიშნა.

ამასობაში, დედაქალაქელები სატრანსფერო ამბებით არიან გართულნი. როგორც ამბობენ, თუ პარიზელებს „ბარსელონადან“ **დანი ალვეშის** გადაბირება არ გამოუვათ, ისინი „მილანის“ **ინიაციო აბატეზე** გადაერთვებიან. იტალიის ნაკრების 27 წლის ფეხბურთელს სხვა მსურველებიც ჰყავს და იგი დაახლოებით 10 მილიონ ევროდ ფასობს. ისიც მოგეხსენებათ, რომ პსჟ-ს **ედენ აზარის** შეძენა უნდა და ამისთვის 60 მილიონი ევრო გაუმზადებია, მაგრამ თუ „ჩელსი“ ბელგიელს არ გაყიდის, ფრანგულ კლუბს სათადარიგო ვარიანტი აქაც აქვს - „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების შემტევი **პედრო როდრიგესი**. 26 წლის პედრო პარიზელებს უფრო იაფი დაუჯდება. დაბოლოს, „პარი სენ-ჟერმენი“ არც **პოლ პოგბას** ეშვება და კულუარული ცნობებით, მზადაა „იუვენტუსს“ 70 მილიონი გადაუხადოს. თუმცა შემცილებელი აქ კიდევ უფრო მეტია, მადრიდის „რეალის“ თამადობით.


პედრო პსჟ-ში გადადის?

ამბები

### მილანი რომაში?

ფრანგული „ლილის“ მცველმა **მილან ბაშამ**, შესაძლოა, კარიერა იტალიაში გააგრძელოს, ოღონდ არა „მილანში“, არამედ „რომაში“. მოგეხსენებათ, რომ „გლადიატორების“ მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსია** „ლილის“ ყოფილი თავკაცია და მან 31 წლის ფეხბურთელის შესაძლებლობები მშვენივრად იცის. თანაც, „ლილი“ ალბათ ბოლომდე მიიყვანს ზამთარში „სოშოდან“ **სებასტიან კორშიას** კურიოზულად ჩაშლილ ტრანსფერს და ამის ფონზე, ვეტერან ბაშასთან სარფიანად განშორებაზე უარს არ იტყვის.

### დანიელი გერმანიაში?

„ევიანის“ დანიელი ნახევარმცველი **დანიელ ვასი** კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს. მან უკვე მიიღო წასვლის უფლება კლუბის ხელმძღვანელობისაგან. ამჟამად ვასისადმი, რომელიც 31 მაისს 25 წლის გახდება, ყველაზე დიდ ინტერესს გელზენკირხენის „შალკე“ იჩენს. გარემარბი წლებია, „ევიანში“ თამაშობს და ძალიან კარგადაც გამოიყურება, სპეციალისტების აზრით, იგი ბევრად უფრო ამბიციური და ძლიერი გუნდისთვის მომწიფებულია. სულ ვასს „ევიანის“ მაისურით 105 მატჩი აქვს ჩატარებული და 15 გოლი გატანილი, აქედან 9 ბურთი მან ახლადდასრულებულ სეზონში შეაგდო. განსაკუთრებით აღსანიშნავი დანიელის მიერ ბოლო ტურში „სოშოსთან“ შესრულებული დუბლია, ამ გოლებმა და გამარჯვებამ გუნდს ლიგა ერთში ადგილი შეუნარჩუნა.

### ოჩოა თავისუფალია

როგორც მოსალოდნელი იყო, **გილერმო ოჩოამ** ლიგა ორში გავარდნილი „აიაჩო“ დატოვა. ბრწყინვალე მექსიკელი გოლკიპერი, რომელიც 13 ივლისს 29 წლის გახდება, ახლა თავისუფალი აგენტია და ახალ გუნდს ეძებს. წესითა და რიგით, ოჩოა დიდხანს უქმად არ უნდა დატოვონ. შეგახსენებთ, რომ იგი „აიაჩოს“ კარს სამი სეზონის მანძილზე იცავდა და 112 შეხვედრაში 400-ზე მეტი სეივი გააკეთა. როგორც ამბობენ, ოჩოასთვის პრიორიტეტული ევროპაში დარჩენაა.

### გააკეთებს კაბელია?

ინგლისური „ნიუკასლი“ ფრანგულ ბაზარს არ ეშვება და არც **რემი კაბელიას** ივიწყებს, რომლის შეძენასაც ადრეც ცდილობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად კლუბებს შორის ფეხბურთელის ფასზე მიდის ვაჭრობა. 24 წლის ნიჭიერი შემტევის სანაცვლოდ „მონპელიეს“ პრეზიდენტს, **ლუი ნიკოლენს** 10 მილიონი ევროს გამომუშავება სურს, ხოლო „კაჭკაჭები“ მხოლოდ 8-ს იხდიან. ჩვენ კი აღვნიშნოთ, რომ გასულ სეზონში კაბელია ლიგა ერთში 14 გოლითა და 6 საგოლე გადაცემით გამოირჩა.

### კალიარის მსურველები შეესივნენ

იტალიური „კალიარის“ პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ინგლისური „ლიდსი“ შეიძინა, მზად არის, სარდინიული კლუბი გაყიდოს. ოღონდ ჩელინო საუკეთესო ვარიანტს არჩევს და როგორც ამბობენ, ახლა ერთბაშად რამდენიმე მოლაპარაკებას აწარმოებს. „კალიარის“ შეძენა იტალიელ ინვესტორებთან ერთად ამერიკელებსაც სდომებიათ, რომლებიც მზად არიან, დაახლოებით 85 მილიონი ევრო გადაიხადონ. სარდინიული კლუბის შეძენით დაინტერესებულია კომპანია „ლოურსიდის“ მფლობელი და ფანთა გარკვეული ნაწილის ფავორიტი **ტომაზო ჯულინიც**, მაგრამ იგი ჯერჯერობით მხოლოდ 40 მილიონს იხდის.

### ველოზუ შეიძლება იტალიაში დაბრუნდეს

პორტუგალიის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი **მიგელ ველოზუ** „ფიორენტინას“ ყურადღების ცენტრში მოექცა. „იები“ მზად არიან 28 წლის ფეხბურთელში უკრაინელებს 6 მილიონი გადაუხადონ. შეგახსენებთ, რომ ველოზუ კიეველთა რიგებში სწორედ სერია A-დან, კერძოდ კი „ჯენოადან“ გადაბარგდა. გავრცელებული ცნობებით, თავად პორტუგალიელი იტალიაში დაბრუნებაზე ყაბულსაა, მაგრამ მას „დინამოსთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს და დანარჩენი უკვე უკრაინულ გრანდზეა დამოკიდებული.

### 12 მილიონი და აგერ აგერი

„ლივერპული“ ადასტურებს, რომ **დანიელ აგერის** თაობაზე შემოთავაზებებს განიხილავს. 29 წლის მცველის მთავარი მსურველი ჯერჯერობით „ნაპოლია“, რომლის მთავარი მწვრთნელიც მოგეხსენებათ, **რაფაელ ბენიტესია**. დანიელი მერსისაიდელთა რიგებში 2006 წელს სწორედ ესპანელი სპეციალისტის დროს გამოჩნდა. ბრიტანული პრესის ცნობით, „ლივერპულის“ მიზანი აგერის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტის აღებაა. თავად ფეხბურთელმა კი ცოტა ხნის წინ განაცხადა - „ლივერპული“ მიყვარს, მაგრამ არ ვაპირებ სათადარიგო ვიყოო.

### რუმენიგე ახალი ტექნოლოგიების მომხრეა

მიუნხენის „ბაიერნი“ ინიციატივით გამოვიდა, რომ ბუნდესლიგაში გოლის გასვლა-არგასვლის ანუ ბურთის მიერ ხაზის გადაკვეთა-არგადაკვეთის ავტომატურად ამომცნობი ტექნოლოგია დაინერგოს. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ამ სისტემის დანერგვა სურდათ, მაგრამ გამართულ რეფერენდუმზე იდეა არ დამტკიცდა. ამის მიზეზი ისაა, რომ მეორე ბუნდესლიგის გუნდებმა უარი განაცხადეს, ისინი ამისათვის ფინანსურად არ იყვნენ მზად. ამიტომაც, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელობამ გამოსავალი იპოვა...

*„ეს სისტემა ჯერჯერობით მარტო ბუნდესლიგაში მაინც უნდა დაინერგოს. ეს არბიტრებს დაეხმარება“* - განაცხადა „ბაიერნის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

ეს თემა ახლაც ძალიან აქტუალურია, რადგან გერმანიის თასის ფინალში, რომელიც საბოლოოდ „ბაიერნმა“ 2:0 მოიგო, „დორტმუნდს“, კერძოდ კი **მატს ჰუმელსს**, აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, არბიტრებმა ვერ დაინახეს, რომ **დანტემ** ბურთი მას მერე გამოიტანა, რაც მას ხაზი გადაკვეთილი ჰქონდა.

### გიგზმა ტიაგო ალკანტარა დაბლოკა

როგორც ირკვევა, წინა ზაფხულს **ტიაგო ალკანტარას** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა პირადად **რაიან გიგზმა** არ ისურვა და ეს ტრანსფერი დაბლოკა. შეგახსენებთ, რომ საბოლოოდ ალკანტარა „ბარსელონადან“ „ბაიერნში“ გადავიდა. სპეციალურ კრებაზე 40 წლის გიგზი ერთადერთიო ყოფილა, რომელსაც უთქვამს - ტიაგო ალკანტარა „მანჩესტერ იუნაიტედს“ არ შეეფერებაო. „წითელი ეშმაკების“ სხვა მმართველებმაც მას დაუჯერეს და ამ ტრანსფერზე აღარ უფიქრიათ.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**

● კვირა ციფრებში

# ფეხბურთელი, ვისზე მეტი ტიტულიც მხოლოდ ორ კლუბს აქვს

## ჰეთთრიქი, ტიტანი და თინეიჯერი

**დღევანდელ** მიმოხილვაში ახალგაზრდა დანიელ მარტინ ოდეგაარდზე, რაიან გიგზზე, „ატლეტიკოს“ და „ბენფიკას“ წარმატებაზე და ლიბერტადორესის თასის უჩვეული ნახევარფინალისტებზე ვისაუბრებთ...



ჟორჟე ჟესუსის „ბენფიკამ“ შინაურ ასპარეზზე ჰეთთრიკი შეასრულა

**963** - თამაში, ინგლისის ჩემპიონის 13 ტიტული და ჩემპიონთა ლიგის 2-გზის გამარჯვებული - **რაიან გიგზმა** თავისი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა ორშაბათს დაასრულა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდამ, რომელიც კლუბში რჩება და **ლუის ვან გაალის** ასისტენტად იმუშავებს, უელსის ნაკრებში 64 მატჩი ითამაშა, კარიერის განმავლობაში კი 180 გოლი გაიტანა. გიგზზე მეტი ტიტული პრემიერლიგაში მხოლოდ „ლივერპულს“ და თავად „იუნაიტედს“ აქვთ მოგებული. ასევე, უელსელმა პრემიერლიგაში 406 გამარჯვება მოიპოვა, იმ დროს, როდესაც მაგალითად მოქმედი ჩემპიონის, „მანჩესტერ სიტის“ ანგარიშზე 261 მოგებული მატჩია.

**9**-წლიანი უტიტულო სვლა დაასრულა „არსენალმა“, რომელმაც ინგლისის თასი ისტორიაში მეთერთმეტედ მოიგო და ტიტულებით აქამდელ რეკორდსმენ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუთანაბრდა. ასევე, **არსენ ვენგერის** გუნდი ისტორიაში სულ მესამე, ბოლო 48 წლის განმავლობაში კი პირველი კლუბი გახდა, რომელმაც ფინალი ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, პენალტების სერიის გარეშე მოიგო.

**15** - წლის და 150 დღის ასაკში, **მარტინ ოდეგაარდი** ნორვეგიის ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი გახდა. „სტრიომსგოდსეტის“ ნახევარმცველმა „სარპსბორგთან“ მიმდინარე მატჩის 90-ე წუთზე გაიტანა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:1 „სტრიომსგოდსეტის“ სასარგებლოდ. 15 წლის ფეხბურთელისთვის ეს უკვე მეოთხე მატჩი იყო. ნორვეგიის მოქმედი ჩემპიონის რიგებში დებიუტი ოდეგაარდს 13 აპრილს ჰქონდა. მაშინ ის ნორვეგიის პირველობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა და თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა. ასე რომ, დაიმახსოვრეთ ეს სახელი: მარტინ ოდეგაარდი.

**10** - საჩემპიონო ტიტული მოუგროვდა მადრიდის „ატლეტიკოს“, მას შემდეგ, რაც შაბათს „ბარსელონასთან“ 1:1 ითამაშა და ლა ლიგის გამარჯვებული გახდა. ბოლოს ესპანეთის ჩემპიონად „ატლეტიკო“ 18 წლის მოგვევლინა, როდესაც ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **დიეგო სიმეონე** კლუბში ფეხბურთელის რანგში ირიცხებოდა. ბოლო 19 წელიწადში „ჩოლო“ გახდა პირველი არაევროპელი მწვრთნელი თანამემამულე **ხორხე ვალდანოს** შემდეგ, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო. „როხიბლანკო“ ტიტულებით მხოლოდ „რეალს“ (32) და „ბარსელონას“ (22) ჩამორჩება. ამ გამარჯვებით, მადრიდულმა კლუბმა ორი გრანდის 9-წლიანი ჰეგემონია დაამხო. დიეგო სიმეონეს გუნდს ამ საოცარი სეზონის დაგვირგვინება შაბათს, ჩემპიონთა ლიგის მოგებით შეუძლია.

**3** - ტიტული მოიგო პორტუგალიაში „ბენფიკამ“, რაც აქამდე არავის გაუკეთებია. ჩემპიონატის და ლიგის თასის შემდეგ, „არწივებმა“ კვირას ქვეყნის თასზეც იმარჯვეს. ლისაბონურ გრანდს დუბლი ბოლოს 27 წლის წინ ჰქონდა შესრულებული, ამ სეზონში კი „ბენფიკამ“ სამი საშინაო ტიტული მოიგო და მას შემდეგ, რაც 2007/08 წლების სეზონში ლიგის თასის გათამაშებას ჩაეყარა საფუძველი, პირველი პორტუგალიური კლუბი გახდა, რომელმაც ჰეთთრიქის შესრულება შეძლო.

ორივე თასის ფინალში „ბენფიკამ“ „რიო ავეს“ მოუგო, რომელმაც მარცხის მიუხედავად, ევროპალიგის საგზური მოიპოვა. იმ ევროპალიგის, რომლის მოგების შანსიც **ჟორჟე ჟესუსის** გუნდს ოთხშაბათს ჰქონდა. მიუხედავად უპირატესობისა, გამარჯვება მაინც მეტოქეს, „სევილიას“ დარჩა და „ბენფიკა“ გახდა ევროპალიგის ისტორიაში პირველი გუნდი, ვინც ზედიზედ ორი ფინალი წააგო. სულ კი ლისაბონელებმა ევროთასებზე მერვე გადამწყვეტი მატჩი დათმეს, რითაც მათ „იუვენტუსის“ რეკორდი გაიმეორეს, თუმცა „ბენფიკას“ „მიღწევა“ უფრო გამორჩეულია, რადგან პორტუგალიელებმა რვავე ფინალი ზედიზედ წააგეს.

გამარჯვებული „სევილია“ კი ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ შემდეგ მხოლოდ მეორე კლუბია, რომელსაც სულ სამი ფინალი ითამაშა და სამივე მოიგო.

**0** - ბრაზილიური კლუბი და წინა წლების არც ერთი გამარჯვებული - ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალში გასული გუნდებიდან, ეს ტურნირი აქამდე არავის მოუგია. უკანასკნელად, 1/2 ფინალმა ბრაზილიური კლუბის გარეშე 23 წლის წინ, 1991 წელს ჩაიარა, არადა, სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ბოლო ოთხი გათამაშება სწორედ ამ ქვეყნის კლუბებმა მოიგეს.

„ბოლივარს“, „დეფენსორს“, ასუნსიონის „ნასიონალს“ და „სან ლორენსოს“ ლიბერტადორესის თასი არასდროს მოუპოვებიათ. „სან ლორენსო“ არგენტინული ე.წ. „დიდი ხუთეულის“ („რივერი“, „ბოკა“, „რასინგი“, „ინდეპენდიენტე“ და „სან ლორენსო“) ერთადერთი წევრია, რომელსაც ეს ტურნირი არ მოუგია. უკანასკნელად, რომის პაპის საყვარელმა გუნდმა 1/2 ფინალში 28 წლის წინ ითამაშა და იქ თანამემამულე „ნიუელსთან“ დამარცხდა.

„ბოლივარს“, რომელიც ამ ეტაპზე ბოლოს 26 წლის წინ იყო, აქვს შანსი, რომ გახდეს პირველი ბოლივიური კლუბი, ვინც ლიბერტადორესის თასს მოიგებს.

მიუხედავად იმისა, რომ სულ მესამედ მოხდა ისე, რომ 1/2 ფინალში მოქმედი გამარჯვებული ვერ გავიდა, ლიბერტადორესის თასის ერთი ტრადიცია მაინც გაგრძელდა. კერძოდ, მუნდიალის წლებში საკმაოდ ხშირად მომხდარა, რომ ტურნირი ახალ კლუბს მოუგია. „რივერ პლეიტმა“, „ველეს სარსფილდმა“, „ვასკო და გამამ“ და „ინტერნასიონალმა“ პირველი ტიტული შესაბამისად 1986, 1994, 1998 და 2006 წლებში მოიპოვეს.

**ტატო ბაციკაძე**

● ბარსელონა

# ჩემი გუნდი ლაღ, შემტევ ფეხბურთს ითამაშებს

## ლუის ენრიკემ კონტრაქტს ხელი მოაწერა



ლუის ენრიკე, ხოსე მარია ბარტომეუ და ანდონი სუბისარეტა

ორშაბათს, **ლუის ენრიკემ** „ბარსელონასთან“ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და გულშემატკივრებს დაპირდა, რომ „ბარსა“ ამაღელვებელ ფეხბურთს ითამაშებს, მაგრამ 44 წლის სპეციალისტმა ისიც აღნიშნა, რომ დაცვის ხაზის გამაგრება აუცილებელია.

*„დღევანდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია. დღეს ჩვენ ახალი „ბარსას“ მშენებლობას ვიწყებთ, იმ „ბარსასი“, რომელიც გულშემატკივრებს ააღელვებს და აღაფრთოვანებს. ბედნიერი ვარ, აქ რომ ვიმყოფები. წინ ბევრი სამუშაო გვაქვს, ბევრი რამ უნდა გადავწყვიტოთ და ვიმედოვნებ, რომ მომავალი სეზონი დიდებული გამოდგება“,* - განაცხადა ლუის ენრიკემ.

კომენტარი სპორტულმა დირექტორმა **ანდონი სუბისარეტამაც** გააკეთა: *„რატომ ლუის ენრიკე? ის ჩვენს სტილს კარგად იცნობს და მზადაა, რომ „ბარსელონა“ გაწვრთნას. ლუის ენრიკე ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვისაც გამოწვევის მიღება უყვარს და არაფერი აშინებს. ჩემი აზრით, მასზე უკეთეს მწვრთნელს უბრალოდ ვერ მოვიყვანდით“,* - აღნიშნა „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა.

ისევ ლუის ენრიკე: *„მე მწვრთნელზე მეტი ვარ, მე ვარ ლიდერი და აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდს გავუძღვე - ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები ძალიან მნიშვნელოვანია. შემტევი ფეხბურთი „ბარსელონას“ სავიზიტო ბარათია - ჩვენ ასე ვთამაშობთ და ხალხსაც ამის გამო ვუყვარვართ, მაგრამ ამავე დროს, დაცვაც არ უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, რაღაცეები შეიცვლება, რადგან მე საკუთარი იდეები მაქვს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ მიუხედავად ცვლილებებისა, მიმზიდველ, შემტევ და ეფექტურ ფეხბურთს ვითამაშებთ“.*

### სელტას ბერიცო უთავკაცებს

ლუის ენრიკეს წასვლის შემდეგ, ვიგოს „სელტამ“ ახალი მწვრთნელი საკმაოდ მალე იპოვნა. უახლოესი ორი სეზონის განმავლობაში, გალისიურ კლუბს მისი ყოფილი ფეხბურთელი, **ედუარდო ბერიცო** გაწვრთნის. 44 წლის სპეციალისტი „სელტაში“ 2001-05 წლებში თამაშობდა (ლა ლიგაში 101 თამაში, 4 გოლი). სამწვრთნელო საქმიანობა კი ბერიცომ 2007 წელს დაიწყო, როდესაც ჩილეს ნაკრებში **მარსელო ბიელსას** ასისტენტი გახდა. დამოუკიდებლად მუშაობას კი ის 2011 წელს „ესტუდიანტესში“ შეუდგა, მაგრამ კლუბი მალე დატოვა და ჩილეს „ოჰიგინსში“ გადავიდა, რომელსაც 2013 წელს ისტორიაში პირველი საჩემპიონო ტიტული მოაგებინა.

**ტატო ბაციკაძე**

● ვარსკვლავი



ლუის სუარესი მოწოდებით ლიდერია

# სუარესი ყველაზე გავლენიანია

BLOOMBERG SPORTS-ის თანახმად ევროპის ყველაზე გავლენიანი ფეხბურთელი „ლივერპულის“ 27 წლის ურუგვაელი ფორვარდი **ლუის სუარესია**. ავტორიტეტული გამოცემის ანალიტიკოსთა მტკიცებით, მათი კვლევა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით არის ჩატარებული და მასში გათვალისწინებულია როგორც მოთამაშის შემტევი, ისე დაცვითი პოტენციალიც.

აღმოჩნდა, რომ სუარესის მარგი ქმედების კოეფიციენტი უფრო დიდია, ვიდრე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული **კრიშტიანო რონალდოსი**. საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. ლუის სუარესი (ლივერპული), 2. **ლიონელ მესი** (ბარსელონა), 3. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ), 4. კრიშტიანო რონალდო (რეალი), 5. **კევინ სტროოტმანი** (რომა), 6. **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო), 7. **მეჰდი ბენატია** (რომა), 8. **რობერტ ლევანდოვსკი** (დორტმუნდი), 9. **ტიაგო** (ატლეტიკო), 10. **დავიდ სილვა** (მანჩესტერ სიტი).

**ლევან ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი

# განსაკუთრებული პირობები ეტოოსთვის


სამუელ ეტოო თანაგუნდელებზე უკეთეს პირობებში იცხოვრებს

„გლობო ესპორტეს“ ინფორმაციით, მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას კამერუნელთა დელეგაციიდან ორი ადამიანი სხვებისგან განსხვავებულ პირობებში იცხოვრებს - მთავარი მწვრთნელი **ფოლკერ ფინკე** და **სამუელ ეტოო**. ისინი სასტუმროს ლუქსებში დაბინავდებიან. დანარჩენი ფეხბურთელები შედარებით ნაკლებად კომფორტულ ოთახებში განთავსდებიან, თუმცა არც მათ პირობებს დაეწუნება რამე. კამერუნელთა ფანჯრები პირდაპირ გადაჰყურებს სანაპიროს. დელეგაცია ოთხ სართულს დაიკავებს, სადაც მოხვედრა მხოლოდ სპეციალური ლიფტებით იქნება შესაძლებელი. ყოველ სართულს დაცვა ცალკე გააკონტროლებს. ფეხბურთელებს ოჯახის წევრებთან და ჟურნალისტებთან შესახვედრად ცალკე ოთახი ექნებათ გამოყოფილი. შეგახსენებთ, რომ კამერუნის ნაკრები A ჯგუფში ბრაზილიის, მექსიკისა და ხორვატიის ნაკრებებთან ერთად მოხვდა.

## მარიონეტი ჟოზე

ეტოოსა და **ჟოზე მოურინიოს** დაპირისპირების ისტორია გეხსომებათ. „ჩელსის“ თავკაცმა ერთ-ერთ შეხვედრაზე პრივატულ საუბარში კამერუნელის ასაკის გამო ეჭვი გამოთქვა, რაც ფრანგულმა „კანალ პლუსმა“ ჩაიწერა და ეთერში გაუშვა. მათ შორის მას მერე ურთიერთობა ერთობ გამწვავდა. ფეხბურთელმა ამ დღეებშილა გააკეთა პირველი კომენტარი და ყოფილ თავკაცს მარიონეტი უწოდა:

„რა რეაქცია შეიძლებოდა მქონოდა ამ მარიონეტის სიტყვებზე, როცა მოხუცი მიწოდა? მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად ასაკისა, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მაღალ დონეზე სათამაშოდ ვარ მზად. მგონი დავამტკიცე კიდეც, რომ ჩემზე ბევრად უფრო ახალგაზრდებსაც ვჯობივარ. ამერიკასა და აზიაში წასვლას არ ვგეგმავ. სათამაშოდ ევროპაში ვრჩები. ჯერ კონკრეტულად არაფერს გეტყვით, მაგრამ იცოდეთ, რომ აუცილებლად გადავალ კლუბში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, რადგან ჩემი ურთიერთობა ამ ტურნირთან ჯერ არ დასრულებულა. ჯერ მხოლოდ 33 წლის ვარ და მომდევნო ორ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვაპირებ თამაშს. ყოფილა, რომ ფეხბურთელი ამ ტურნირზე 42 წლისაც ჩამოსულა საასპარეზოდ. მე მეტიც შემიძლია“.

ინტერვიუ. ჰოლგერ ბადშტუბერი

# ბადშტუბერის შრომა, რკინის ნერვები და იმედები

**„ბაიერნის“ ვებგვერდმა ჰოლგერ ბადშტუბერთან ინტერვიუ შემოგვთავაზა, რომელშიც 25 წლის ფეხბურთელი იმ 18 თვის შესახებ გვიყვება, რომელიც მან უფეხბურთოდ გაატარა. უიღბლო პერიოდი მისთვის 2012 წლის 1 დეკემბერს „დორტმუნდთან“ შეხვედრაში დაიწყო. სხვათა შორის, ტრავმა მან ახლანდელ თანაგუნდელ მარიო გიოტცესთან შეჯახების შემდეგ მიიღო.**

**- ჰოლგერ, ცოტა ხნის წინ თმა მოკლედ შეიჭერით. ეს ახალი ეტაპის დასაწყისს ხომ არ ნიშნავს?**

- ამის გაკეთება დიდი ხნის წინ მინდოდა. მგონი, მიხდება კიდეც. სერიოზულად თუ გიპასუხებთ, მართლა მოუთმენლად ველოდები კარიერაში ახალი ეტაპის დაწყებას.

**- გუნდთან ერთად ვარჯიში ახლახან განაახლეთ.**

- ჩემთვის ეს განსაკუთრებული დღე იყო. მას მერე კიდევ უფრო მეტად მოტივირებული და კონცენტრირებული გავხდი. როგორც იქნა, ისევ ალვიქვი თავი გუნდის ნაწილად.

**- „ძველი ბადშტუბერის“ დასაბრუნებლად კიდევ რა არის საჭირო?**

- მიხარია, რომ ვარჯიში ისევ შემიძლია, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ მომატება კიდევ შემიძლია მრავალ კომპონენტში. იქნება ეს ორთაბრძოლები, ამტანობა თუ დარტყმის სიძლიერე. ყოველი ვარჯიში ამაში ხელს მიწყობს.

**- მოძრაობისას დისკომფორტს თუ გრძნობთ?**

- არა, მუხლი წესრიგში მაქვს, თუმცა მოქნილობა ჯერ კიდევ მაკლია. მალე ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე იქნება.

**- გუნთან ერთად პირველი ვარჯიში როგორი იყო?**

- შესაგუებლად დრო დამჭირდა. ტკივილი მაწუხებდა, მაგრამ არა ძველებური.

**- ამჟამად დუბლებთან ერთად ვარჯიშობთ.**

- ვვარჯიშობ როგორც დუბლებთან, ისე ინდივიდუალურადაც.

**- კიოლნის „ფორტუნასთან“ თამაშს შეძლებთ?**

- არა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ამისთვის ჯერ კიდევ არ ვარ მზად. სეზონის წინა მოსამზადებელ პერიოდს მაქსიმალურად კარგ ფორმაში უნდა შევხვდე, რათა მერე მთელი ძალით შევუდგე საქმეს.

**- უახლოეს კვირებში რას გეგმავთ?**

- მზადების ტემპი არ უნდა დავაგდო, თუმცა ზედმეტადაც არ უნდა დავიტვირთო. შვებულებაში მხოლოდ ორი კვირით გავალ, მხოლოდ იმიტომ, რომ გარემო შევიცვალო.

**- მომდევნო სეზონისთვის 100%-ით მზად იქნებით?**

- ამისთვის მოთმინება დამჭირდება. სულაც არ გავბრაზდები, თუკი პირველ ეტაპზე სკამზე მომიწევს ჯდომა, თუმცა საკუთარ შანსს ვერც თვეების განმავლობაში დაველოდები.

**- სარეაბილიტაციო პერიოდში ყველაზე რთული რა იყო?**

- დრო უსასრულოდ იწელებოდა, თუმცა ფიქრადაც კი არ გამივლია, რომ დავნებებულიყავი.

**- რეციდივის შემდეგაც კი?**

- ექიმებმა ამის შემდეგაც მომცეს გარანტია, რომ დავბრუნდებოდი. იყო პერიოდი, როცა პროგრესი არ შეიმჩნეოდა, მაგრამ გამიმართლა, რადგან ამ დროს გვერდით საჭირო ხალხი მყავდა.

**- ყველაზე მეტად ვინ დაგეხმარათ?**

- ოჯახი, მეგობრები, მწვრთნელები, მთელი „ბაიერნი“.


ჰოლგერ ბადშტუბერი

**- კლუბი როგორ დაგიდგათ მხარში?**

- ხელმძღვანელობისგან მუდმივად ვგრძნობდი, რომ ჩემი იმედი ჰქონდათ. სასიამოვნო იყო, როცა ვხედავდი, რომ ამდენ ხალხს უხაროდა ჩემი თუნდაც მინიმალური პროგრესი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ოცნებობდით?**

- მცირე, მაგრამ იმედი ნამდვილად მქონდა, მაგრამ რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ეს შეუძლებელი იყო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ექსპრესი: კროოსის ტრანსფერი იუნაიტედში შეთანხმებულია

„ექსპრესის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბაიერნს“ 24 წლის **ტონი კროოსის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. ცენტრალური ნახევარმცველის გადაბირებაზე კლუბი ჯერ კიდევ **ლუი ვან გაალის** დანიშვნამდე მუშაობდა და ჰოლანდიელის მისვლის შემდეგ პროცესი უბრალოდ დაჩქარდა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს ერთად უკვე უმუშავიათ. 2009 წლის ზაფხულზე „ბაიერნში“ დანიშვნის შემდეგ ვან გაალმა კროოსი „ლევერკუზენში“ იჯარით გაუშვა, მომდევნო სეზონში უკან დააბრუნა, მაგრამ ფეხბურთელმა „რეკორდმაისტერის“ ძირითადში ფეხი მყარად მაინც ვერ მოიკიდა. ნიჭიერ გამთამაშებელს მიუნხენელებთან კონტრაქტში 12 თვე რჩება, ახალ ხელშეკრულებაზე კი ის უარსაა. „ბაიერნი“ იძულებულია, ტრანსფერზე თანხმობა თქვას, რათა მომდევნო ზაფხულზე ის თავისუფალი აგენტის სტატუსის გამო არ დაკარგოს. მიუხედავად ამისა, „ეშმაკები“ იაფად ვერ გამოვლენ, რადგან ტონის კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა, 40 მილიონი ფუნტი, წინასწარ არის განსაზღვრული. გერმანელს „ოლდ ტრეფორდზე“ ზღაპრული პირობები ელოდება - კვირაში 260 ათასი ფუნტი. „იუნაიტედში“ ამაზე უკეთესი ანაზღაურება მხოლოდ **უეინ რუნის** აქვს. რიგი ინგლისური გამოცემების მტკიცებით, „იუნაიტედის“ ფანები ნახევარმცველის ტრანსფერს სკეპტიკურად აფასებენ.


უეინ რუნი (მარცხნივ) და ტონი კროოსი თანაგუნდელები ხდებიან

ცოტა რამ წარსულიდან

# ბალარდი კაპელოს წინააღმდეგ

**ჯიმი ბალარდი** შესაძლოა, მხოლოდ ინგლისის ნაკრების ერთგულ ფანებს ახსოვდეთ. მუხლის ტრავმის გამო ის ფეხბურთიდან 2012 წლის ოქტომბერში წავიდა, ნაკრების შეკრებაზე კი მხოლოდ 3-ჯერ იყო გამოძახებული და ერთხელაც არ უთამაშია. გულშემატკივარმა შეიძლება ისიც გაიხსენოს, რომ ჯიმიმ 2005 წელს გერმანიის ნაკრების თავკაც **იურგენ კლინსმანს** საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა „მანშაფტისთვის“. უკანასკნელს განცხადება სერიოზულად არც ალუქვამს. ფეხბურთელი **ფაბიო კაპელოს** ავტობიოგრაფიულ წიგნში ზღვარსგადასულ სიმკაცრეში „ამხელს“. აი, რას წერს 35 წლის ვეტერანი ინგლისელთა ყოფილ თავკაცზე:

- ფაბიო კაპელოს ხასიათის ისეთი შტრიხები ჰქონდა, რაც მასთან ურთიერთობას საკმაოდ ართულებდა. ის დისციპლინის ფანატი და უმკაცრესი ადამიანი იყო. დაგვიანება არსად არ შეიძლებოდა - არც სასადილოში, არც ვარჯიშზე და არც გუნდის შეკრებაზე. ჩაცმითაც ყოველთვის მკაცრად განსაზღვრულ სტილში უნდა გვცმოდა. საღამოს 19:00-ზე უნდა გვეჭამა. სადილობისას მობილური ტელეფონების გამოყენება აკრძალული ჰქონდა. ამას გარდა არ შეგვეძლო საჭმლის შეკვეთა სასტუმროს ნომერში. ჩემთვის ეს ძნელი შესაგუებელი იყო, რადგან სახლში ხშირად უფრო გვიანაც წავიხემსებდი ხოლმე. ნაკრებში კი კაპელოს გამო დილამდე მშიერი ვრჩებოდი. ერთხელ ამის გამო დევიდ ბენტლისაც კი შევჩივლე, ვინც მეგობარს „მაკდონალდსიდან“ დიდი ბიგმაკი მოატანინა. აკრძალული იყო სასტუმროდან გარეთ გასვლაც, რადგან ყველგან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები იდგნენ.

ჯიმი ბალარდი ინგლისის ნაკრებში მხოლოდ 3-ჯერ იყო გამოძახებული


ამბები

## პრემიერლიგას სპონსორი სჭირდება

ბანკი „ბარკლაისი“, ვინც ინგლისის პროფესიულ ლიგას 2001 წლიდან სპონსორობს, მომდევნო სეზონიდან პრემიერლიგის პარტნიორობაზე უარს ამბობს. მიზეზი საფეხბურთო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **რიჩარდ სკუდემორის** სექსისტური განცხადებებია. სკანდალი დიდი ხანია, მძვინვარებს, თუმცა ბატონი სკუდემორი, როგორც ჩანს, წყლიდან მშრალად ამოსვლას მაინც მოახერხებს. პრემიერლიგამ პირველი პირის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაზეც კი უარი თქვა. ამ გადაწყვეტილებამ ბრიტანეთის პრემიერი **ჯეიმს კემერონი** გააოგნა. მისი თქმით, ქალებზე ასეთი უხეში განცხადებების მოსმენის შემდეგ ის ნებისმიერ მინისტრს დაუფიქრებლად დაატოვებინებდა პოსტს.

## მექსიკელებს დალევა და სექსი აუკრძალეს

მექსიკის ნაკრების თავკაცმა **მიგელ ერერამ** მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ფეხბურთელები წინასწარ გააფრთხილა, რომ გუნდში მკაცრ დისციპლინას დაამყარებს. ტურნირის მიმდინარეობისას შეგირდებისგან ის ალკოჰოლსა და ქალებზე უარის თქმას მოითხოვს. *„ფეხბურთელს, ვისაც 20 დღე, მაქსიმუმ ერთი თვე, არ შეუძლია ამ ორ რამის გარეშე, პროფესიონალს ვერ ვუწოდებ. მოდი, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისთვის განვეწყოთ და ნუ წავალთ ბრაზილიაში ისე, თითქოს მორიგ გასართობ საღამოზე ვიყოთ დაპატიჟებულნი. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და არა კომპიუტერული თამაში,“* - განაცხადა გუნდის თავკაცმა. ერერამ ამით ნაკრების სპორტული დირექტორის **რიკარდო პელაესის** პოზიცია უარყო, ვინც ფეხბურთელებს წინასწარ აღუთქვა, რომ ამ მხრივ შეზღუდვა არ ექნებოდათ, ოღონდაც „ამ საქმით“ ერთმანეთთან არ დაკავებულიყვნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჩეზარე პრანდელი

# ვიცით, როგორ გავიდეთ ფინალში!

## ჩეზარე პრანდელი ფეხბურთელებს ფეისბუქს უკრძალავს, სექსს - არა



**იტალიური საფეხბურთო სამყარო მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინშია. ჩეზარე პრანდელის მიერ დასახელებულმა გაფართოებულმა შემადგენლობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და, როგორც ასეთ დროს ხდება, უამრავი კითხვა გაჩნდა. „გაძეტა დელო სპორტმა“ დროულად ჩამოართვა ინტერვიუ იტალიის ეროვნული ნაკრების მესაჭეს. ჟურნალისტისა და მწვრთნელის საუბარი სწორედ 30-კაციანი სიით დაიწყო...**

**- რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეთ 30 ფეხბურთელის შერჩევისას?**

- ისეთი სამუშაო მაქვს, რომ ნებისმიერი ჩემი გადაწყვეტილება კითხვის ნიშნებს ბადებს... ყოველთვის ჩნდება ალტერნატიული მოსაზრებები, რის ნიადაგზე ვერც კრიტიკას აცდები. სეზონი დეტალურად გავაანალიზეთ, ფეხბურთელების მიერ გაწეული სამუშაოს სტატისტიკური მონაცემები შევაფასეთ და მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი გამოვიყვანეთ. თუმცა, არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ტრავმა ჰქონდათ, მაგრამ მაინც მოხვდნენ სიაში, რადგან მათ განსაკუთრებული ნიჭი აქვთ და მათზე განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებთ.

**- ბევრი დარჩა უკმაყოფილო, სიის მიღმა დარჩენილმა ფეხბურთელებმა კი გაგაკრიტიკეს...**

- ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მუნდიალს მიღმა დარჩენილმა ფეხბურთელებმა დიდი დარტყმა მიიღეს. ძალიან ვწუხვარ ემანუელე ჯაკერინის, ალესანდრო დიამანტის, დომენიკო კრიშიტოს, პაბლო ოსვალდოს, ალბერტო ჯილარდინოს და სხვების გამო, მაგრამ განაცხადში ყველას ვერ შევიყვანდი. ჩვენ შევარჩიეთ კონკრეტულ მომენტში ყველაზე საჭირო ფეხბურთელები და ამას გაგებით უნდა მოეკიდონ. მინდა სიის მიღმა დარჩენილ მოთამაშეებს განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა, რადგან მათ თავისი წვლილი შეიტანეს იტალიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში.

**- და მაინც, რომელი კრიტერიუმი დააკმაყოფილა ჯუზეპე როსიმ?**

- მესმის კითხვის ქვეტექსტი, მაგრამ მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ არიან განსაკუთრებული ნიჭის ფეხბურთელები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. როსიმ სეზონის პირველი ნახევარი ითამაშა და იმ პერიოდში სერია A-ს ბომბარდირი იყო. ტრავმის შემდეგ კიდევ კარგა ხანს დარჩა პირველ ადგილზე, რაც მის შესაძლებლობებზე ნათლად მეტყველებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ როსი აუცილებლად მოხვდება 23 ფეხბურთელში, მას კიდევ დავაკვირდები.

**- დიამანტი, ჯაკერინი და კრიშიტო სიის მიღმა დარჩნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უცხოეთში მოასპარეზე ფეხბურთელებს ნაკრებში მოხვედრის მცირე შანსი აქვთ...**

- არა, ასე ნამდვილად არაა. ჩემს განკარგულებაში 15 ადამიანია, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით დადიან და იტალიელ ფეხბურთელებს აკვირდებიან. მერწმუნეთ, მათგან დეტალურ ინფორმაციას ვიღებ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ვერც ჯაკერინი ბრწყინავდა და ვერც კრიშიტო, რაც შეეხება დიამანტის, არ დავმალავ, რომ ლიგის სიძლიერესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. 30-კაციან განაცხადში პსჟ-ს სამი ფეხბურთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იტალიური კლუბებიდან არ ამყავს მოთამაშეები.

**- კასანოს დაბრუნება რას უნდა მივაწეროთ?**

- ბევრი კრიტერიუმით კასანო პირველია სერია A-ს შემტევებს შორის. ძალიან იშვიათად კარგავს ბურთს, იწყებს იერიშებს და ასეთივე წარმატებით აგვირგვინებს. შეუძლია ერთი პასით, ან დარტყმით გადაწყვიტოს მატჩის ბედი. მთელი წლის განმავლობაში ვიმეორებდი, რომ არიან ფეხბურთელები, რომლებიც შესაძლოა შესარჩევ ეტაპზე არ გამოიყენო, მაგრამ დიდ საფეხბურთო ფორუმზე წაიყვანო. ევროპის ჩემპიონატზე ასე მოხდა ანტონიო დი ნატალეს შემთხვევაში, ამჯერად კი კასანო ვიხმე.

**- უკვე გასრულებულ სეზონში, კასანომ საგოლე პასებით დაგვამახსოვრა თავი. ხომ არ ვიხილავთ მას ფორვარდების უკან, გამთამაშებლის პოზიციაზე?**

- კი, ასეთ ვარიანტს განვიხილავ, მაგრამ კასანო ძალიან მომწონს შეტევის წინა ხაზზეც, ბალოტელისთან ტანდემში. გახსოვთ, როგორ ითამაშეს მათ ერთად ევროპის ჩემპიონატზე და მჯერა, რომ არც ამჯერად დააკლებენ. რამდენიმე ტაქტიკურ სქემას ვამუშავებთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ჯერ კასანოსაც დასამტკიცებელი აქვს, რომ 23-კაციან განაცხადში მოხვედრას იმსახურებს.

**- შესაძლებელია, რომ კასანო და როსი წაიყვანოთ ბრაზილიაში, თუ ერთ-ერთი სახლში დარჩება?**

- წინ 10-დღიანი საწვრთნელი ციკლია, რომელიც თითოეული ფეხბურთელის ფიზიკურ კონდიციაზე დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის. მუნდიალზე იმათ წავიყვან, ვინც უკეთესად არის მზად კიდევ ერთთვიან მარათონში ჩასაბმელად. იმედი მაქვს, კასანო და როსი მსოფლიო ჩემპიონატზე ერთად ითამაშებენ, თუმცა ამას ცოტა ხანში გავიგებთ.

**- არაერთი ნაკრების მწვრთნელმა პირდაპირ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, თქვენ სხვა გზა აირჩიეთ...**

- როდესაც შეკრებაზე 30 ფეხბურთელია და ყველამ იცის, რომ 7 თამაშგარეში დარჩება, შესაძლოა გუნდში არაჯანსაღმა ატმოსფერომ დაისადგუროს. ამიტომ, მწვრთნელების ერთი ნაწილი ამას მოერიდა და პირდაპირ საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. საბედნიეროდ, იტალიის ნაკრებში ჯანსაღი კონკურენციაა და კოვერჩიანოზეც ყოველთვის მეგობრული ატმოსფეროა.

**- ევროპის ჩემპიონატზე და კონფედერაციათა თასზე ხშირად ცვლიდით ტაქტიკურ სქემებს...**

- ასე იქნება მსოფლიო ჩემპიონატზეც. ფეხბურთელები მაძლევენ იმის საშუალებას, რომ რამდენიმე სქემა თანაბრად ეფექტურად გამოვიყენო. ჩვენ ვამუშავებთ 4-3-1-2 ტაქტიკას, ასევე 4-5-1-ს და 3-5-2-ს. ვფიქრობ 4-3-3-ზეც, მაგრამ ჯერჯერობით ეს სქემა ბევრ სირთულეს მიქმნის. მუნდიალზე ჩვენს არსენალში 3-4 ტაქტიკური მონახაზი იქნება და ფეხბურთელები თითოეული მათგანისთვის იდეალურად იქნებიან მომზადებულნი.

**- არ გეჩვენებათ, რომ 3 მცველით თამაში იტალიური ფეხბურთის პრობლემაა და ეს საერთაშორისო არენაზე ჩვენი კლუბების წარუმატებელი ასპარეზობით ნათლად ჩანს...**

- სამი მცველით თამაში ძალიან რთულია, მაგრამ თუ გუნდი კარგად არის მომზადებული, მაშინ პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ფლანგის ნახევარმცველებს დროულად შეუძლიათ დაცვაზე გადმონწყობა და თუ ცენტრალური მცველი კარგად დირიჟორობს თანაგუნდელებს, 3-მცველიანი სქემა ძალიან ეფექტურია.

**- მარიო ბალოტელი „სკუადრა აძურას“ მთავარი იმედია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს იდეალურ ფორმაში ნამდვილად ვერ ხვდება...**

- განვლილ სეზონში მარიომ 14 გოლი გაიტანა და არაერთი საგოლე პასი მიითვალა აქტივში, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არაა. უფრო მეტიც შეეძლო, მაგრამ „მილანში“ კრიზისული პერიოდია და ეს მასზეც უარყოფითად აისახა. ბევრი აღნიშნავს, რომ მარიო ნაკრებში უფრო ნაყოფიერია და მასზე მართლაც უდიდეს იმედებს ვამყარებთ.

**- გავრცელდა ხმები, რომ მარკო ვერატი საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდება, რასაც ბევრი აპროტესტებს...**

- მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც მარკო ვერატის ტალანტი შენიშნა და მას ეროვნული გუნდისკენ გზა გაუხსნა. შედეგად, მარკო პსჟ-ში ასპარეზობს და ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის 2-წლიანი გამოცდილება აქვს. მერწმუნეთ, ვერატის ბრაზილიაში წამოსვლის კარგი შანსი აქვს.

**- გაფართოებულ შემადგენლობაში 3-3 ფეხბურთელია „პარმადან“, „ფიორენტინადან“, „ტორინოდან“. ყურადღებას არც საშუალო კლასის გუნდებს აკლებთ...**

- სერია A-ში იტალიელ ფეხბურთელთა რაოდენობა 50%-ს არ აღემატება, გრანდებში კი მაჩვენებელი დაახლოებით 30%-ია. ჩვენ თანაბარ ყურადღებას ვუთმობთ ყველა გუნდს, რადგან დასაკარგი ტალანტები არ გვყავს. თანაც, თქვენ მიერ ჩამოთვლილ გუნდებს შესანიშნავი სეზონი ჰქონდათ.

**- გაბრიელ პალეტამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ეროვნულ ნაკრებში?**

- პალეტას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ იტალიის ნაკრებში ეთამაშა და საამისოდ ყველაფერი გააკეთა. ერთი ხანობა, პატარა ჩავარდნა ჰქონდა და მისი გამოძახებისგან თავს ვიკავებდი, მაგრამ შემდეგ მოუმატა და დაამტკიცა, რომ „აძურაში“ თამაშის ღირსია.

**- ლორენცო ინსინიე ანტონიო კასანოს ალტერნატივაა, ალესიო ჩერჩის თუ ანტონიო კანდრევას?**

- კანდრევა უფრო ნახევარმცველია, ვიდრე თავდამსხმელი, მაგრამ რადგან გარემარბად შეუძლია თამაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ ინსინიეს ალტერნატივად. ლორენცო ნებისმიერი შემტევის ალტერნატივაა, რადგან უნივერსალური თვისებებით არის დაჯილდოებული და შეუძლია თამაში როგორც წინა ხაზზე, ისე ფლანგზე.

**- როგორ აპირებთ ჩირო იმობილეს გამოყენებას?**

- ბევრი დღემდე ამბობს, რომ ჩირო მზად არაა ეროვნული ნაკრებისთვის, მაგრამ სკეპტიკოსებისთვის საუკეთესო პასუხი მისი გოლებია. იმობილე სერია A-ს ბომბარდირი გახდა და ამ ფაქტს გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლით. დაახლოებით ერთი წლის წინ მასზე არავინ საუბრობდა, დღეს კი „ტორინოს“ მთავარი დამრტყმელი ძალა და ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეა. ასეთი გზა არაერთ ფეხბურთელს გაუვლია და შემდეგ ნაკრებში გაუბრწყინია. იმობილე პაოლო როსის მაგონებს, დიახ, სწორედ პაოლოს.

**- ბრაზილიაში ალბათ ან ჩირო იმობილეს წაიყვანთ, ან მატია დესტროს...**

- შესაძლოა, ორივე წავიყვანო.

**- გულშემატკივართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ იტალიის ნაკრებს მეოთხედფინალში გასვლა შეუძლია, შემდეგ კი ძალიან გაუჭირდება...**

- პირველი მიზანი ჯგუფური ბარიერის დაძლევაა, შემდეგ კი ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოვხვდეთ ფინალში. დიახ, ჩვენი მიზანი ფინალში გასვლაა, იქ კი წასაგებად არავინ თამაშობს.

**- საყოველთაოდ ცნობილია თქვენი ეთიკის კოდექსი. ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდებში არასპორტულად იქცევიან და დისკვალიფიკაციას იღებენ, ნაკრებს მიღმა ტოვებთ. ჯორჯო კიელინის 3-მატჩიანი სასჯელი აქვს, მაგრამ ნაკრებიდან არ მოგიკვეთავთ...**

- დიახ, მე მაქვს ჩემი ეთიკის კოდექსი, მაგრამ ნამდვილად არ ვარ სადისციპლინო კომიტეტის, ან ცალკეული კლუბების მწვრთნელ-მესვეურთა გადაწყვეტილებათა მძევალი. კიელინიმ დისკვალიფიკაცია მას შემდეგ მიიღო, რაც მეტოქეს იდაყვი მოარტყა, მაგრამ ჩემი აზრით, იქ ჩვეულებრივი ბრძოლა იყო. ვესაუბრე ჯორჯოს და მან დამარწმუნა, რომ განზრახ უხეშობას არ ჰქონდა ადგილი. მინდორზე ემოციები დუღს და ასეთ შემთხვევაში, ზედმეტი სიმკაცრე საჭირო არაა.

**- ოფიციალურად გაცხადდა, რომ კიდევ მინიმუმ ორი წელი იმუშავებთ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მაგრამ კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მოგიწერიათ...**

- ოთხი წლის წინ კონტრაქტზე ხელის მოწერას დაახლოებით ერთი წამი დასჭირდა და ასე იქნება ამჯერადაც. ხელშეკრულებას მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გავაფორმებ.

**- მუნდიალის ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- პირველ რიგში, ბრაზილიას. შემდეგ ესპანეთს, რომელსაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი შეტევაში.

**- სიურპრიზს ვისგან უნდა ველოდოთ?**

- ბელგია და კოლუმბია. არავინ ლაპარაკობს საფრანგეთზე, არადა, მათაც შეუძლიათ სიურპრიზის შემოთავაზება.

**- მწვრთნელების უმეტესობა დიდ საფეხბურთო ფორუმებზე ფეხბურთელებს ოჯახის წევრებთან ურთიერთობას უკრძალავს, თქვენ კი ასე არასდროს იქცევით...**

- არ მესმის, რატომ უნდა ავუკრძალო ფეხბურთელს ოჯახის წევრთან ურთიერთობა თავისუფალ დროს. მოთამაშეები ისედაც ყაზარმულ რეჟიმზე არიან და თუ შუადღეს, ორი-სამი საათი საყვარელ ადამიანებს იხილავენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ჯობია ცოლებთან, ან მეგობარ გოგონებთან ილაპარაკონ, ვიდრე Playstation-ის თამაშით დაითხარონ თვალები.

**- თუმცა, ცნობილია ისიც, რომ არ წყალობთ სოციალურ ქსელს, Facebook-ს, Twitter-ს...**

- ადამიანები ძალიან დიდ დროს ატარებენ ინტერნეტში, რაც ხშირად ფიზიკურ კონდიციაზე უარყოფითად აისახება. ამასთან, სოციალური ქსელის მეშვეობით ხშირად აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რაც განსჯის საგანი ხდება და პრობლემას იწვევს. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის შეზღუდვა და ამის კონტროლი პრაქტიკულად წარმოუდგენელია, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან და მათი მჯერა.

**- ანტონიო დი ნატალე, ფრანჩესკო ტოტი, ლუკა ტონი...**

- დიდი ჩემპიონები, რომლებმაც თავისი კვალი დატოვეს და დღესაც ქმნიან კალჩოს ისტორიას.

**ლაშა წიკლაური**









ბარსელონა



„ბარსელონა“ მომავალი სეზონის ფორმით

# ბარსელონამ ახალი ფორმა წარადგინა

## რატომ არ არის პოსტერზე სესკი?

ესპანეთის ექსჩემპიონმა „ბარსელონამ“ მედიას და გულშემატკივრებს მომავალი სეზონის ფორმა წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ იმ პოსტერზე, რომელიც ახალი ფორმის სარეკლამო კამპანიის ნაწილი უნდა გახდეს, ვერ ვხედავთ **სესკ ფაბრეგასს** და კიდევ რამდენიმე იმ ფეხბურთელს, ვისაც „ბარსადან“ წასვლას უწინასწარმეტყველებენ.

სურათზე ახალგაზრდა **ედგარ იეს, სერხი სამპერის** და **ჟან-მარი დონგუს** გვერდით კლუბის გამოცდილი წევრები, **ჩავი, პიკე, ინიესტა, ნეიმარი, მესი** და **ბუსკეტსი** არიან, თუმცა არაა ფაბრეგასი, **დანი ალვეში, მასკერანო, ალექსის სანჩესი, პედრო, ადრიანო** და **ალექს სონგი**, ანუ ყველა ის ფეხბურთელი, ვისზეც ამბობენ, რომ „ბარსადან“ წავლენ.

რაც შეეხება მაისურს: საშინაო ფორმა ტრადიციულად ზოლიანია და „ბარსელონას“ ფერებშია გადაწყვეტილი. ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ისაა, რომ კატალონიის დროშა, „სენიერა“ ფორმის წინა მხარეს, საყელოზე იქნება გამოსახული, რაც კლუბის ისტორიაში პირველად მოხდება.

**ტატო ბაციკაძე**



ძიუდო

# ორი კლუბი ძიუდოში



**საქართველოში საკლუბო ძიუდო ხელახლა იწყებს აღორძინებას – ჩვენი ძიუდოს ფედერაციის საიტის ცნობით, იქმნება ორი ახალი კლუბი, რომელთა მიზანიც ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობაა. ესაა შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბი და „საგარეჯო-Fighting Film-Superstars". შსს-ს კლუბის დამფუძნებელი რომ იგივე სამინისტრო იქნება, ახსნაც არ გჭირდებათ, „საგარეჯოს" კი ისევ გია ნაცვლიშვილი მიხედავს.**

გემახსოვრებათ – იმხანად პარლამენტარმა და ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნაცვლიშვილმა მშობლიურ საგარეჯოში დააარსა ეს კლუბი, რომელმაც ორიოდე სეზონში ევროთასზეც იასპარეზა, მაგრამ იქაური განუკითხაობისა და არაობიექტური მსაჯობის გამო (რაგბის არ იყოს, ბობოლები საკლუბო ძიუდოშიც ძნელად უყადრებენ თავს ახალ, თუნდაც ძალზე პერსპექტიულ კონკურენტებს), მოგვიანებით კლუბს ფორმატი თუ დანიშნულება შეუცვალა – ევროთასებზე და უმაღლეს დონეზე გამოსვლა იუარა, სანაცვლოდ კი პერსპექტიულ ახალგაზრდებს ეხმარებოდა. ძირითადად – მატერიალურად. ახალი კლუბიც მის ბაზაზე იქმნება, ოღონდ ამჯერად მასთან ძიუდოს ინვენტარ-ეკიპირების მწარმოებელი Fighting Film თანამშრომლობს და სახელწოდებაც შესაბამისად შეიცვალა. ფირმა კიმონოებით და სხვა სახის ინვენტარით მოამარაგებს კლუბს.

ჯერჯერობით ორივე კლუბი ფორმირების პროცესშია და ბევრი რამე არცაა გარკვეული, მხოლოდ წინასწარი მონახაზის დონეზე არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე სამინისტროს კლუბზე ინფორმაციების მოძიება უფრო გაგვიჭირდა, ნაცვლიშვილს კი პირადად დავურეკეთ. ვერ გეტყვით, სამინისტროს კლუბის დაფინანსების ძირითადი წყარო რა იქნება, „საგარეჯოს" კი სპონსორები ეყოლება. ნაცვლიშვილის დამსახურებით, კლუბის სტრუქტურაზე უფრო მეტი ინფორმაციაც მათთან დაკავშირებით მოვიპოვეთ. მისი თქმით, ეს არ იქნება მხოლოდ ძიუდოზე ორიენტირებული გაერთიანება და ის სპორტის სხვა სახეობების პერსპექტიულ მოზარდებსაც მიხედავს შესაძლებლობების ფარგლებში – მოამარაგებს სპორტული ეკიპირებით, მისცემს ვარჯიშის საშუალებას, თუმცა იმათგან საკლუბო ტურნირებში მონაწილეობა ჯერჯერობით არ განიხილება. ეს მაინც ვერ იქნება ევროპული ყაიდის კლუბი, სადაც სპორტის რამდენიმე სახეობაა გაერთიანებული. მაგალითად, ესპანეთში „რეალს", „ბარსელონას" და სხვებს, საფეხბურთოს გარდა, კიდევ მრავალ სახეობაში ჰყავთ გუნდები, ჩვენთან კი ეს ფინანსური კრიზისის გამო ვერ მოხერხდება. თუმცა ის, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს თუნდაც მწვრთნელს დაუნიშნავს ვინმე, ერთ ფორმას მისცემს ან პერიოდულად ქვეყნის მასშტაბით ერთით მეტ შეჯიბრებაზე დააფინანსებს, ესეც დიდი საქმე იქნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, კლუბისთვის მთავარი მაინც ძიუდო იქნება და უმაღლეს დონეზე მის გასაყვანად იბრძოლებს, არაძიუდოისტ ნიჭიერ სპორტსმენებს კი თავის გამოჩენის შანსს მისცემს, ხოლო მერე მათ თავიანთმა ფედერაციებმა მიხედონ. „საგარეჯო" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდებს, ახალი თაობის აღზრდას და კლუბს უკვე ჰყავს, ეგრეთ წოდებული, მეორე შემადგენლობა, სადაც ძირითადად ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების წევრები გამოდიან. მათ შორის – ძალიან ტიტულოვანებიც, თუმცა ხელმძღვანელობა ჯერ ამაზე არ საუბრობს.

საერთოდ, ჯერჯერობით ამ კლუბების შემადგენლობა არაა გარკვეული და მხოლოდ მოარულ ხმებს თუ დავეყრდნობით. ზეპირწყაროებით, ეროვნული ნაკრების წევრთა უმეტესობა სამინისტროს კლუბში იჭიდავებს – **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე – 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (ორივე – 90), **ადამ ოქრუაშვილი** (+100)... აქ ჩვენ მხოლოდ უმთავრეს ლიდერებზე შევჩერდით, თორემ სათადარიგოებიდანაც ბევრზეა ლაპარაკი. ნაცვლიშვილმა ამ ეტაპზე შემადგენლობაზე საუბარი იუარა, თუმცა გვითხრა, რომ ქართველებთან ერთად, უცხოელებიც იქნებიან. „საგარეჯო" პრეზენტაციას აპირებს და დამფუძნებელი ბევრ კარტს იმ ღონისძიებისთვის ინახავს, თუმცა ასევე მოარული ხმებით, ქართველებიდან კახურ კლუბში უტიტულოვანესი მოქმედი ძიუდოისტი, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (73) იასპარეზებს.

როგორც გითხარით, ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ორივე კლუბი ევროპის საკლუბო ჩემპიონატში აპირებს გამოსვლას, თუმცა მისი ფორმატი შეიცვალა და ჩვენები პირველ ლიგაში თუ გამოვლენ. იქ თუ სამეულში მოხვდებიან, მაშინ უმაღლეს ლიგაში გადავლენ.

## საკლუბოზე ფედერაციაც ზრუნავს

თუმცა ყოველივე ზემოთქმული მაინც უფრო კერძო და უწყებრივი ინიციატივაა, მაგრამ საკლუბო ძიუდოს გასავითარებლად ძიუდოს ფედერაციაც ირჯება. გემახსოვრებათ – შარშან მან ჭაბუკებში საქართველოს საკლუბო ჩემპიონატიც კი ჩაატარა, რომელშიც 12 რეგიონული გუნდი მონაწილეობდა. წლეულს განზრახულია მისი მასშტაბის გაზრდა – ისევ ძიუდოს ფედერაციის საიტის ცნობით, მოელიან, რომ კლუბების რაოდენობა 20-მდე გაიზრდება, გვარიანად მოიმატებს საპრიზო ფონდიც, რაც სტიმული იქნება მოზარდებისთვის. ამ დღეებში გაიმართა ძიუდოს ფედერაციის ალმასკომის სხდომა, რომელმაც მოიწონა შარშან გაწეული სამუშაოები. არადა, ცოტა მართლაც არ გაკეთებულა – სამინისტროსა თუ რეგიონული თვითმმართველობების დახმარებით, რასაც ფედერაციის მიერ მოძიებული თანხებიც დაემატა, რეგიონებში 10 ახალი დარბაზი გაიხსნა. ისინი საერთაშორისო ფედერაციის ფინანსური დახმარებით ტატამებით აღიჭურვა, დარიგდა 660 კიმონო. ეს უკვე ნოყიერი წინაპირობაა საერთაშორისო ფედერაციის დახმარების მეორე ეტაპის დასაწყებად, რაც მწვრთნელთა (ძირითადად – რეგიონებში) ხელფასებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. იგეგმება მწვრთნელთა გადამზადების ახალი ეტაპიც, რაზეც ალმასკომზე ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** ისაუბრა. ამ მიზნით ხელმძღვანელობა გაეცნო უნგრეთში გახსნილი ძიუდოს აკადემიის სტრუქტურასა და გამოცდილებას, რის საფუძველზეც განისაზღვრება, როგორ დაინერგოს ეს პრაქტიკა საქართველოში.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# გოგონების სარეიტინგო წეროვანში

თბილისში 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ძიუდოისტთა ტურნირზე მედლების 12 კომპლექტი გათამაშდება.

ამ უმნიშვნელოვანესი სპორტული ფორუმის მზადების და ნაკრები გუნდის კანდიდატთა შერჩევის მიზნით წეროვანის სპორტკომპლექსში გაიმართა 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონათა სარეიტინგო ტურნირი.

**ქვარცხლბეკი**

**40 კგ.** 1 სალომე ბლიაძე (თბილისი), 2. ნატო ფოთოლაძე (აჭარა), 3. ეკა ტატუნაშვილი (წეროვანი), მარი გოგოლიძე (ზესტაფონი).

**44 კგ.** 1. ნატალია ყიფშიძე (თბილისი), 2. ქრისტინე ნაროზაშვილი (წეროვანი), 3. ანა მალლაკელიძე (ზესტაფონი), ფატი გუთნიაშვილი (წეროვანი).

**48 კგ.** 1. მარიამ თოდუა (თბილისი), 2. ხატია მინდიაშვილი (საგარეჯო), 3. ხატია შარაძე (აჭარა), ჟენია ჯიშკარიანი (თბილისი).

**52 კგ.** 1. მარიამ ჭანტურია (აბაშა), 2. ნინო მგელაძე, 3. მეგი აბუსერიძე (ორივე-აჭარა), ანი ხუნჯუაანი (ხობი).

**57 კგ.** 1. ქრისტინე მამულაძე (აჭარა), 2. მარი გორგოძე (ზესტაფონი), 3. ნინო გულისაშვილი (საგარეჯო), სალომე ლომაძე (აჭარა).

**63 კგ.** 1. თამარ მჭედლიშვილი (თბილისი), 2. ნათია მიქაბერიძე (აჭარა).

**70 კგ.** 1. სალომე მჭედლიშვილი (თბილისი), 2. ელისო სისაური (ახმეტა).

**+70 კგ.** 1. სოფო სომხიშვილი (თბილისი), 2. ქრისტინე ფუტკარაძე (ზესტაფონი), 3. ნათია მამნიკიძე (ბორჯომი), მარიამ ცერცვაძე (ზესტაფონი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ჭიდაობა

# პაპების ტურნირი საგარეჯოში

**პაპი, გამოდის, პაპი! - გაიძახის საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზის ბანის მოაჯირზე გადმომდგარი თმააქოჩრილი პატარა ბიჭი და საჭიდაო ხალიჩისკენ აპყრობს მზერას, სადაც მისი თმაჭაღარა პაპა უკვე საჭიდაოს კუთხეშია და დინჯად ისწორებს მოწითალო ფერის ჩოხას, მის სქელ ქამარს და მოედნის შუაგულისკენ მოპირდაპირის შესარკინებლად მიდის...**

დიდებული ზეიმი იყო გარეჯში. ჭიდაობის ქომაგმა და მწვრთნელმა **ბიჭიკო მარიდაშვილმა** მრავალგზის ნაცადი ქართულის მოჭიდავეების ღია ტურნირი მოაწყო, რომელიც მიეძღვნა გარეჯელი სახალხო ფალავნის **მიხა ქურხულის** უკვდავებას.

ვეტერანი ქართულის მოჭიდავეები 3 ასაკობრივ ჯგუფში 35-45, 45-55 და 55 წელზე მეტი ხნისანი, ცალ-ცალკე იბრძოდნენ პირველობისთვის. გაიმართა აბსოლუტური პირველობაც.

საგარეჯოს ხალხური სიმღერის ანსამბლმა „გარეჯმა" მარადიული „გარეკახური საჭიდაოს" ჰანგებით გახსნა ტურნირი. შესანიშნავი იყო მოცეკვავეთა ანსამბლ „იმედის" ცეკვები და საერთოდ ეს იყო ბრწყინვალე ზეიმი ჭიდაობის თანხლებით.

სხვათა შორის, ქართული ჭიდაობის ვეტერანთა ასპარეზობა საგარეჯოში 1996 წელსაც გაიმართა. გარეჯელები ქართული ჭიდაობის ვეტერანთა შეჯიბრების მოწყობის მოთავეები არიან.

ცხოვრების ჯანსაღ წესზე, რომ ბევრს ვლაპარაკობთ, სწორედ ეს ნამოწყებაა - ჯანსაღი წესი.

დიდ ზეიმს თან ახლდა მწუხრიც. ტურნირის დღეს შეჯიბრების მონაწილეებმა, ქომაგებმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, 88 წლის ასაკში უკანასკნელ გზაზე გააცილეს **ვანო მეკოკიშვილი,** ცოტა ხნით მისი ნეშტი დარბაზის ეზოში, მისი ბიძაშვილის, **არსენ მეკოკიშვილის** ძეგლის წინ იყო დასვენებული. აჟღერდა ქართული საჭიდაოს ჰანგები. მერე უამრავმა ადამიანმა მადლიერების ნიშნად ტაშიც დაუკრა და ასე გააცილა ის სოფელ გიორგიწმინდის „მეკოკიანთ საგვარეულოს" საძვალისკენ. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ვანო მეკოკიშვილს, სახელად ისიც ეყოფოდა, რომ ლეგენდარული **ლევან თედიაშვილის** პირველი მწვრთნელი იყო...

ტურნირზე უამრავი ჯილდო და პრიზი ვიხილეთ, განსაკუთრებით ქურხულების გვარის წარმომადგენლებმა დააწესეს ბევრი პრიზი. საგარეჯოში ხომ ქურხულების მთელი უბანია.

ბოლოს მრავალნაცადმა „ჩოხის მეგობრებმა" ჭიდაობითა და ერთმანეთის „მონახულებით" რომ გული იჯერეს, „მევენახის სახლში" ქარვისფერი კახური ღვინით შესანდობარი მიაგეს ამ ქვეყნიდან წასულ ფალავნებს და „პაპების" მომავალი ტურნირიც დაგეგმეს.



**ქვარცხლბეკი**

**35-45 წლის ასაკი. 70 კგ.** 1. ილია მჭედლიშვილი (ყვარელი), 2. გოჩა მეკოკიშვილი (საგარეჯო), 3. შამილ ჯანგიშერაშვილი (კასპი).

**80 კგ.** 1. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 2. ნუგზარ კოჭლამაზაშვილი (ყვარელი), 3. ბერდია ბახტაძე (კასპი).

**90 კგ.** 1. გია მასურაშვილი (საგარეჯო), 2. დუმიშხან ჯანიაშვილი (კასპი).

**45-55 წლის ასაკი. 50 კგ.** 1. ნიკოლოზ მახარობლიშვილი, 2. ალექსანდრე მოსიევი (ორივე-საგარეჯო)

**60 კგ.** 1. ლევან ბასილაშვილი (საგარეჯო), 2. თამაზ ჯავახიშვილი (კასპი).

**75 კგ.** 1. ტარიელ ჯავაჯხიშვილი, 2; თამაზ სუხიტაშვილ( ორივე-საგარეჯო).

**90 კგ.** 1. სულხან სუხაშვილი (საგარეჯო), 2. ჯემალ გუდიაშვილი (კასპი), 3. გოჩა ტატიშვილი (გურჯაანი).

**+55 წლისანი. 70 კგ.** 1. ლერი ნავროზაშვილი (კასპი), 2. ნოდარ მიზანიშვილი, 3. მურთაზ ესაიაშვილი (ორივე-საგარეჯო).

**85 კგ.** 1. ნუგზარ მამულაშვილი (კასპი), 2. აბესალომ ნიკლაური (მცხეთა), 3. მერაბ კენჭაძე (გურჯაანი).

**აბსოლუტური:** 1. სოსო ათაბეგაშვილი (საგარეჯო), 2. ჯემალ გუდიაშვილი (კასპი), 3. გოჩა ტატიშვილი (გურჯაანი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

ლელოს სტუმარი
ვალერი ლომაძე

# ლომაძის ლომის წვლილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ბურევესტნიკი“ იმ წელიწადს კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა - საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის დატოვება ემუქრებოდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს. არადა,ბოლოსწინა მატჩი კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ რიგის არმიელებთან ჰქონდა. ბალტიისპირელები, რომელთა შემადგენლობაშიც საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავები - ვალდმანისი, კალნინში, კრუმინში, მუიჟნიეკსი და გულბისი ბრწყინავდნენ, ცხადია, თბილისში აუტსაიდერთან 2 ქულას გეგმავდნენ. მასპინძელთა გუნდის ღირსებას კი ასტამურ აჩბა, თამაზ კაკაურიძე, ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა და ვალერი ლომაძე იცავდნენ. „ბურევესტნიკმა“ იმ დღეს შესანიშნავად ითამაშა და სტუმრებს 77:75 სძლია. **წარმატებაში ლომის წილი ლომაძემ დაიდო. ეს იყო 1958 წელს. გუშინ კი ბატონი ვალერი „ლელოს“ სტუმარი გახლდათ.**

- „ბურევესტნიკის “ გამარჯვება მაშინ ჩვენზე მეტად მოსკოველ არმიელებს გაუხარდათ, - გაიხსენა 56 წლის წინანდელი ამბავი ვალერი ლომაძემ. - რიგელთა ამ მარცხის შემდეგ მათ ლიდერთან ქულებით გათანაბრების შანსი ეძლეოდათ, თუმცა ტრავინის, კორნეევის, ზუბკოვის, ვოლნოვის, ბოჩკარიოვისა და სხვა ცნობილი საბჭოთა კალათბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს თბილისის „დინამოს“ ბარიერი უნდა გადაელახა. საქართველოს დედაქალაქში მეორე დღეს გამართულმა პრინციპულმა მატჩმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა. არადა, საფინალო სასტვენის შემდეგ მოსკოველები ქულით იყვნენ წინ, მაგრამ რეზო გოგელიამ ორივე საჯარიმო ზუსტად ტყორცნა და რუსები გაწბილებული დატოვა. სამაგიეროდ, კრუმინში გამოვარდა მოედანზე და ისე ჩაიხუტა ქართველი კალათბურთელები, რომ ძლივს გააშველეს. რიგელებმა ჩემპიონობა შეინარჩუნეს, ჩვენ კი ბოლო მატჩში სვერდლოვსკის „ურალმაშს“ ვძლიეთ და უმაღლეს ლიგაში დავრჩით...

## ბურთში გაცვლილი „სპორტის დედოფალი“

ოთხი წელიწადი იცავდა ბატონი ვალერი თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა გუნდის ღირსებას. არადა, მისი სპორტული კარიერა მძლეოსნობით დაიწყო. მე-12 ვაჟთა სკოლის ბიჭები გაკვეთილების შემდეგ „დინამოს“ სარბენ ბილიკებს მიაშურებდნენ ხოლმე. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან მაშინ ის ბიჭი, ვინც სპორტში არ ვარჯიშობდა, დაცინვის ობიექტი ხდებოდა. ვალერი ლომაძე თანაკლასელებთან ერთად ცნობილ მწვრთნელ **ბორის ტახტაროვთან** მეცადინეობდა. მოქნილი, სხარტი ყმაწვილი სხვადასხვა დისტანციებზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში ჯაბნიდა თანატოლებს. საქალაქო შეჯიბრებებშიც რამდენჯერმე გაიმარჯვა. მწვრთნელს ეიმედებოდა ნიჭიერი შეგირდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მან „სპორტის დედოფალს“ უღალატა.

- 1953 წელს თბილისში კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა, - გვითხრა სტუმარმა. - ვერის ბაღის სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ იყო. ბავშვები ფეხზე მდგარი ვუყურებდით მატჩებს. ისეთ აზარტში შევედი, რომ მეც მომინდა კალათბურთის თამაში. მაშინ ჩემი მეგობარი დიზი ქერქაძე ვარჯიშობდა პიონერთა სასახლეში თამარ გეგელაშვილთან. ერთ დღეს მეც გავყევი და კალათბურთის სექციაში ჩავეწერე.

ვალერი ლომაძემ ერთი წელიწადი ივარჯიშა თამარ მასწავლებელთან. მერე ძია მიშამ (კეკელიძე) ქალაქის განათლების განყოფილების გუნდში გადაიყვანა. პირველ დიდ წარმატებას 1955 წელს მიაღწია - საქართველოს ნაკრებთან ერთად კიევში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მე-3 ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს ქართველებმა მსგავსი შეჯიბრების მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმეს ლატვიელებთან და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. 1957 წელს კი საჩემპიონოდ გამზადებული გუნდი საბჭოეთის დედაქალაქში „ჩაძირეს“: წილისყრამ პირველსავე მატჩში ვალერი ლომაძეს (იგი კაპიტანი გახლდათ) და მის თანაგუნდელებს მოსკოველთა ძლიერი ნაკრები არგუნა. კოკისპირული წვიმის გამო ორგანიზატორებმა შეხვედრა დარბაზში გადაიტანეს. უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. მაყურებლები ზედ პირით ხაზთან იდგნენ. ქართველები პირველ ტაიმს 10 ქულით იგებდნენ. ამ დროს ჩვენს მოთამაშესა და ერთ-ერთ მაყურებელს შორის „უნებლიე“ ინციდენტი გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა. ძლივს გააშველეს. ცხადია, მატჩი ჩაიშალა, რომელიც გვიან ღამით განაახლეს და საქართველოს ნაკრებმა ის პაექრობა 3 ქულით დათმო, საბოლოოდ კი მე-5 ადგილი დაიკავა. არადა, მის ღირსებას ლომაძესთან ერთად **ლევან მოსეშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი** და **ანტონ კაზანჯიანი** იცავდნენ.

## „ნენა, რომელი ხართ გურული“...

თბილისის 24-ე სკოლის ვერცხლისმედალოსანმა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა და სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი იმავე სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდ „ბურევესტნიკში“ ჩაირიცხა. პირველი მკაცრი გამოცდა კაუნასის „ჟალგირისთან“ მატჩში ჩააბარა: სტუდენტთა გუნდის ახალბედა მოთამაშემ ღირსეულად „ჩაკეტა“ ბალტიისპირელთა ცნობილი ვარსკვლავი კაზის პეტკიავიჩუსი, რომლის სახელიც არა მარტო საბჭოეთში, არამედ ევროპაშიც ქუხდა. ხელფეხშეკრული დირიჟორის თანაგუნდელები „ბურევესტნიკთან“ ვერაფერს გახდნენ და დამარცხდნენ. „სოვეტსკი სპორტმა“ მთელ ქვეყანას ამცნო ეს ამბავი. იმ დღიდან სპი-ს გუნდი საბჭოთა გრანდებისთვის „უხერხულ“ მეტოქედ იქცა.

ვალერი ლომაძემ „ბურევესტნიკში“ ოთხი წელი გაატარა. 1961 წელს საბჭოთა კავშირის 25 საუკეთესო კალათბურთელს შორის დაასახელეს. მომდევნო წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს.

- ყველა ქართველი კალათბურთელის ოცნება იყო „დინამოში“ მოხვედრა. მეც ბედის კმაყოფილი ვარ. იქ გატარებული ყოველი წუთი სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. „დინამოშიც“ ოთხი წელიწადი ვითამაშე. 1963 და 1965 წლებში სოციალისტური ქვეყნების დინამიადის ჩემპიონი გავხდი კრაკოვსა და პარდუბიცეში.

**- ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

- 1963 წელს ევროპის ჩემპიონთა თასზე „სიმენტალთან“ შინ 5 ქულით წავაგეთ. საპასუხო მატჩისთვის იტალიაში რომ ჩავედით, თამაშის წინა დღეს სადილობისას რესტორანში ხანშიშესული ქალი მოგვიახლოვდა: „ნენა, რომელი ხართ გურულიო“, - იკითხა ქართულად. ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ და გაგვეცინა. გუნდში მაშინ ერთადერთი გურული მე ვიყავი.

- სონია დუმბაძე ვარ, რევოლუციისას გურიიდან წამოსული. ახლა აქ ვცხოვრობ ქმარ-შვილთან ერთად, მუსიკას ვასწავლი, მარა, ნენა, ხაჭაპურების გამოცხობა არ დამვიწყებია,

**რვა სამინისტრო და მთელი გურია აშენებდა სტადიონს. უდიდესი დახმარება გაგვიწია ლანჩხუთის კოლორიტმა, შესანიშნავმა პიროვნებამ, ევგრაფი შევარდნაძემ. სტადიონი 24-ათასიანი . ტრიბუნებით, ფაქტობრივად, სამ თვეში დავასრულეთ**

წამოდით, გაგიმასპინძლდებითო, - არ მოგვეშვა უცნობი ქალბატონი.

- ხვალ თამაში გვაქვს და რეჟიმს ვერ დავარღვევ-მეთქი, - მოვიმიზეზე. ისეთი დრო იყო, გულითაც რომ მდომოდა, ვერ წავიდოდი.

- ნოდარ ანდღულაძეა ლა სკალაში სტაჟირებაზე, არც ის წამომყვა, - ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა. გამომშვიდობებისას გაგვამხნევა: აბა, თქვენ იცით, არ წააგოთო. მეორე დღეს დაძაბული მატჩის ბოლო წამებზე გურამ მინაშვილის ზუსტი ორქულიანი ტყორცნის შემდეგ ის შეხვედრა 6 ქულით მოვიგეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით. ვინ იცის, იქნებ ქალბატონი სონიაც ესწრებოდა იმ ორთაბრძოლას. ქმარ-შვილთან ერთად და, წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაიხარებდა.

**- „დინამოდან“ წასვლის შემდეგ თქვენ ისევ „ბურევესტნიკს“ დაუბრუნდით.**

- დიახ, ეს იყო 1966 წელს. დიდი სპორტისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, ძია მიშამ მთხოვა, დაგვეხმარეო. მაშინ „ბურევესტნიკი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი იყო (უკვე - მერამდენედ) და უძლიერესთა შორის დაბრუნებას ცდილობდა. გადასასვლელი ტურნირი ბაქოში გაიმართა. ბოლო მატჩში ალმა-ათის „ლოკომოტივს“ ვძლიეთ.

აი, რას წერდა გაზეთი „ლელო“ 1966 წლის 5 აპრილს: „თბილისელებს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ეხსნებოდათ უმაღლესი ლიგის შლაგბაუმი, ხოლო „ლოკომოტივი“ წაგების შემდეგ სანუკვარი ოცნებისკენ მიმავალ გზაზე მუხრუჭდებოდა. თბილისელები უმთავრესად ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ა. ლეჟავა, მინაშვილი, ი. ლეჟავა, ლომაძე, კოვალენკო. 34-ე წამზე ანგარიში გახსნა ლომაძემ და გაჩაღდა მეტისმეტად მწვავე ბრძოლა. მეორე ტაიმის მე-14 წუთამდე იგი თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება თბილისელებს დარჩათ - 60:51. ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკი“ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას“. ამ წარმატებაში დიდი იყო ლომაძის წვლილი, რომელმაც კიდევ სამი წელიწადი ითამაშა მშობლიური გუნდის შემადგენლობაში. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ პროფესიით დაიწყო მუშაობა და საქართველოში სპორტული ნაგებობების მშენებლობას შეალია ძალა და ენერგია. ჯერ საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებულ სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ხელმძღვანელობდა. მატერიალური ბაზის განვითარების მიზნით მისი ინიციატივით შეიქმნა სამმართველოსთან საპროექტო კანტორა „სპორტპროექტი“ და ორი სამშენებლო ტრესტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. თბილისში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სამმართველო, რომელსაც სპორტულ ნაგებობებში საინფორმაციო ელექტრონული ტაბლოს მონტაჟი და მძლეოსნობის სარბენ ბილიკებზე სპეციალური საფენების დაგება ევალებოდა.

## მიითვალეთ ანგარიშში...

ვალერი ლომაძის საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობისას უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით უამრავი სპორტული ობიექტი აშენდა და შეკეთდა კაპიტალურად. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძიუდოს დარბაზი, მძლეოსნობის მანეჟი 70-ადგილიანი საცხოვრებლით ვაკეში, კალათბურთის ორი დარბაზი ვერის ბაღში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი ვაკეში, წყალჯომარდობის ბაზის მშენებლობა ფოთში 70-ადგილიანი საცხოვრებითა და სასადილოთი, მდინარე კაპარჭაზე სამსაჯო კოშკისა და 500-ადგილიანი ტრიბუნების მოწყობა სენაკის, ხაშურისა და ბორჯომის სტადიონების რეკონსტრუქცია; ლანჩხუთში ახალი სტადიონის აშენება; ბაკურიანში 40-მეტრიანი ტრამპლინისა და საციგაო (?) ტრასის აშენება, 70 და 90-მეტრიანი ტრამპლინების რეკონსტრუქცია, ტრამპლინებთან საბაგირო გზის მონტაჟი, 1991 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ფოთში წყალსათხილამურო ბაზის კეთილმოწყობა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ.

- აბა, ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონის მშენებლობას რა დამავიწყებს, - იხსენებს ბატონი ვალერი. - იმ წელიწადს „გურია“ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა. მაშინდელმა ცეკას მდივანმა, ყოფილმა კალათბურთელმა სანდრო გლურჯიძემ მთხოვა, ყოველგვარი ხელშეწყობა გექნება, ოღონდ სტადიონი სეზონის დაწყებამდე უნდა ავაშენოთო. მართლაც, რვა სამინისტრო და მთელი გურია აშენებდა სტადიონს. უდიდესი დახმარება გაგვიწია ლანჩხუთის კოლორიტმა, შესანიშნავმა პიროვნებამ, ევგრაფი შევარდნაძემ. სტადიონი 24-ათასიანი ტრიბუნებით, ფაქტობრივად, სამ თვეში დავასრულეთ. კიდევ ერთ მშენებლობაზე მინდა გავამახვილო ყურადღება: გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მთელ საბჭოეთში ადმინისტრაციული და სპორტული ნაგებობების მშენებლობა აიკრძალა. არადა, საქართველოს სპორტკომიტეტი ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში იყო შეხიზნული. დიდი ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი ნოდარ ჯორჯიკია იმ დროს მინისტრთა საბჭოში რეფერენტად მუშაობდა და სპორტს კურირებდა. მას გავანდე ჩემი გეგმა: უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლებისთვის ნებადართული იყო დარბაზების მშენებლობა. მოდი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სამდარბაზიანი კორპუსი ავაშენოთ, თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ნებას დაგვრთავს-მეთქი. ბატონი ნოდარი მაშინვე დატრიალდა და ვაკეში - ფიზკულტურის ინსტიტუტის გვერდით ავაშენეთ ეს შენობა, სადაც დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროა, სამი დარბაზით. მათ შორის ერთი თავისი სტანდარტებით (24X42) სწორედ კალათბურთისთვისაა გამიზნული...

მკითხველებს შევახსენებთ, რომ ვალერი ლომაძე 10 წლის განმავლობაში თბილისის სპორტის სასახლის გენერალური დირექტორი გახლდათ, ამჟამად კი ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის პრეზიდენტია. შემოწირულობებიდან შემოსული თანხებით ეკონომიურად შეჭირვებულ ვეტერანებს ეხმარება.

ამაგდარ პიროვნებას, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საბჭოთა კავშირის სპორტის წარჩინებულ მუშაკსა და ღირსების ორდენოსან ვალერი ლომაძეს დღეს 75 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვალერი.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო




უტევს ვალერი ლომაძე

## მილოცვა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადების 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილ ვეტერან კალათბურთელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის პრეზიდენტს, ბრწყინვალე პიროვნებას **ვალერი ლომაძეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2013-14. ფინალი

# გამეორება...

21 მაისი. თბილისი

სპორტის სასახლე

**დინამო-ქუთაისი 92:61**

28:19, 23:13, 16:14, 25:15

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი

| დინამო | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 2 | 11 | 4 | 2 | 1 | 0 | 9 |
| კარტერი | 8 | 1 | 3 | 3 | 3 | 0 | 14 |
| ბ. ლეჟავა | 6 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 22 |
| ვახანია | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ლილუაშვილი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მილოშევიჩი | 16 | 1 | 0 | 3 | 0 | 2 | 19 |
| პესიჩი | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 8 |
| ჭოჭუა | 2 | 7 | 3 | 3 | 1 | 0 | 13 |
| სტოიაკოვიჩი | 5 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |

| ქუთაისი | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 0 | 2 | 2 | 6 | 0 | 0 | 12 |
| ბრძელიძე | 0 | 5 | 4 | 3 | 4 | 0 | 4 |
| დიდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ცირეკიძე | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| დ. ბარბაქაძე | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ლომინაშვილი | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გ. ბარბაქაძე | 3 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 15 |
| დვალიშვილი | 12 | 2 | 4 | 3 | 3 | 0 | 21 |

**შენიშვნა:** მ - მოხსნა, პ - პასი, ფ - ფოლი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა.

**სერიას იგებს „დინამო" - 2:0**

ვინც ფინალური სერიის პირველი მატჩის ლელოსეული მიმოხილვა წაიკითხა, ემახსოვრება, რომ „დინამომ" „ქუთაისთან" მატჩში გამარჯვებულის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. იგივე გამეორდა მეორე ფინალში: დიდ შესვენებაზე დინამოელები მშვიდი ანგარიშით გავიდნენ - 51:32.

„ქუთათურებს" თამაშის შემოსატრიალებლად დრო კი ჰქონდათ, მაგრამ ძალა - არა. მით უმეტეს, რომ მათი ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ცეკვავა** მატჩს სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი ადევნებდა თვალს. ამის მიზეზი საზარდულის ტრავმა იყო.

ისღა დაგვრჩენია შეგახსენოთ, რომ სერიის (სამ მოგებამდეა) მესამე შეხვედრა შაბათს, 24 მაისს ქუთაისში 18 საათზე გაიმართება.

## ნამატჩევს

**ირაკლი ხოშტარია** („დინამოს" მთავარი მწვრთნელი):

- ფინალური სერიისთვის წინ დავისახეთ ამოცანა - თბილისში 2 გამარჯვება უნდა მოგვეპოვებინა. შევასრულეთ. დღესაც სწორი ტაქტიკური მონახაზით ვითამაშეთ, გვქონდა მცირე ჩავარდნა, თუმცა ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. სერია 3 მოგებამდეა, ამიტომ დამთავრებული არაფერი არაა.

**მედეა მხეიძე** („ქუთაისის" მწვრთნელი):

- ერთადერთი შანსი გვრჩება - საკუთარ მოედანზე, სადაც ყოველთვის გვერდში გვიდგას გულშემატკივარი, სათანადო წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ „დინამოს". რეალურად, ჩვენი მოგების შანსი მცირეა, თუმცა ყველანაირად ვეცდებით სათანადოდ დავამთავროთ სეზონი.

**ლევან ცეკვავა** („ქუთაისი"):

- სამწუხაროდ, უკვე მეორე შეხვედრაა, ვერ ვაჩვენებთ იმ თამაშს, როგორც მთელი სეზონი ვთამაშობდით. ეს, ალბათ, გადაღლილობის ბრალია.

■ ■ ■

შეხვედრის ერთ-ერთ შესვენებაზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხეილ გაბრიჩიძემ** სამახსოვრო მაისურითა და სიგელით დააჯილდოვა იუბილარი, ვეტერანი კალათბურთელი 75 წლის **ვალერი ლომაძე**.

დიდ შესვენებაზე კი დასრულდა მეტად საინტერესო შეჯიბრება, რომელშიც გულშემატკივრები მონაწილეობდნენ. სუპერლიგის ნახევარფინალებისას გამოვლინდა 64 მაყურებელი, რომელიც ერთმანეთს ჯარიმების ტყორცნაში ეჯიბრებოდა. ნელ-ნელა მონაწილეთა რაოდენობა შეთხელდა, ნახევარფინალები და ფინალი გუშინ გაიმართა. გაიმარჯვა **ლუკა ტიმოშენკომ**, რომელსაც კომპანია „ბორჯომმა" პლაზმური ტელევიზორი გადასცა. მეორეადგილოსან **ზუკა გეგეჭკორს** მობილური ტელეფონი ერგო, ხოლო მესამეს, **გიორგი კიკნაძეს** - ფოტოკამერა. პრიზიორებს „ევროპაბეთმა" ფულადი ჯილდოც გადასცა.



ავტორის ფოტო

სუპერლიგა 2013-14. III ადგილისთვის

# მესამე ადგილი და სამი გვარი: წივწივაძე, ქედუგანი, შარაბიძე



21 მაისი. თბილისი

სპორტის სასახლე

**არმია-ბათუმი 115:105 დ.დ.**

20:25, 22:19, 20:23, 24:19, 13:13, 16:6

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი

| არმია | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბუნაშვილი | 5 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 6 |
| ბაგიაშვილი | 1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ბოისა | 7 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ბერიშვილი | 5 | 3 | 1 | 3 | 0 | 1 | 9 |
| კვიმსაძე | 6 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 9 |
| ჯგერენაია | 11 | 3 | 1 | 2 | 1 | 0 | 12 |
| წივწივაძე | 8 | 7 | 2 | 3 | 1 | 0 | 30 |
| შარაბიძე | 8 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 14 |
| ფარღალავა | 7 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 30 |

| ბათუმი | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რამიშვილი | 4 | 6 | 5 | 2 | 0 | 0 | 5 |
| ნინუა | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ელიაშვილი | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 |
| მაკძერი | 2 | 4 | 5 | 0 | 0 | 0 | 9 |
| კეშელავა | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 8 |
| კობიძე | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ბოლქვაძე | 10 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 13 |
| ელიაძე | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ძედუგინი | 3 | 6 | 4 | 1 | 5 | 0 | 43 |
| სეფოლდი | 6 | 3 | 4 | 3 | 4 | 1 | 25 |

**შენიშვნა:** მ - მოხსნა, პ - პასი, ფ - ფოლი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა.

ნახევარფინალში განბილებულმა გუნდებმა სუპერლიგა ეფექტურად დაასრულეს, კალათბურთით თავადაც ისიამოვნეს და გულშემატკივარსაც თვალსასეირო სანახაობა შესთავაზეს. „არმიასა" და „ბათუმის" დაპირისპირება, რომელსაც მესამე ადგილის მფლობელი უნდა გამოევლინა, არც ძირითად 40 წუთში დასრულებულა და არც პირველ ოვერტაიმში...

სიტყვიერად რომ მოვყვეთ, გადამწყვეტ მომენტში ვინ რამდენი ჩააგდო, ვინ გაათანაბრა და ვინ ააცილა, ძალიან შორს წავალთ. ამიტომ, ქრონოლოგიას შემოგთავაზებთ.

| IV პერიოდი | |
|---|---|
| 01:52 | წივწივაძე (არმია) 1+1 - 79:80 |
| 01:43 | ქედუგანი (ბათუმი) 2ქ - 79:82 |
| 01:21 | წივწივაძე (არმია) 1+1 - 81:82 |
| 00:46 | ქედუგანი (ბათუმი) 2ქ - 81:84 |
| 00:14 | ქედუგანი (ბათუმი) 1ქ - 81:85 |
| 00:09 | წივწივაძე (არმია) 3ქ - 84:85 |
| 00:07 | ქედუგანი (ბათუმი) 1ქ - 84:86 |
| 00:01 | შარაბიძე (არმია) 2ქ - 86:86 |

| I ოვერტაიმი | |
|---|---|
| 03:59 | შარაბიძე (არმია) 2ქ - 88:86 |
| 03:02 | წივწივაძე (არმია) 2ქ - 90:86 |
| 02:47 | ქედუგანი (ბათუმი) 2ქ - 90:88 |
| 02:10 | შარაბიძე (არმია) 2ქ - 92:88 |
| 01:46 | კეშელავა (ბათუმი) 3ქ - 92:91 |
| 01:33 | შარაბიძე (არმია) 1+1ქ - 94:91 |
| 01:13 | წივწივაძე (არმია) 1+1ქ - 96:91 |
| 00:53 | ქედუგანი (ბათუმი) 3ქ - 96:94 |
| 00:39 | წივწივაძე (არმია) 1ქ - 97:94 |
| 00:32 | ქედუგანი (ბათუმი) 1+1ქ - 97:96 |
| 00:29 | წივწივაძე (არმია) 1+1ქ - 99:96 |
| 00:12 | ქედუგანი (ბათუმი) 3ქ - 99:99 |

| II ოვერტაიმი | |
|---|---|
| 04:48 | ქედუგანი (ბათუმი) 1ქ - 99:100 |
| 03:19 | წივწივაძე (არმია) 1+1ქ - 101:100 |
| 02:53 | წივწივაძე (არმია) 2+1ქ - 104:100 |
| 02:26 | შარაბიძე (არმია) 1+1ქ - 106:100 |
| 01:24 | კვიმსაძე (არმია) 2ქ - 108:100 |
| 01:15 | სეფოლდი (ბათუმი) 1+1ქ - 108:102 |
| 00:53 | წივწივაძე (არმია) 2ქ - 110:102 |
| 00:43 | ქედუგანი (ბათუმი) 1ქ - 110:103 |
| 00:36 | ბერიშვილი (არმია) 1+1ქ - 112:103 |
| 00:18 | ბოლქვაძე (ბათუმი) 1+1ქ - 112:105 |
| 00:17 | წივწივაძე (არმია) 1ქ - 113:105 |
| 00:04 | ჯგერენაია (არმია) 2ქ - 115:105 |

ყურადღება მიაქციეთ, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე „ბათუმმა", როგორც იტყვიან, მოგებული თამაში ვერ შეინარჩუნა და **ბექა წივწივაძის** სამქულიანის შემდეგ შეხვედრა ოვერტაიმში გაგრძელდა. საპირისპიროდ, პირველ დამატებით ხუთწუთეულში „არმიამ" ვერ მოახერხა ხუთქულიანი ფორის შენარჩუნება და **ჯუნიორ ქედუგანმა** მეორე ოვერტაიმის წინ ტაბლოზე 99:99 ეწერა. თუმცა, ბოლოსდაბოლოს, არმიელებმა მაინც მოახერხეს თამაშის სათავისოდ დასრულებადაბრინჯაოს მედლების ბათუმიდან თბილისისკენ მობრუნება.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამ კალათბურთელზე. საფინალო სირენამდე 2 წუთი რომ რჩებოდა, ბექა წივწივაძის ანგარიშზე 8 ქულა იყო, მატჩი კი 30(!) ქულით დაასრულა. მისმა ტანმაღალმა თანაგუნდელმა სწორედ იმ დროში, რაშიც ბექამ 22 ბალი ჩააგდო, 10 ქულა მიითვალა. ხოლო „ბათუმიდან" მათ უმთავრესად ჯუნიორ ქედუგანი პასუხობდა და საბოლოოდ ერთი ქულით მეტი რომ ჩაეგდო; სეზონის რეკორდს მაქაბელ **გიორგი რევაზაშვილთან** გაიზიარებდა. ჯუნიორის ანგარიშზე 43 ქულა იყო, გიორგის კი ერთ მატჩში 44 აქვს ჩაგდებული.

ისევე როგორც წივწივაძის მონაგარს, ქედუგანის ბოლო 12 წუთის (ორი ოვერტაიმი პლუს ძირითადი დროის ბოლო ორი წუთი) ქულათა მაჩვენებელს აუცილებლად უნდა დავუსვათ ძახილის ნიშანი - 18!

კოტე ტუღუში („არმიას" მთავარი მწვრთნელი):

- დიდი მადლობა „ბათუმს", რომელიც სრული პასუხისმგებლობით გამოვიდა სათამაშოდ და ისევე იბრძოლა მოსაგებად, როგორც ჩვენ. საქართველოს ჩემპიონატში მე-3 ადგილი ძალიან მნიშვნელოვანია. არ ვამართლებ მათ, ვინც ასეთ თამაშებს უპასუხისმგებლოდ უდგებიან. მიხარია, რომ ჩემმა გუნდმა მოახერხა რთული ნახევარფინალების შემდეგ მობილიზება და ბრინჯაოს მედლის მოპოვება. მადლობა გულშემატკივარს, რომელიც, ვფიქრობ, დღეს ნამდვილად გავახარეთ ასეთი სანახაობრივი და საინტერესო შეხვედრით.

მიხეილ კობეშავიძე („ბათუმის" მთავარი მწვრთნელი):

- არმიელებმა იბრძოლეს და დამსახურებულად მოიგეს. ვუერთდები კოტეს სურვილს, არ შეიძლება ისეთი გუნდის დაშლა, როგორიც „არმიაა". პირიქით, მომავალ წელს კიდევ უფრო უნდა გაძლიერდნენ. რაც შეეხება ჩემს გუნდს, კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები, გვაკლდა მოთამაშეები - ჯექსონი წავიდა, მიშკოვიჩი ტრავმირებული იყო...

საქართველო. U16

## მეორე ფინალისტიც გაირკვა

**გია კაზანჯიანის** გაწვრთნილი „აკადემია" ფინალშია და „დინამოს" დაუპირისპირდება. აკადემიელებმა თბილისის სპორტის სასახლეში 105:62 დაამარცხეს „ქუთაისი" და სერიაში საერთო ანგარიშით - 3:2 გაიმარჯვეს.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, თამაში დაძაბული არ ყოფილა. თანაბარი მხოლოდ პირველი მეოთხედი გამოდგა, რომელიც ფრედ - 12:12 დასრულდა. მეორე პერიოდში აკადემიელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, რაც შედეგზეც აისახა. ათწუთეული 30:13 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ - 42:25.

საბოლოოდ მიზნის მიღწევა აღარ გასჭირვებიათ.

თბილისელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი აკადემიელ **ლუკა ბულაშვილს** მიუძღვის, რომლის ანგარიშზეც 45 ქულა, 7 ჩაჭრა, 5 მოხსნა და 3 პასი დაგროვდა. 14 ქულა მიითვალა ნიკოლოზ დარბაიძემ, ხოლო დავით აფხაზავამ შეხვედრა 10 ქულით დაასრულა. ქუთაისელთაგან 15 ქულით და 9 მოხსნით ანრი რუხაძე გამოირჩა, ლადო ფურცხვანიძემ კი ორმაგი დუბლი შეასრულა - 10 ქულა, 13 მოხსნა.

როგორც ალვნიშნეთ, ფინალში გასულ „აკადემიას" ჩემპიონობას „დინამო" შეეცილება, რომელმაც ნახევარფინალურ სერიაში „შსს-აკადემია" 3:0 დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ტურნირის გახსნაზე

# მოგებით დაიწყეს

საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს თასის ევროპული ზონის ტურნირი ანდორაში მოგებით დაიწყო - ჩვენმა ბიჭებმა ასპარეზობის სტარტზე ალბანეთის ნაკრები დაამარცხეს - 45:18.

დღეს ქართველი ახალგაზრდები ბრიტანელებს, ხვალ კი მოლდოველებს დაუპირისპირდებიან. შაბათ-კვირას პლეიოფის მატჩებია. გამარჯვებული გავა მსოფლიოს ფინალში, რომელიც 2015 წელს გაიმართება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# ნაომი ბოტიკა ბოლქვაძეს ვერ გაუმკლავდა

გუშინ ქართველი ჩოგბურთელები ხუთი სხვადასხვა ქალაქის კორტებზე ცდიდნენ ძალებს. **ნიკოლოზ ბასილაშვილი** უზბეკეთში იმყოფება და ვაჟთა 50.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. ჩვენებურმა მეორე წრეც წარმატებით განვლო - ტაივანელი ტი ჩენი დაამარცხა - 3:6, 7:6, 6:4 და მეოთხედფინალში ანტალ ვან დერ დუიმის (ჰოლანდია) მძლეველ (7:6, 6:2) საკაჰ მინენის (ინდოეთი) შეხვდება.

ქალებში წარმატებით ითამაშა **მარიამ ბოლქვაძემ** ისრაელში რამლეს საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). გუშინ მან ერთეულების მეორე წრეში მე-5 ნომრად განთესილი უნგრელი ნაომი ტოტიკა დაჯაბნა - 6:4, 6:1 და მეოთხედფინალში რუს ანასტასია პრიბილოვას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მე-4 ნომერი გერმანელი მიხაელა ფრილცკა ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:3.

ქართველი ჩოგბურთელი გუშინ მეორედაც თავანეული გავიდა კორტიდან: წყვილებში მანიშა ფოსტერთან (დიდი ბრიტანეთი) შეამხანაგებულმა მე-3 განთესვის მქონე მასპინძლებს - სარა სტერენბახსა და ტალია ზანდბერგს აჯობა - 6:4, 6:2. ნახევარფინალში რეიტინგფავორიტებს - მარგარიტა ლაზარევას (რუსეთი) და ბარბორა სტეფკოვას (ჩეხეთი) გაუწევს მეტოქეობას.

იტალიურ კასერტაში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ერთეულთა მეოთხედფინალში უბრძოლველად გაალწია მე-6 ნომრად განთესილმა **ეკატერინე გორგოძემ** - მე-2 წრეში არგენტინელი კაროლინა ზებალოსი არ გამოუცხადდა. დღეს მე-3 ნომერ ბრაზილიელთან - ბიეტრის ჰადად მაიასთან გაარკვევს ურთიერთობას. გორგოძემ წყვილებში **სოფიო ქვაცაბაიასთან** ერთად იოლად ჩამოიშორა გზიდან დილეტა ალესანდრელისა და კლაუდია ჩირილოს (ორივე - იტალია) დუეტი - 6:1, 6:0. ქვაცაბაია ერთეულებში რეიტინგფავორიტ ანე შაფერს (გერმანია) დანებდა - 1:6, 2:6.

ნიუნბერგის (გერმანია) 250.000-იანი ტურნირის მეორე წრეში თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** პოლონელ კატარჟინა პიტერთან ერთად მიხაელა კრაიჩეკისა და კაროლინა პლიშკოვას ტანდემთან დამარცხდა - 4:6, 6:7.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ყაიმებმა შეაფერხა

ტაშკენტში უზბეკი დიდოსტატის - გიორგი აგზამოვის ტრადიციულ მემორიალში ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობდა ქართველი მოჭადრაკე **მიხეილ მჭედლიშვილი.** ჩვენებურს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ბელარუსი სერგეი ჟიგალკო. მე-6 ტურში სწორედ მათი პაექრობა დასრულდა ზავით. ამის მიუხედავად, მჭედლიშვილმა ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. აი, გუშინდელმა ყაიმმა კი ჩვენებური საგრძნობლად დაამუხრუჭა და ორი მეტოქე გაუთანაბრდა ქულებით. მჭედლიშვილი მე-7 ტურში თეთრი ფიგურებით იური კუზუბოვს (უკრაინა) შეუთანხმდა ყაიმზე. ხუთქულიანთაგან აბჯით გუპტამ (ინდოეთი) თეთრებით სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი) დაამარცხა, ხოლო ოლეგ კორნეევმა (ესპანეთი) ანტონ ფილიპოვს (უზბეკეთი) გააჩერებინა საათი. წარმატებით ითამაშეს 4,5-4,5 ქულის მქონე არმან პაშიკიანმა (სომხეთი), პაველ სმირნოვმა (რუსეთი) და ალექსეი ბასოვმა (უზბეკეთი), რომლებმაც, შესაბამისად, სერგეი ვოლკოვი (რუსეთი), ბახოდარ ხოლმირზაევი (უზბეკეთი) და ვიაჩესლავ აგზამოვი (უზბეკეთი) დაჯაბნეს. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 6-6 ქულით პირველ-მესამე ადგილებს გუპტა, მჭედლიშვილი და კორნეევი იყოფენ, ხოლო კუზუბოვს, პაშიკიანს, სმირნოვსა და ბარსოვს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

დღეს მე-8 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: გუპტა-მჭედლიშვილი, სმირნოვი-კორნეევი, პაშიკიანი-ბარსოვი, კუზუბოვი-ფილიპოვი.

ვაჟა დანელია


მიხეილ მჭედლიშვილი

რაგბი. U-19



# მარცხიანი სტარტი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისის საგრაფოთა 20-წლამდელთა ნაკრებთან კემბრიჯში პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. ჩვენმა მორაგბეებმა 10:36 წააგეს.

მომდევნო შეხვედრა 24 მაისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ინგლისის საგრაფოთა ნაკრები ივნისის დასაწყისში თბილისში გვეწვევა და მზარდი საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება.

**საქართველოს ნაკრები**

15. გიორგი ბაბუნაშვილი, 14. ირაკლი სვანიძე, 13. დევი დევსურაშვილი, 12. თემურ ირემაძე, 11. დავით გულიტაშვილი, 10. რეზო ჯინჭველაშვილი, 9. ვასო ლობჟანიძე. 1. ნიკა ნეფარიძე, 2. ბადრი ალხაზაშვილი, 3. ბექა კაკაბაძე, 4. ოთარ გიორგაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. დავით პაპავაძე, 7. თორნიკე ზოიძე, 8. ბექა გორგოძე.

16. თორნიკე მატარაძე, 17. გიორგი მატარაძე, 18. ვანო მარგალიტაძე, 19. ჟორა მლებრიშვილი, 20. გიორგი ჯავახია, 21. თემურ თუთბერიძე, 22. სანდრო ილურიძე, 23. დავით ლობჟანიძე.

ბესიკ ჯანგავაძე

შვიდკაცა რაგბი

# ქალების წარუმატებელი სტარტი

ახლახან ამსტერდამში შვიდკაცა რაგბის საერთაშორისო, ტრადიციული ტურნირი გაიმართა. უკვე ვწერდით, რომ ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა წარმატებით ისაპარეზა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა.

ამავე შეჯიბრებაში გამოდიოდა საქართველოს ქალთა ნაკრებიც. პირველ დღეს ჩვენმა გუნდმა ორი მატჩი მოიგო და მესამე შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრებთან დამარცხდა. მომდევნო ეტაპზე კი ორი თამაშიდან ორივეში წააგო და გათამაშებას გამოეთიშა.

საქართველოს ნაკრები: ანა პოლოსიანი, ნინო ელოშვილი, ბელა გოგსაძე, მარეხ მაისურაძე, შორენა გამსახურდია, ანა ანდღულაძე, ნათია ცინცქილაძე, ნანა კაშია, ქრისტინე გვაზავა, სალომე სალარაძე, ქეთევან მოდებაძე, ანა კვაჭაძე.

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. ტესტები

# ინგლისი ახალ ზელანდიაში

ინგლისის ნაკრები წლეულს ივნისის ტესტებზე ტურნეს ახალ ზელანდიაში გამართავს. „პომების“ შემადგენლობა სხვადასხვა მიზეზის გამო საკმაოდ შეთხელებულია. ახლახან კი გაირკვა, რომ „ოლ ბლექსს“ ვერ დაუპირისპირდება მგეზავი **ჯორჯ ფორდი,** რომელიც ინგლისის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ მხარზე ოპერაციის გაკეთებას აპირებს.

**სტიუარტ ლანკასტერისთვის** ეს კიდევ ერთი დიდი დანაკლისია. ფორდის ნაცვლად მან **დენი სიპრიანი** და **ფრედი ბერნსი** უნდა მიიწვიოს. კიდევ ერთი კანდიდატი გლოსტერის მგეზავი **ბილი თველვეტრისია,** მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ მოირჩინა დაშავებული ფეხის ტერფი.

**ინგლისის ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დენ კოლი, ტომ იანგზი (ლესტერ ტაიგერზი), დილან ჰართლი, ალექს კორბიშერო (ნორსჰემპთონი), მაკო ვუნიპოლა, ჯიმი ჯორჯი (სარასენზი), დევიდ პეისი (ლონდონ აირიში).

**მეორე ხაზი:** კორტნი ლოუ (ნორსჰემპთონი)

**მესამე ხაზი:** ტომ კროტი (ლესტერ ტაიგერზი), ტომ ვუდი (ნორსჰემპთონი), ბილი ვუნიპოლა (სარასენზი).

**№9:** ლი დიკსონი (ნორსჰემპთონი), რიჩარდ ვაიგლსვორსი (სარასენზი).

**№10:** ოუენ ფარელი (სარასენზი), სტივენ მილერი (ნორსჰემპთონი), ჯორჯ ფორდი (ბასი).

**№12-13:** ლუთერ ბარელი (ნორსჰემპთონი), ბრედ ბარიტი (სარასენზი), ჯოელ ტომკინსი (სარასენზი).

**№11-14:** ბენ ფოდენი (ნორსჰემპთონი), ალექს გუდი, კრის ეშტონი (სარასენზი)

**№15:** ჯეკ ნოუელი (ექსეტერი). კრისტიან ვეიდი (ვოსფსი).

ბესიკ ჯანგავაძე



ჯორჯ ფორდი

წყალბურთი

# სანამ ფავორიტები ევროპისთვის ემზადებიან

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს 6 გუნდი მონაწილეობს. უმთავრეს ფავორიტებად „ლიგამუსსა“ და „თბილისს“ მიიჩნევენ. არცთუ უსაფუძვლოდ: სწორედ, ამ გუნდებში თამაშობენ საქართველოს ნაკრების წევრები. მათი უმრავლესობა ამჟამად ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ჩერნოგორიაშია საწვრთნელ შეკრებაზე და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას კი 14 ივლისიდან უნგრეთის დედაქალაქი უმასპინძლებს.

სანამ ფავორიტები კონტინენტის პირველობისთვის ემზადებიან, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ახალგაზრდულმა გუნდებმა მორიგი ტურის ორთაბრძოლა გამართეს. ერთმანეთს ჭაბუკთა (1998-199 წლებში დაბადებულნი) და ახალგაზრდული (1995-1996 წ.წ. დაბადებულნი) ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

**ახ. ნაკრები-ჭაბ. ნაკრები 9:7**

3:1, 3:2, 1:3, 2:1

**ახალგაზრდული ნაკრები:** რაზმაძე, ყაზახიშვილი (2), გაბადაძე (2), ჩიკვაიძე (1), იმნაიშვილი (2), ფურცელაძე (1), ნონიკაშვილი, კუცია, ინწკირველი, მგელაძე, შავშიაშვილი, კოტია (1). **მწვრთნელები** - პოპოვიჩი, ბაქრაძე.

**ჭაბუკთა ნაკრები:** ლეთოდიანი, სეფისკვერაძე, ლავთაძე (3), თეთრაძე (1), ცანკაშვილი, ადეიშვილი, ჯულაშვილი, მესხი, მაგრაქველიძე (2), გვენცაძე (1), ივანიშვილი, კუჭუხიძე, შოშიაშვილი, **მწვრთნელები** - კიკალიშვილი, ქოიავა.

მატჩის დასაწყისშივე ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ყაზახიშვილმა ანგარიში გახსნა. ჭაბუკებმა მალევე მორიგი შეტევით უპასუხეს და წონასწორობა აღადგინეს (გოლი მაგრაქველიძემ გაიტანა) - 1:1. პირველი პერიოდის მე-5 წუთისთვის იმნაიშვილმა წინ გაიყვანა ახალგაზრდული ნაკრები და მომდევნო 11 წუთის განმავლობაში მისი თანაგუნდელების უპირატესობა აშკარა იყო, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს - 6:3.

შესვენების შემდეგ ჭაბუკები გააქტიურდნენ და მესამე რვაწუთიან მონაკვეთში ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმცა მეტი ველარ შეძლეს და საბოლოოდ 2 ბურთით დამარცხდნენ - 7:9.

მომდევნო შაბათს ითამაშებენ: „თბილისი“-„რუსთავი“, „ლიგამუსი“-ჭაბუკთა ნაკრები. ახალგაზრდებს მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ - 6-8 ივნისს ნოდარ გვახარიას თასზე საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ, 27-28 ივნისს კი „ოლიმპიკის“ აუზი თბილისის თასს უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. NBA პლეი ოფი

# ორი მსახიობის თეატრი

„ინდიანასა“ და „მაიამის“ სერიის მეორე მატჩი, პირველისგან განსხვავებით, ნაკლებად შედეგიანი იყო, მაგრამ სანახაობრივი მხარე ამით არ დაზარალებულა. თუმცა, პირველ რიგში, სიამოვნება მიიღეს ხისტი ორთაბრძოლებისა და კარგი დაცვის თაყვანისმცემლებმა.

ორივე აღმოსავლური გრანდი პირველი წუთებიდან ფრთხილად მოქმედებდა, მინიმუმამდე იყო დაყვანილი მოუმზადებელი და სარისკო ტყორცნები, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეხვედრის ბედი ბოლომდე გაურკვეველი იქნებოდა. დიდი შესვენების წინ სტუმრებმა ორნიშნა უპირატესობის მოპოვება სცადეს, მაგრამ „პლუს რვაზე“ ორი საჯარიმო მიიღეს **ჰიბერტისგან**, სირენამდე 0.1 წამით ადრე კი „პეისერსმა“ მოასწრო კომბინაციის გათამაშება, რომელიც **სტივენსონმა** ზუსტი ტყორცნით დაასრულა.

გუნდის ლიდერები ჩრდილში იყვნენ. პირველ ტაიმში **ჯორჯმა** 11-დან მხოლოდ ერთი ტყორცნა გამოიყენა, **ლებრონ ჯეიმსი** კი ექვსი ქულით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, შეუჩერებელი იყო სტივენსონი, რომელიც მესამე მეოთხედში ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო გახლდათ: 10 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი.

სტივენსონმა სამქულიანი ჩააგდო და ექვს ქულამდე გაზარდა „ინდიანას“ უპირატესობა და სწორედ ამ დროს დაიწყო გამოღვიძება ლებრონ ჯეიმსმა. მან საშუალო ტყორცნა შეასრულა, თუმცა ჯორჯმა შორიდან ტყორცნით უპასუხა - „პლუს შვიდი“. დარჩენილ ორ წუთში კი სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. თითოჯერ სამქულიანი ჩააგდეს **ბოშმა** და **კოულმა** და ორივე შემთხვევაში ასისტენტი ლებრონი იყო.

მაგრამ მხოლოდ ჯეიმსი არ გახდა ამ მატჩის გმირი. არანაკლებ ბრწყინვალე მეოთხე მეოთხედი გამოუვიდა **დუეინ უეიდს**. სწორედ ეს სუპერწყვილი განსაზღვრავდა „მაიამის“ შეტევას უკანასკნელ 12-წუთეულში. „ჰიტის“ ბოლო 33 ქულა მატჩში ლებრონისა და დუეინის უშუალო მონაწილეობით იქნა დაგროვებული, მეოთხე მეოთხედში კი მათი მონაგარი 24 ქულა და 6 შედეგიანი პასი იყო. გადამწყვეტი 10:0 გაქცევის დროს, რომელმაც სამქულიანი ჩამორჩენა შვიდქულიან უპირატესობად აქცია (სათამაშო რჩებოდა 2.20 წუთი), ჯეიმსმა და უეიდმა დაცვაშიც ბრწყინვალედ ითამაშეს.

„მაიამის“ ლიდერებმა ერთად დაუსვეს წერტილი შეხვედრას. საფინალო სირენამდე 21.6 წამით ადრე ლებრონი „პეისერსის“ სამწამიანში შევიდა, რამდენიმე მცველი თავის მხარეს გადაიყვანა და მშვიდად მიაწოდა ბურთი თავისუფალ უეიდს, რომელმაც იოლი ორი ქულა აიღო.

„ჰიტმა“ დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა. მომდევნო ორი შეხვედრა ფლორიდაში გაიმართება.

**ინდიანა–მაიამი 83:87**

21:20, 16:21, 26:21, 20:25

ი: სტივენსონი (25+7 პასი+6 მოხსნა), ჯორჯი (14+6 პასი+5 მოხსნა), ჰილი (13+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (12+13 მოხსნა), უესტი (10+6 მოხსნა+4 პასი), ბატლერი (6), სკოლა (2), მაინმი (1).

მ: უეიდი (23+5 პასი+5 მოხსნა), ჯეიმსი (22+7 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), კოული (11), ბოში (9+6 მოხსნა), ჰასლემი (7), ჩელმერსი (6+3 პასი), ანდერსენი (3+12 მოხსნა), ალენი (3), ბატიე (3).

**სერია:** 1-1



ლებრონ ჯეიმსი

# ლატარია ისევ კლივლენდისაა



ბოლო წლებში „კლივლენდ კავალიერზი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აუთსაიდერებს შორის ყველაზე იღბლიანი გუნდია. გუშინ გაიმართა 2014 წლის დრაფტის ლატარია და „კავალერებმა“ ისევ მოიგეს პირველი ნომრის არჩევის უფლება. არადა, ამის შანსი 1.7 პროცენტი იყო.

XXI საუკუნეში „კავალიერზი“ მეოთხედ აირჩევს დრაფტის პირველ ნომერს. 2003 წელს მათ **ლებრონ ჯეიმსზე** შეაჩერეს არჩევანი, 2011 წელს - გამთამაშებელი **კაირი ირვინგი**, შარშან კი ფორვარდი **ენდრიუ ბენეტი** აიყვანეს. ჯეიმსი დღეს NBA-ის მთავარი ვარსკვლავია, მაგრამ სხვა გუნდში თამაშობს, ირვინგი „კლივლენდის“ ლიდერი გახლავთ, ბენეტმა კი ჯერჯერობით ვერ გაამართლა კლუბის ხელმძღვანელთა იმედები. გასულ რეგულარულში მას კატასტროფული სტატისტიკა ჰქონდა - 4.2 ქულა, 3.0 მოხსნა და თამაშიდან სროლის სიზუსტე - 35.6 პროცენტი. 2013 წლის დრაფტის პირველი ნომერი იმდენად სუსტი იყო, რომ ის „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ არ მიიწვიეს დებიუტანტებისა და „მეორეწლიანების“ მატჩზე.

ასე რომ, „კავალიერზის“ ახალ გენერალურ მენეჯერს **დევიდ გრიფინს** დაფიქრება და სწორი არჩევანის გაკეთება მართებს. თუმცა წელს შეცდომის დაშვების შანსი ნაკლებია, რადგან 2014 წლის დრაფტზე წარმოდგენილ ახალბედების ჯგუფს ერთ-ერთ საუკეთესოს უწოდებენ ისტორიაში. წინასწარი შეფასებებით, პირველ ნომერს სამი კალათბურთელიდან აარჩევენ. ესენი არიან: მცველი **ენდრიუ უიგინსი**, ცენტრი **ჯოელ ემბიდი** და მსუბუქი ფორვარდი **ჯაბარი პარკერი**.

რაც შეეხებათ სხვა გუნდებს, პირველი ნომრის მიღების ყველაზე დიდი შანსი (25 პროცენტი) „მილუოკის“ ჰქონდა, მაგრამ მას რიგით მეორე არჩევანი ერგო. შემდეგ მოდიან: „ფილადელფია“, „ორლანდო“ და „იუტა“. ამ გუნდებს ძალიან უნდოდათ პირველი ნომრის მიღება, მაგრამ არ გაუმართლათ. თუმცა აქ ადგილი აქვს სამართლიანობის მომენტს. „ბაქსი“, „სიქსერზი“, „მეჯიქი“ და „ჯაზი“ სპეციალურად აგდებდნენ სეზონს, იმ დროს, როცა „კლივლენდი“ რეგულარულის ბოლო სათამაშო დღემდე იბრძოდა პლეი ოფში მოსახვედრად.

მომგებიან სიტუაციაში არიან „ფილადელფია“ და „ორლანდო“. „სიქსერზი“ პირველ ათეულში ორ კალათბურთელს აიყვანს, რადგან ერთი არჩევანის უფლება „ნიუ ორლეანთან“ ტრეიდის მეშვეობით მიიღო, „მეჯიქს“ კი პირველ თორმეტეულში ექნება ორი არჩევანის საშუალება.

მეექვსე და მეშვიდე ნომრად არჩევის უფლება ერგოთ „ბოსტონსა“ და „ლეიკერსს“. ეს ოდნავ ნაღვლიანი და უცნაური მომენტია, რადგან უჩვეულოა ორი გრანდის მონაწილეობა დრაფტის ლატარიაში. ეს გუნდები უკანასკნელად პირველ ათეულში 1966 წელს (!) ირჩევდნენ ახალბედებს. მერვეა „საკრამენტო“, რომელიც ლატარიაში ზედიზედ მერვე წელია მონაწილეობს, მაგრამ სწორ დასკვნებს მაინც ვერ აკეთებს.

დრაფტის ცერემონია 26 ივნისს, „ბრუკლინის“ კუთვნილ არენაზე (Barclays Center) გაიმართება, ჩვენ კი გთავაზობთ დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის თანამიმდევრობას:

1. კლივლენდი
2. მილუოკი
3. ფილადელფია
4. ორლანდო
5. იუტა
6. ბოსტონი
7. ლეიკერსი
8. საკრამენტო
9. შარლოტი
10. ფილადელფია
11. დენვერი
12. ორლანდო
13. მინესოტა
14. ფინიქსი
15. ატლანტა
16. ჩიკაგო
17. ბოსტონი
18. ფინიქსი
19. ჩიკაგო
20. ტორონტო
21. ოკლაჰომა
22. მემფისი
23. იუტა
24. შარლოტი
25. ჰიუსტონი
26. მაიამი
27. ფინიქსი
28. კლიპერსი
29. ოკლაჰომა
30. სან ანტონიო

ამბები

კალათბურთი

## აშშ როუზს ელოდება

აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** განაცხადა, რომ „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერი **დერიკ როუზი** ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ზაფხულის შეკრებაზე შეუერთდება. 25 წლის გამათამაშებელმა 2013-14 წლების სეზონში მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა მუხლის ტრავმის გამო. მსოფლიოს ჩემპიონატი 30 აგვისტოს დაიწყება.

*„ველოდებით, რომ როუზი ივლისის ბოლოს შემოგვიერთდება. სწორედ იმ შეკრებაზე დადგინდება საბოლოო შემადგენლობა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის“*, - აღნიშნა კრჟიჟევსკიმ.

## კინგზს ახალი არენა ელირსა

საკრამენტოს საქალაქო საბჭომ დაამტკიცა NBA-ის კლუბისთვის „საკრამენტო კინგზისთვის“ ახალი არენის მშენებლობის ფინანსური გეგმა. არენის ღირებულება 477 მილიონი დოლარი იქნება.

35-წლიანი ხელშეკრულების თანახმად, ქალაქი გამოყოფს 223 მილიონი დოლარის ოდენობის სუბსიდიას და მიწის ნაკვეთს სტადიონის ასაშენებლად. „კინგზი“ კი, თავის მხრივ, 254 მილიონ დოლარს დახარჯავს. სავარაუდოდ, ახალი არენა 2016-17 წლების სეზონისთვის იქნება მზად.

ჰოკეი

## გრეტცკი პრეზიდენტი იქნება?

ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტი, ლეგენდარული **უეინ გრეტცკი**, შესაძლოა, „ნიუ იორკ აილენდერსის“ პრეზიდენტი გახდეს, - იტყობინება Yahoo!Sports. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბი გაიყიდება და ახალ არენაზე გადავა სათამაშოდ.

2005-09 წლებში გრეტცკი „ფინიქს კოიოტზის“ მთავარი მწვრთნელი იყო, მაგრამ დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

## სლოვაკი ლეგენდა წავიდა

სლოვაკეთის ნაკრების ფორვარდმა **მიროსლავ შატანმა** თავისი გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

39 წლის ფორვარდს მსოფლიოს 14 ჩემპიონატში აქვს მიღებული მონაწილეობა და 2002 წელს ოქროს მედალი მოიპოვა. ასევე მის აქტივშია ორი ვერცხლი (2000 და 2012) და ერთი ბრინჯაო (2003). პლანეტის პირველობაზე მან 75 ქულა (37+38) დააგროვა. გარდა ამისა, ოთხჯერ ითამაშა ოლიმპიადაზე.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში შატანმა 1050 მატჩი ჩაატარა. 2009 წელს, „პიტსბურგის“ რიგებში სტენლის თასი მოიპოვა.

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

### A ჯგუფი

**ნორვეგია–კანადა 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ბასტიანსენი-2, 1:1 უორდი-5 (მონეჰანი-2, ელისი-4), 2:1 ჰანსენი-1 მ. ოლიმბი-7, ბრიუჰნისვენი-1), 2:2 შეიფელი-1 (ბიეკსა-2, უორდი-3), 2:3 უორდი-6 (იუბერდო-4).

**დანია–სლოვაკეთი 3:4**

0:1, 1:0, 2:3

**გოლები:** 0:1 ტატარი-3 (ვალაპი-2), 1:1 ბოდკერი-2 (გრინი-2, კრისტენსენი-2), 1:2 მიკლიკი-4 (ვიედენსკი-1), 2:2 გრინი-1 (კრისტენსენი-3, ლასენი-1), 2:3 ვიედენსკი-3 (მიკლიკი-7, ვალაპი-3), 2:4 ტატარი-4 (მიკუში-2), 3:4 ი. იენსენი-3 (ი-ბ. იენსენი-1).

**ჩეხეთი–საფრანგეთი 5:4 (ო)**

1:3, 3:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 დეროზიე-2 (ჟანილი-1, ტრეი-2), 0:2 დეროზიე-3 (ტ. და კოსტა-3), 0:3 მენიე-2 (რო-1), 1:3 სობოტკა-2, 2:3 სეკაჩი-2 (ზამორსკი-1, კოლარჟი-1), 3:3 იაგრი-4 (იორდანი-1, სობოტკა-3), 4:3 ზატოვიჩი-2 (კინდლი-2, როლინეკი-1), 4:4 რუსელი-6 (ფლერი-2), 5:4 კოლარჟი-1 (ზამორსკი-2, სობოტკა-4).

| | თ | მ | ო-მო | -წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 7 | 5 | 1 | 1 | 0 | 28:13 | 18 |
| 2. შვედეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 0 | 21:10 | 18 |
| 3. ჩეხეთი | 7 | 2 | 2 | 2 | 1 | 20:18 | 12 |
| 4. საფრანგეთი | 7 | 2 | 2 | 1 | 2 | 25:20 | 11 |
| 5. სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 1 | 3 | 20:21 | 10 |
| 6. ნორვეგია | 7 | 2 | 0 | 1 | 4 | 16:19 | 7 |
| 7. დანია | 7 | 1 | 1 | 0 | 5 | 17:27 | 5 |
| 8. იტალია | 7 | 1 | 0 | 0 | 6 | 6:25 | 3 |

### B ჯგუფი

**გერმანია–აშშ 4:5**

0:0, 3:3, 1:2

**გოლები:** 0:1 აბდელკადერი-2 (სტეპლტონი-2, გორდო-6), 1:1 ვაისი-1, 1:2 შორი-1 (პეტრი-4), 2:2 ჰოსპელტი-2 (ოპენჰაიმერი-2, დრაიზაიტლი-2), 2:3 დონოვანი-2 (გოდრო-7, გარდინერი-2), 3:3 დრაიზაიტლი-1, 3:4 გოდრო-2 (გარდინერი-3), 3:5 აბდელკადერი-3 (გოდრო-8), 4:5 რიდერი-1 (დრაიზაიტლი-3, ჰოსპელტი-3).

**ლატვია–შვეიცარია 2:3**

0:2, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბრუნერი-3 (კუნტი-3, ჰოლენშტაინი-2), 0:2 შლუმპფი-1 (ამბული-2), 0:3 ვებერი-3 (იოსი-6, ამბული-3), 1:3 იასი-1 (ძერინში-1, კულდა-1), 2:3 გირგენსონსი-2 (სოტნიეკსი-2, ვასილიევი-2).

**რუსეთი–ბელარუსი 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 პლოტნიკოვი-5 (შიპაჩევი-2, ტიხონოვი-7), 2:0 შიპაჩევი-3 (პლოტნიკოვი-6), 2:1 დენისოვი-1 (კიტაროვი-1, კორობოვი-3).

| | თ | მ | ო-მო | -წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 0 | 31:7 | 21 |
| 2. აშშ | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 27:23 | 14 |
| 3. ბელარუსი | 7 | 4 | 0 | 0 | 3 | 18:17 | 12 |
| 4. ფინეთი | 7 | 3 | 1 | 0 | 3 | 18:15 | 11 |
| 5. შვეიცარია | 7 | 3 | 0 | 1 | 3 | 19:21 | 10 |
| 6. ლატვია | 7 | 3 | 0 | 0 | 4 | 20:24 | 9 |
| 7. გერმანია | 7 | 1 | 1 | 0 | 5 | 13:23 | 5 |
| 8. ყაზახეთი | 7 | 0 | 0 | 2 | 5 | 16:32 | 2 |

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ტიხონოვი (რუს) | 14 (7+7) |
| რუსელი (საფ) | 11 (6+5) |
| პლოტნიკოვი (რუს) | 11 (5+6) |
| მიკლიკი (სლოვაკ) | 11 (4+7) |
| გოდრო (აშშ) | 10 (2+8) |

| გოლები | |
|---|---|
| ტიხონოვი (რუს) | 7 |
| ს. და კოსტა (საფ) | 6 |
| რუსელი (საფ) | 6 |
| უორდი (კან) | 6 |
| ჰოჯსონი (კან) | 6 |

| პასები | |
|---|---|
| გოდრო (აშშ) | 8 |
| მ. ოლიმბი (ნორ) | 7 |
| მიკლიკი (სლოვაკ) | 7 |
| ტიხონოვი (რუს) | 7 |

**1/4 ფინალი**

**22 მაისი**

აშშ-ჩეხეთი (17:00)
რუსეთი-საფრანგეთი (18:00)
კანადა-ფინეთი (21:00)
შვედეთი-ბელარუსი (22:00)

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ეს მონტე კარლოა!

**მსოფლიოში** ძალიან ბევრი ისეთი ქალაქია, რომელიც ბრწყინვალე სტადიონებით, სპორტული დარბაზებითა თუ საჩოგბურთო კომპლექსებით იწონებს თავს. მაგრამ მათ შორის, მონტე კარლო მაინც განცალკევებით დგას. ალბათ, ძნელია მონახო სხვა ისეთი ადგილი, სადაც ასეთ მცირე ტერიტორიაზე კონცენტრირებული იყოს ამდენი სპორტის სახეობა. ამ კვირას, მონაკოში ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი იმართება, მანამდე კი ელიტარული სპორტსმენების საყვარელი ქალაქის შესახებ გიამბობთ.

მონტე კარლო მრბოლელების, ჩოგბურთელების, იახტსმენების, გოლფისტების საყვარელი საცხოვრებელი ადგილია, რომლებსაც არ უყვართ დიდი გადასახადების გადახდა. მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მონაკოში თავის დროზე ცხოვრობდნენ **აირტონ სენა, მიხაელ შუმახერი, ბორის ბეკერი**...



ცნობილია, რომ წელიწადში ერთხელ, მონტე კარლო ავტოდრომად იქცევა ხოლმე: მის ქუჩებში ტრასა გაჰყავთ (ბუნებრივია, ამისთვის მანქანების მოძრაობის გადაკეტვაა საჭირო) და მონაკოელები სიამოვნებით ადევნებენ თვალს პილოტების ბრძოლას. აქაური რბოლის შესახებ მოსწრებულად თქვა ლეგენდარულმა ავსტრიელმა პილოტმა **გერჰარდ ბერგერმა**: *„ისინი ბინაში ვერტმფრენებით დაფრინავენ“*. ერთი შეცდომა და შეგიძლია უახლოეს კლინიკაში პალატა შეუკვეთო. აქ ხომ ყველა მოსახვევს ბრმად გადიან, ყველა დამუხრუჭება საგანგებოა, სიჩქარის გადართვა ჯამში 6 ათასზე მეტჯერ ხდება, პრაქტიკულად შეუძლებელია გასწრება...

ამ აშკარა ნაკლოვანებების მიუხედავად, რომლებიც არა მარტო პილოტებს, არამედ გულშემატკივრებსაც ალიზიანებთ, მონაკოს გრანპრი განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრაში. იმდენადაც კი, რომ ეს არის ერთადერთი ეტაპი, რომლის ორგანიზებისთვის ფულს არა მასპინძელი ქალაქი, არამედ ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** გამოდის. ცნობილი არ არის, თუ რა უჯდება ეს სიამოვნება ბრიტანელ მილიარდერს, მაგრამ, როგორც ჩანს, ლირს ხარჯის გალება. არც ერთ ეტაპზე არ იკრიბება ამხელა VIP-პუბლიკა, რომელიც მზად არის დიდი თანხა გადაიხადოს რბოლის საყურებლად.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის - შაბათის კვალიფიკაციაზე და კვირას რბოლაზე დასწრება არანაკლებ 1500 დოლარი ღირს, ყველაზე ცუდი ბილეთის ფასი კი 895 დოლარს უტოლდება.

მაქსიმალური კომფორტის მიღება 5 ათასი დოლარის გადახდით შეიძლება. ხოლო თუ რბოლის დროს Monte Carlo Grand Hotel-ის ნომერში დასახლდებით, თანაც ისეთში, რომლის ფანჯრებიც ტრასაზე გადის (რბოლის ცქერა პირდაპირ ნომერიდან შეიძლება, შამპანურის თანხლებით - სასმელის ღირებულება ფასშია შესული), ეს ყველაფერი ხუთი დღით 12 ათასი დოლარი დაჯდება. სხვათა შორის, უკვე მომდევნო დღეს, სასტუმროს ნომრების ფასები მკვეთრად მცირდება: იმავე Monte Carlo Grand Hotel-ის ლუქსი დღე-ღამეში 395 დოლარია.

მდიდარი სტუმრების მიღების პროგრამა მხოლოდ რბოლაზე დასწრებით არ შემოიფარგლება. მაგალითად, პარასკევს საღამოს, პირველი თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ ეწყობა მიღება, რომელსაც აუცილებლად ესწრება ფორმულას 1-ის მოქმედი პილოტი. შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ კი ერთგვარი თემატური საღამო ტარდება.

სარბოლო უქმეების დროს, უფრო ეგზოტიკურ ადგილას შეიძლება დასახლება - იახტაზე. მაგალითად ისეთზე, როგორიც არის Club Med 2 - ხუთანძიანი აფრიანი გემი, საკმაოდ კომფორტული კაიუტებით (18 კვადრატული მეტრი). მას შეუძლია 394 ადამიანს უმასპინძლოს, რომელთა განკარგულებაში 200-მდე მომსახურე პერსონალია. იახტაზე რამდენიმე რესტორანი და ბარია, ფიტნეს-ცენტრი, ღამის კლუბი, მაღაზიები და სილამაზის სალონი. ამ მოცურავე სასტუმროში გაჩერება უფრო იაფია, ვიდრე ხმელეთზე ცხოვრება: 5.6 ათასი დოლარი ოთხი დღით. მაგრამ რბოლის ყურება არა ზღვიდან, არამედ ერთ-ერთი VIP-ტრიბუნიდანაა შესაძლებელი.

მონაკოს გრანპრიზე VIP-ტური სრულფასოვანი არ იქნება, თუ მოძველებულ, მაგრამ მაინც ფორმულა 1-ის ნამდვილი ბოლიდით არ გაისეირნებთ: ვერტმფრენით (160 დოლარი ერთი მგზავრისთვის) ნახევარი საათი სჭირდება სან ტროპესთან ახლოს მდებარე სკოლაში ჩასვლას, სადაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სარბოლო მანქანის საჭესთან დაჯდომის ნებას გრთავენ. საუბარია სკოლაზე, რომელსაც AGS ჰქვია. თავის დროზე, ეს იყო ფორმულა 1-ის გუნდი, მაგრამ 1992 წელს, მისმა მფლობელებმა ჩემპიონატის მიტოვება გადაწყვიტეს და სკოლად დააარსეს. მათი მანქანები თანამედროვე ბოლიდებთან ახლოსაც ვერ მიდიან, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს ნამდვილი ფორმულას მანქანებია. უფრო მარტივი ბოლიდებიც არის - ფორმულა 3-ის კლასის. ორივეთი შეიძლება გასეირნება, ოღონდ, რა თქმა უნდა, გარკვეული ინსტრუქტაჟის შემდეგ - საჭესთან დაჯდომამდე და ყოველი გავლილი წრის შემდეგ. ფასებს რაც შეეხება, ის სიტუაციაზეა დამოკიდებული. ორშაბათიდან პარასკევამდე, 20 წრის გავლაში 1775 დოლარი უნდა გადაიხადოთ, უქმეების დღეებში ფასი 2000 დოლარამდე იზრდება. ყოველი ზედმეტი წრე 280 დოლარი ღირს.

# ტრადიციული ფეხბურთი დიდი რბოლის წინ



ნოვაკ ჯოკოვიჩი

**მონტე** კარლოში „ლუი II“-ის სტადიონზე გაიმართა ყოველწლიური საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ავტომრბოლების ნაკრები (Nazionale Piloti) და მონაკოს თავადის **ალბერ II**-ის გუნდი (Star Team For Children). მატჩისგან შემოსული თანხა გადაირიცხა ფონდში (Fondation Princesse Charlène de Monaco), რომელიც ეხმარება ნიჭიერ იუნიორ მოთამაშეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ კარიერის განვითარების შესაძლებლობა.

ალბერ II-ის გუნდს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა. აქ ერთი გოლით ალინიშნა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბის პარტნიორები იყვნენ იტალიელი მოტომრბოლები **მაქს ბიაჯი** და **ლორის კაპიროსი**, ყოფილი ფეხბურთელები: ფრანგი **დავიდ ჟინოლა**, ჩეხი **პაველ ნედვედი**, შვედი **ფრედერიკ იუნგბერგი** და სხვები.

პილოტების გუნდში თამაშობდნენ ესპანელი **ფერნანდო ალონსო**, ბრაზილიელი **ფელიპე მასა**, იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა**, მექსიკელი **სერხიო პერესი**... შეცვლების ლიმიტი არ არსებობდა და Nazionale Piloti-ში საერთო ჯამში 28-მა „ფეხბურთელმა“ ითამაშა.

მატჩის მსვლელობისას ტაბლოზე ჩნდებოდა წარწერები სერბეთსა და ბოსნიაში წყალდიდობისას დაზარალებულისა და კომაში მყოფი **მიხაელ შუმახერის** მხარდასაჭერად: *„მიხაელ, ძალიან გვაკლიხარ! იმედია, მომავალ წელს ამ გაზონზე გიხილავთ“*.

რაც შეეხება შეხვედრის შედეგს, ანგარიში ალბერ II-ის გუნდმა გახსნა და მანვე გაიმარჯვა - 3:2.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**გერმანია** — **რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ფიურტი II-ინგოლშტადტი II | 1:2 |
| რაინი-აუგსბურგი II | 1:0 |
| ბუხბახი-ნიურნბერგი II | 0:1 |

**პორტუგალია** — **პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ავეში | 3:1 |

**შოტლანდია** — **პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-ჰიბერნიანი | 0:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ჩეხეთი | 2:2 |
| კოსოვო-თურქეთი | 1:6 |
| ლიხტენშტაინი-ბელარუსი | 1:5 |

**ევრო 2014** — **UNDER 17**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-ინგლისი | 1:1 პენ. 1:4 |

**დანია** — **II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰობრო-ვეილე | 2:3 |
| სილკებორგი-ფრედერისია | 4:0 |
| აკადემისკი-მარიენლისტი | 3:0 |
| კიოგე-ბრონსჰოი | 2:0 |
| ვენდსისელი-ჰვიდოვრე | 0:2 |
| ჰორსენსი-ლუნგბიუ | 1:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰელსინგბორგი-ატვიდაბერგი | 0:0 |
| იურგორდენი-გიოტებორგი | 0:0 |

**კვიპროსის თასი** — **ფინალი**

| | |
|---|---|
| ერმისი-აპოელ | 0:2 |

**ჩეხეთი** — **II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრიდეკი-მოსტი | 3:0 |

**სლოვენიის თასი** — **ფინალი**

| | |
|---|---|
| მარიბორი-გორიცა | 0:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ბოტოსანი-დინამო | 1:2 |
| პოლი ტიმიშოარა-კონკორდია | 1:0 |
| საჯეატა-კლუჟი | 2:1 |
| ვიიტორული-ჩახლაული | 1:0 |
| გაზ მეთანი-ბრაშოვი | 1:1 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დაუგავა-სპარტაკსი | 1:0 |

**ლატვიის თასი** — **ფინალი**

| | |
|---|---|
| სკონტო-იელგავა | 0:0 პენ. 3:5 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| კრუოია-ბანგა | 0:1 |
| ჟალგირისი-ეკრანასი | 1:0 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| დინამო-დაჩია | 0:6 |
| აკადემია-მილსამი | 0:3 |
| ოლიმპია-კოსტულენი | 1:2 |
| შერიფი-ტირასპოლი | 1:0 |
| ზიმბრუ-სპერანტა | 2:0 |

**ჩერნოგორიის თასი** — **ფინალი**

| | |
|---|---|
| ლოვჩენი-მლადოსტი | 1:0 |

**სინგაპური**

| | |
|---|---|
| ბალესტიერი-ვუდლენდსი | 1:2 |
| ჰუგანგი-ტანიონგი | 1:1 |

**ჩინეთი**

| | |
|---|---|
| ჩანგჩუნი-ლიაონინგი | 2:0 |
| დალიანი-ტიანძინი | 2:3 |
| ბეიჯინგი-ჰანგჟოუ | 4:0 |
| ჰენანი-შან. შენსინი | 1:2 |
| გუანგჯოუ-გუიჟოუ | 1:1 |

**ტულონის ტურნირი**

| | |
|---|---|
| მექსიკა (U20)-პორტუგალია (U20) | 0:2 |
| საფრანგეთი (U20)-ჩილე (U20) | 3:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ლუდვიგსბურგი-ბავარია | 68:86 |
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 84:72 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ბარსელონა | 51:77 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-პისტოია | 87:67 |
| სასარი-ბრინდიზი | 89:62 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლიმოჟი-დიჟონი | 71:63 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დიუსელდორფი**

| | |
|---|---|
| ჯანესი-კუბლერი | 5:7, 6:3, 1:6 |
| კარლოვიჩი-მილოევიჩი | 6:4, 7:5 |
| მონაკო-გრანოლერსი | 6:1, 6:2 |
| ვესელი-დავიდენკო | 6:1, 7:6 |
| მელცერი-სოუზა | 7:6, 4:6, 6:3 |
| კუბლერი-ისტომინი | 6:3, 4:6, 2:6 |
| კოლშრაიბერი-გაბაშვილი | 6:3, 6:1 |
| დელიჩი-ბრაუნი | 6:3, 6:0 |
| სეპი-მანარინო | 6:2, 6:1 |

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-კუერი | 4:6, 6:3, 6:2 |
| ისნერი-სოკი | 6:4, 6:3 |
| ბერლოკი-მაუ | 6:2, 6:3 |
| როჯე ვასელენი-ლ. მაიერი | 4:6, 6:3, 5:7 |
| დელ ბონისი-მატიო | 6:2, 6:4 |
| გულბისი-კლიჟანი | 6:7, 6:4, 6:1 |
| ჰაასე-ტურსუნოვი | 3:6, 4:6 |
| სიმონი-ტიემი | 6:3, 4:6, 6:2 |

**WTA. ნიურნბერგი**

| | |
|---|---|
| სვიტოლინა-გარსია ვიდიგანი | 7:6, 6:3 |
| კერბერი-ფრიდსამი | 6:2, 7:6 |
| გარსია-პფიცენმაიერი | 7:5, 5:7, 6:3 |
| ბარტელი-ბეკი | 6:2, 6:4 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| კისი-რისკე | 6:4, 6:4 |
| დელაკუა-მაკჰეილი | 3:6, 5:7 |
| ტომლიანოვიჩი-დიასი | 4:6, 6:7 |
| პუიგი-ლუჩიჩი | 7:5, 6:4 |
| გორგესი-დევისი | 7:5, 6:4 |
| პენგი-სოლერ ესპინოსა | 4:6, 6:4, 2:6 |
| ფოერსტეინი-ჯორჯი | 7:5, 5:7, 6:7 |
| პეტკოვიჩი-კინგი | 6:3, 6:2 |

ველოსპორტი

# მთვრალი ულრიხი საშიშია

**წარსულში** ცნობილი გერმანელი ველომრბოლი, ტურ დე ფრანსის 1997 წლის გამარჯვებული **იან ულრიხი** ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მართავდა ავტომობილს და სერიოზული ავტოავარიის ინიციატორი გახდა.

ინციდენტი შვეიცარიის ქალაქ ტურგაუში მოხდა. სამი ავტომობილის შეჯახების შედეგად, ორი ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შვეიცარიული გამოცემა „ბლიკის“ ინფორმაციით, ველომრბოლის სისხლში ალკოჰოლის დოზა დასაშვებს ბევრად აღემატებოდა. თავად ულრიხი ამბობს, რომ მთვრალი არ ყოფილა და ტრასაზე საათში 20 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა.



იან ულრიხი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ვოზნიაცკი მარტო დარჩა


რორი და კარო

ჩრდილოირლანდიელი გოლფისტი **რორი მაკილროი** მზად არ აღმოჩნდა დანიელ ჩოგბურთელ **კაროლინ ვოზნიაცკისთან** საქორწინოდ.

„არ არსებობს სწორი გადაწყვეტილება ურთიერთობის გასაწყვეტად. საქორწინო მოსაწვევების გაგზავნისას მივხვდი, რომ მზად არ ვარ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად. კაროლინს ბედნიერებას ვუსურვებ და მადლობას ვუხდი ერთად გატარებული დროისთვის. მეტს აღარ ვილაპარაკებ ჩვენს ურთიერთობებზე“, - მოჰყავს მაკილროის სიტყვები გამოცემა „ტელეგრაფს“.

როგორც უკვე ვწერდით, ნიშნობის შესახებ წყვილმა ახალი წლის შემდეგ გამოაცხადა. მათი დაშორების წინაპირობა არ არსებობდა და ვოზნიაცკი უახლოეს მომავალში შვილის გაჩენასაც კი გეგმავდა.

# ბარტოლი ნაწყენი არ არის


მარიონ ბარტოლი

უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონი, ფრანგი **მარიონ ბარტოლი** ბრიტანული ტელეარხისთვის, BBC-სთვის როლან გაროსზე კომენტატორად იმუშავებს. მისი მეწყვილე იქნება სკანდალურად ცნობილი კომენტატორი **ჯონ ინვერდეილი**.

ეს უკანასკნელი იმით არის ცნობილი, რომ გასული წლის სეზონში ერთ-ერთი პირდაპირი ეთერის დროს არაკორექტული განცხადება ჰქონდა ბარტოლის გარეგნობის შესახებ, რის გამოც დროებით ჩამოშორებული იყო სამუშაოს. მოგვიანებით, მარიონმა მიიღო ჟურნალისტის ბოდიში და ის უიმბლდონის შემდეგ გამართულ მეჯლისზეც კი დაპატიჟა, ახლა კი მასთან ერთად მატჩების კომენტირებასაც აპირებს.

*„მე და ჯონი დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ასე რომ, კარგად ვიცი, რა ჰქონდა მხედველობაში. ბოლოს და ბოლოს, მე არ ვარ ისეთი მაღალი და მომხიბვლელი, როგორიც მარია შარაპოვაა,* - განაცხადა ბარტოლიმ ბრიტანულ გამოცემა „გარდიანთან“ კომენტარში. - *მაგრამ ჩოგბურთი სწორედ იმით არის შესანიშნავი, რომ აქ ნებისმიერს შეუძლია მოგება“.*

# ანამ ნოვაკს მიბაძა


ანა ივანოვიჩი

სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** თანამემამულე **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მიბაძა და გარკვეული თანხა გადარიცხა სერბეთსა და ბოსნიაში წყალდიდობისას დაზარალებულთა დასახმარებლად. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ქველმოქმედებისთვის 20 ათასი დოლარი გაიღო.

*„ძალიან მძიმეა იმ ფოტოების ხილვა, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა. მინდა გავამხნევო ყველა დაზარალებული და მათ ჯანმრთელობა ვუსურვო,* - მოჰყავს ივანოვიჩის სიტყვები WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდს. - *ხვალ წვიმა გადაიღებს და იმედია, წყალი დაიწევს“.*

შეგასენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩმა დაზარალებულთა ფონდში სრულად გადარიცხა ის თანხა, რომელიც რომის მასტერსის მოგებით გამოიმუშავა - 549 ათასი ევრო.

კრივი

# პაკიაო და არუმი: ერთად 2016-მდე


მენი პაკიაო

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, ფილიპინელი **მენი პაკიაო** გააგრძელებს თანამშრომლობას **ბობ არუმის** პრომოუტერულ კომპანია Top Rank-თან. ახალი ხელშეკრულება 2016 წლის 31 დეკემბრამდე იქნება ძალაში.

*„მოხარულები ვართ, რომ ჩვენს პარტნიორთან, ტელეკომპანია HBO-თან ერთად გავაგრძელებთ დიადი მენი პაკიაოს ბრძოლების ტრანსლირებას“,* - განაცხადა არუმმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერსა** და პაკიაოს შორის ბრძოლის ორგანიზებაში ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი მომენტია ფლოიდის მტრობა არუმთან. ასე რომ, სავარაუდოდ, მინიმუმ 2016 წლის ბოლომდე ამერიკელისა და ფილიპინელის ჩხუბს ვერ ვნახავთ.

# ფოტო-NEWS



## სვირინგიანი მერი

კანადის ქალაქის თანდერ-ბეის მერმა **კიტ ჰობსმა** მელოტ თავზე ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბის „მონრეალ კანადიენსის“ ტატუ გაიკეთა.

ასეთი იყო სანაძლეოს პირობა, რომელიც ჩინოვნიკმა ადგილობრივი გაზეთის მთავარ რედაქტორთან **ლიტ დანიკთან** დადო. ჰობსი „ბოსტონ ბრუინზის“ გულშემატკივარია და გამოაცხადა, რომ ეს გუნდი აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში გავიდოდა. მაგრამ ბოსტონელებმა წააგეს სერია „მონრეალთან“ - 3:4.

საკუთარ „ტვიტერზე“ დანიკმა დაწერა, რომ მერის ტატუ დროებითია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



## ყვავილებიანი ბერდიხი

ჩეხმა ჩოგბურთელმა **ტომაშ ბერდიხმა** წარმოადგინა საკუთარი სპონსორის - კომპანია H&M-ის სპორტული კოლექცია.

*„მყოფნის სითამამე იმისთვის, რომ ეს ჩავიცვა“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ ჩოგბურთელმა.




დამფუძნებელი
და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა
ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608